

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკის აქტუალური საკითხები

(სამეცნიერო ნაშრომთა კრებული)

XIII გამოშვება



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2000

კრედიტში განხილულია საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის წინაშე არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, მსოფლიო ეკონომიკისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების საკითხები.

კრებული განკუთვნილია ბაკალავრების, მაგისტრებისა და ასპირანტებისათვის. გამოადგება აგრეთვე ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ყველა პირს.

სარედაქციო კოლეგია:

პროფ. კ. აჩილაშვილი, პროფ. ე. ბოლოკაძე, პროფ. ე. მიქვაბიშვილი, პროფ. ნ. პაიჭაძე, პროფ. ა. სილაგაძე, პროფ. ლ. ყორღანაშვილი (მთავარი რედაქტორი), პროფ. დ. ქნელაძე, პროფ. თ. ზიაბრიშვილი, ემდ ე. ხარაიშვილი, ემკ ნ. პაპაჩაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი).

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000

0601000000
608(06)-00

ა. ცერცვაკე

გერმანული კაპიტალის მონაწილეობა საქართველოს მანგანუმის მრეწველობაში

გერმანულ კაპიტალს მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავა საქართველოს, კერძოდ – ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში.

გერმანული კაპიტალი ჭიათურაში მანგანუმის მადნის აღმოჩენის დასაწყისშივე გამოჩნდა, მაგრამ მაშინ ვერ შეძლო ფეხის მტკიცედ მოკიდება. მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება გერმანული კაპიტალის გაძლიერებული შეჭრა ჭიათურის მანგანუმის წარმოებაში. მალე იგი მონოპოლიურ მდგომარეობას იკავებს ადგილობრივ, რუსულ და უცხოურ კაპიტალთან კონკურენციულ ბრძოლაში.

გერმანელებმა კარგად გამოიყენეს 1900-1903 წლების ეკონომიკური კრიზისი და თანდათანობით დაიპყრეს პოზიციები არა მარტო მანგანუმის ექსპორტში, არამედ – წარმოებაშიც. ამ პერიოდში ჭიათურაში განსაკუთრებით აქტიურობდა ბერლინის მანგანისინდიკატის ერთ-ერთი წარმომადგენელი – „ბერლინის ბანკი“, ანუ „სააღრიცხვო საზოგადოება“, რომელიც დაკავშირებული იყო ქართველ მრეწველთა გაერთიანებასთან „შავი ქვა“ [1]. ბერლინის „სააღრიცხვო საზოგადოება“ და რუსეთში უკვე დაშვებული სააქციო საზოგადოება „არტურ კოპელი“ ერთობლივად მოქმედებდნენ 1905 წლიდან. საზოგადოების წარმომადგენელთა არაერთგზის თხოვნის შემდეგ მთავრობამ 1906 წელს დაამტკიცა აღნიშნული ფირმების მიერ შექმნილი საზოგადოება „მანგანუმის ელექტორებისა და მექანიკურ ნაგებობათა ჭიათურის საეაჭრო-სამრეწველო საზოგადოება“. ამ საზოგადოებაში ააგო ელექტორები, ჩვეულებრივი და საპაერო-საბაგერო გზები. ამასთან, მან წინასწარი შეთანხმება დადო „ფრანკფურტის რაინის მადნის საზოგადოებასთან“, რომელმაც ჭიათურიდან გაზიდული მადნის რეალიზაცია იკისრა. ხსენებულმა საზოგადოებამ მთავრობისაგან უარი მიიღო წირქვალ-ყვირილას საპაერო-საბაგერო გზის გაყვანაზე, მაგრამ მიიღო ნებართვა წირქვალიდან ჭიათურამდე ასეთივე გზის აგებაზე. ამაზე გერმანულმა საზოგადოებამ უარი განაცხადა და

მუშაობის გაგრძელება არ ისურვა. მან 1911 წლის 15 ნოემბერს შეწყვიტა არსებობა გერმანული სააქციო საზოგადოების ფაქტობრივი მფლობელი, ერთი შეხედვით, იოლად წავიდა საზოგადოების ლიკვიდაციაზე, მაგრამ არა იმიტომ, რომ მან ხელი აიღო ამ საქმეზე, არამედ იმიტომ, რომ უფრო ადრე ის გახდა ჭიათურაში ოპერაციების საწარმოებლად დაშვებული მქალაქი გერმანული ფირმის „გელზენკირხენის სამთო-სააქციო საზოგადოების“ ერთ-ერთი მთავარი აქციონერი [2].

გერმანული ფირმის ლიკვიდაცია არ მოასწავებდა გერმანული კაპიტალის შემოჭრის შესუსტებას ჭიათურის სამრეწველო რაიონში. შემდგომ პერიოდში აქ მანგანუმის წარმოებაში უფრო გაძლიერდა გერმანული კაპიტალი, რომელიც წარმოდგენილი იყო შემდეგი ძლიერი ფირმების სახით: „გელზენკირხენის სამთო სამრეწველო საზოგადოება“, „სამთომრეწველთა საზოგადოება გერმანიის (დოინერ) კაიზერი“ და „კაეკასიის საბადოთა ამხანაგობა შეზღუდული პასუსისიგებლობით.“ განსაკუთრებით აქტიურობდა პირველი, რომელიც გერმანიის სამთამადნო მრეწველობის ყველაზე დიდი საწარმო იყო. ამ საზოგადოებამ რუსეთის მთავრობის მიერ ჭიათურაში ოპერაციების საწარმოებლად დაშვებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო მოქმედება და გერმანელი საქმოსნის ო. გილერტის მეშვეობით 76 დესეტინაზე მეტი საბადო შეიძინა ითხეისსა და მღვიმეში [2]. „გელზენკირხენის“ სააქციო გაერთიანების წევრი იყო მრავალი საბანკო, საეაჭრო-სამრეწველო და ცნობილი მრეწველი. მრავალი ავტორიტეტული წყაროს მოწმობით „გელზენკირხენის“ აქციონერი იყო თვით გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი [3]. „გელზენკირხენის“ მიერ გაცემულ აქციათა საერთო ღირებულება შეადგენდა 94007000 მარკას, ანუ 54108400 ოქროს მანეთს. ფირმას 1909 წელს სათავეში უდგა გამგეობა /28 წევრი/, აყავდა ორი გენერალური დირექტორი (ე. კირფორდი და პ. რანდერბრიკი) და ექვსი დირექტორი (ფ. ფუნკე, ე. კლეინე, რ. ზეიდელი, ლ. რაზე, გ. გელინგი, გ. რესელი) [2].

განუწყვეტლივ იზრდებოდა „გელზენკირხენის“ კაპიტალი, მან 1914 წლისათვის 117627000 მარკა შეადგინა [4]. გერმანულმა ფირმამ

ჭიათურის მრეწველობაში მრავალი ფართო მასშტაბის ოპერაცია წამოიწყო. იმთავითვე შეუდგა, ჯერ-ერთი, ადგილობრივ მეწარმეთა დაკაბალემა-დაქვემდებარებას (თხე სესხებისა და ავანსების გაცემით (მათგან მადნის დიდი რაოდენობით შესყიდვასა და ექსპორტს); მეორე, მანგანუმის საბადოთა ხანგრძლივი იჯარით აღებას და შესყიდვას; მესამე, მაღაროთა ექსპლოატაციის რაციონალურად, ტექნიკურად მოწყობას, საბადოებიდან რკინიგზის ჭიათურის განშტოებამდე მადნის ტრანსპორტირების მექანიზაციას, რგანში მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობას; მეოთხე, ფირმა ზრუნედა სამრეწველო-საეაჭრო ოპერაციების გასაფართოებლად და ქობულეთში საკუთარი ნავსადგურის მოსაწყობად; და ბოლოს, ფირმა რამდენადმე მოგვიანებით შეუდგა საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციას. „გელზენკირხენი“ ხუთნახევარ წელიწადში (1909 წლიდან 1914 წლის ივლისამდე) ჭიათურიდან გერმანიაში გაზიდა 60 მილიონამდე ფუტი მადანი, აქედან მხოლოდ 1914 წლის პირველ ნახევარში 12 მილიონ ფუტზე მეტი [5], რაც ჭიათურიდან საერთოდ გაზიდული მადნის (38,5 მილიონი ფუტი) თითქმის მესამედს შეადგენდა.

ამრიგად, „გელზენკირხენის“ ფირმა ენერგიულად ცდილობდა მონოპოლიური მდგომარეობა მოეპოვებინა ჭიათურის სამრეწველო რაიონში. ამ მისწრაფების საბოლოო განხორციელებაში მას ხელი შეუშალა პირველმა მსოფლიო ომმა ომის დაწყების შემდეგ მთავრობის დადგენილებით ჭიათურის რაიონში მოქმედი გერმანული ფირმების საქმიანობა შეწყდა. ამისათვის სპეციალურად შექმნილმა სალიკვიდაციო სამმართველომ „გელზენკირხენის“ მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ჭიათურაში (რამდენადმე შემცირებულად) 2578878 მანეთად შეაფასა [6].

„გელზენკირხენის“ პარალელურად ჭიათურაში 1911 წლის სექტემბრიდან მოქმედებდა მეორე გერმანული ფირმა „კაეკასიის საბადოთა ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობით“. ფირმის დაშარსებლები და განმკარგულებლები იყვნენ გერმანული ვაჭრები და საქმოსნები. ფირმის დირექტორატში გერმანელებთან ერთად იყო ქართველი სამთო ინჟინერი ბარნაბ პაპავა, რომელიც ფირმის

შუამდგომლობითა და რუსეთის მთავრობის ნებართვით, ფირმის პასუხისმგებელი გამგე გახდა ჭიათურაში [7]. მართალია, ფირმაში ფორმალურად გერმანელი საქმოსნები (ზ. ბურენდეტი, ი. ბოლენგმაიერი, მ. რობენბაუერი) და ბ. პაპავა იყვნენ გაერთიანებული, მაგრამ როგორც შემდგომში გაირკვა, ფირმის ფაქტობრივი მენეჯერები გერმანიის სამრეწველო-საფინანსო კაპიტალის ერთ-ერთი უმსხვილესი წარმომადგენელი კრუპი იყო. ეს ამბავი ცნობილი გახდა მთავრობისთვისაც. ფინანსთა სამინისტრო 1914 წლის დამლევს აცნობებდა იმპერიის მინისტრთა კომიტეტს: „სარწმუნო წყაროდან შეუიტიკეთო, რომ ამხანაგობა გერმანიის სამხედრო ქარხნების მთავარი მომარაგებელია, კრუპის ქარხნებისათვის მანგანუმის მადნის მთავარი მიმწოდებელი“ [8].

ჭიათურაში გერმანული კაპიტალის კიდევ უფრო გაძლიერებას პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი, რომლის დაწყების შემდეგ მეფის რუსეთის მთავრობამ გააუქმა ჭიათურაში მოქმედი ფირმები და გამოაცხადა მათი ლიკვიდაცია. 1914-1917 წლებში სალიკვიდაციოდ განკუთვნილი გერმანული ფირმების საბადოების და ქონების ხელში ჩასაგდებად დიდი ბრძოლა გაჩაღდა ადგილობრივ, რუსულ და უცხოურ კაპიტალს შორის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობიმ სცადა ამ პრობლემის გადაჭრა, იმ დროისათვის ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ძირითადი რეალური იდეის განხორციელება. ამ იდეით ჭიათურაში გერმანული კაპიტალის მონაწილეობით უნდა შექმნილიყო „შერეული“ სააქციო სასოფლოება, რომლის პროექტიც შეიმუშავეს, მაგრამ იგი არ განხორციელდა ამის შემდეგ საქართველოს მთავრობამ, პირველი მსოფლიო ომის წლებში, ჭიათურაში სალიკვიდაციოდ განკუთვნილი გერმანული ფირმების უძრავ-მოძრავი ქონება დაუბრუნა ძველ მენეჯერებს, რომელთაც აქ თავისი საწარმოები და სხვა საკუთრება კიდევ რამდენიმე ხნით შეინარჩუნეს. მსოფლიო ომის, რევოლუციის, დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921 წწ.) მძიმე ეკონომიკურ პირობებში მანგანუმის მადნის მოპოვება სწრაფი ტემპით

ეცემოდა, ხოლო 1921 წლიდან თითქმის მთლიანად შეწყდა.

ლიტერატურა

1. Сборник сведений о Кутаисской губернии, Кутаиси, 1885, стр 6.
2. გ. მარგიანი, სამთამადრო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდე საქართველოში, თბ., 1988, გვ. 267, 268, 271.
3. ЦГИАЛ, Ф23, ОП. 14, 508, л. 20.
4. ЦГИАЛ, Ф23, ОП. 28, 508, л. 260.
5. ალ. ბენდიაშვილი, ქართული ეროვნული ბურჟუაზია და უცხოური კაპიტალი 1879-1921 წწ. ჭიათურის რაიონში, „მაცნე“, 1983, №2, გვ. 109.
6. გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები საქართველოში, თბ. 1974, გვ. 146.
7. ЦГИАЛ, Ф23, ОП. 28, 514, л. 262.
8. ЦГИАЛ, Ф23, ОП. 14, 507, л. 47-50.

ა. ცერცვაძე

სააქციო საზოგადოება „ზინგერის“ საქმიანობა რუსეთის იმპერიაში

საზღვარგარეთ საკერავე მანქანების ექსპორტი „ზინგერ მენუფაქურინგ კომპანიზ“ დაიწყო 1861 წელს ამ მიზნით იგი იყენებდა ე.წ. „პრივილეგირებულ დამოუკიდებელ აგენტებს“, რომლებიც რეკლამას უკეთებდნენ და ყიდდნენ ფირმის პროდუქციას მათთვის გამოყოფილ რეგიონებში. 1863 წლიდან კომპანიის საუაჭრო აგენტები გახდნენ ძმები ფ. და გ. ნაიდლინგერები, რომელთა საკუთარი, მთავარი, კანტორა მდებარეობდა ქ. ქაშპურგში. ნაიდლინგერები

შემდგომში ძალზე მომქალაქდნენ ეკონომიკურად. ისინი თითქმის დამოუკიდებელ კომპანიად გადაიქცნენ და ამერიკულთან, როგორც ტრანსნაციონალურ მონოპოლიასთან, მხოლოდ გარკვეული ურთიერთობა აქვეშირებდათ. ჰამბურგის კომპანია, გერმანიის გარდა, ვაჭრობას აწარმოებდა მრავალ ქვეყანასთან. მას საკერავი მანქანები გაქონდა ავსტრია-უნგრეთში, რუსეთში, რუმინეთში, სკანდინავიის ქვეყნებში.

რუსეთის იმპერიაში „კომპანია ზინგერი“ სააქციო საზოგადოების სახით შეიქმნა 1897 წლის 13 ივლისს, როდესაც მთავრობამ დაამტკიცა მისი წესდება [1]. იურიდიულად მის დამაარსებლად ითვლებოდა ამერიკული ფირმა, მაგრამ ფაქტობრივ მის საქმიანობას განაგებდნენ ირმის წარმომადგენლები. რუსულ ფირმას დაარსებისას ირმის წესდება ევაჭრა როგორც რუსეთში დამზადებული, ისე სახლგარეეთიდან შემოტანილი მანქანებით. ამრიგად, „ზინგერის“ საზოგადოება თაედაპირველად შეიქმნა როგორც სავაჭრო ფირმა. დაარსებისას „მანუფაქტურული კომპანია ზინგერის“ სააქციო კაპიტალი უდრიდა 5 მილიონ მანეთს და შედგებოდა 50 000 ათასმანეთიანი აქციისაგან. რუსეთის საზოგადოების თავჯდომარე იყო ფ. ბორნი, ხოლო დირექტორი გ. ნაიდლინგერი, ფ. კრაკოვი, ი. კოკი, და მ. მიხაელისი.

„კომპანია ზინგერი“ იყო საკერავი მანქანების რუსეთის ბაზრის ფაქტობრივი მონოპოლიური მფლობელი, რამდენადაც მას აქ სერიოზული კონკურენტი არ გააჩნდა. მოქმედებდა რა რუსეთის მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდების საფუძველზე, საზოგადოება ფორმალურად ითვლებოდა დამოუკიდებელ გაერთიანებად, მაგრამ მას მუდმივად მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა უცხოელ კაპიტალისტებთან, განსაკუთრებით ამერიკელებსა და გერმანელებთან.

„კომპანია ზინგერი“ დაარსდა როგორც სავაჭრო-სამრეწველო ფირმა. დამაარსებლის განცხადებაში ფინანსთა სამინისტროსადმი ნათქვამია, რომ „საზოგადოება რუსეთში თავის ქარხნებს ააგებს იმ რაოდენობით, რომ დააკმაყოფილოს მოთხოვნა ზინგერის მანქანაზე არა მარტო თვით რუსეთში, არამედ ბალკანეთში, თურქეთში,

სპარსეთში და ჩინეთში" [2].

1902 წლამდე კომპანიის მოღვაწეობა რუსეთში მხოლოდ საფაქტრო საქმიანობით შემოიფარგლებოდა. პირველ სრულ საანგარიშში 1899 წელს გაიყიდა 7 მილიონი მანეთის საკერავი მანქანები [2].

1900 წელს სააქციო საზოგადოება „ზინვერმა“ მოსკოვის გუბერნიის ქ. პოდოლსკში, ტროიკის სატყეო აგარაკზე, რკინიგზის მახლობლად შეიძინა 30 დესეტინა მიწის ნაკვეთი (1912 და 1924 წლებში იქვე შეიძინა ორი ნაკვეთი 44 დესეტინა საერთო ფართობი), სადაც 1901 წელს დაიწყო საკერავი მანქანების და მისი ნაწილების დამამზადებელი ქარხნის მშენებლობა. ქარხნისათვის საჭირო, მოწყობილობა თითქმის მთლიანად საზღვარგარეთიდან, უზოიავრესად გერმანიიდან შემოჰქონდათ. სამრეწველო კომპლექსი შედგებოდა თუჯსასხმელი განყოფილებისაგან, ღითონდამმუშავებელი და ხისდამმუშავებელი სახელოსნოებისა და ელექტროსადგურისაგან. 1902 წელს ქარხანა ამუშავდა [3]. პირველ ხანებში ქარხანაში მხოლოდ მანქანებს აწყობდნენ, ხოლო ნაწილები საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ. მომდევნო წლებში ქარხანა თანდათანობით გაფართოვდა. შემოზიდული ნაწილებით მანქანების აწყობასთან ერთად მან თვით დაიწყო ნაწილების დამზადება და მანქანების გამოშვება. 1914 წელს ქარხანაში შრომობდა 5047 მუშა და 567 მოსამსახურე [4]

პოდოლსკის ქარხანა უშეებდა მხოლოდ საოჯახო საკერავი მანქანების 6 მოდელს, რომლებზეც დიდი მოთხოვნა იყო ბაზარზე სპეციალურ სახელოსნო მანქანებს ქარხანა არ ამზადებდა. ამის მიზეზი იყო როგორც ამ მანქანების მექანიზმების სირთულე და განუწყვეტელი კონსტრუქციული სრულყოფა, ისე მათზე შექარხნის ნაკლები მოთხოვნა. საქარხნო კომპლექსი, რომელიც ორ ეტაპად 1902-1912 წწ. და 1913-1914 წწ. ფართოვდება, ვერ ვახვდა სრულყოფილი. აქ სრული საწარმოო ციკლის დასრულებას მხოფლით ომმა შეეშალა ხელი. გამზადებული სახელოსნო მანქანები საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ. პოდოლსკის ქარხანა, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებდა რუსეთის იმპერიის მოთხოვნილებას საოჯახო საკერავი მანქანების, რომელთა დიდი ნაწილი „ზინვერს“, მიუღლი მისი საქმიანობის

მანძილზე, ასევე საზღვარგარეთიდან, უმთავრესად გერმანიიდან შემოიქონდათ.

როგორც აღინიშნა, პოდოლსკის ქარხანას არ გააჩნია წარმოების სრული ციკლი. სოციალური ნაწილი საზღვარგარეთიდან შემოიქონდა. ქარხანას განსაკუთრებით ხის ნაწილები და ნემსები აქვდა. 1913-1914 წლებში პოდოლსკში აშენდა ხის ნაწილების დამამზადებელი საამქრო, რომელიც სხვა ნაწილებთან ერთად უშვებდა საკაბინეტო საკერავი მანქანის ნაწილებს. საკაბინეტო მოდელები მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა საოჯახო მანქანებში. ისინი 16-45%-ით უფრო ძვირი ღირდა ხელის და ფეხის სხვა მასობრივ მანქანებთან შედარებით. მათ მოსახლეობის უფრო შეესაბამებულ ფუნქციას წარმომადგენლები ყიდულობდნენ.

კომპანია „ზინგერის“ წარმატებით საქმიანობას რუსეთში მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მისი სტრუქტურა და სავაჭრო ქსელის საქმიანობის პრინციპები. საზოგადოების წესდების 23-ე მუხლის თანახმად „ზინგერის“ მთელ საქმიანობას წარმართავდა მთავარი სამმართველო ხუთი დირექტორის შემადგენლობით [5]. 1912 წლამდე მთავარი სამმართველო იმყოფებოდა პეტერბურგში, ხოლო შემდეგ გადაიტანეს მოსკოვში.

დირექტორთა შორის ძირითადად გერმანული წარმოშობის პირები იყვნენ. მთავარი სამმართველოს შემადგენლობა, პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს ასეთი იყო:

1. ალექსანდრე დუგლასი, დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომი, მუდმივად მცხოვრები ნიუ-იორკში. ამ დროისათვის იყო „კომპანია ზინგერის“ ამერიკული საზოგადოების პრეზიდენტი;
2. ვალტერ ფრანკი (იგივე ვასილ ვასილის ძე დიქსონი), აშშ-ის მოქალაქე. ამ დროს იყო „ზინგერის“ პოდოლსკის ქარხანის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი;
3. ოტონ ივანეს ძე (იოჰანეს ძე) მისლიკი, რუსეთის ქვეშევრდომი, გერმანელი;
4. პენრიხ პენრიხის ძე ბერტლინგი, რუსეთის ქვეშევრდომი, გერმანელი, მუდმივად მცხოვრები მოსკოვში;

5. ალბერტ პენრიხის ძე ფლორი, გერმანიის ქვეშევრდომი, მუღმივად მცხოვრები მოსკოვში. დირექტორატის შემადგენლობაში უკველელად შედიოდა 1902 წლიდან 1915 წლამდე, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის რუსეთიდან გასახლებაში [5].

„კომპანია ზინგერი“ რუსეთის იმპერიაში ვაჭრობას, წამყვანი საზღვარგარეთული ფირმების მსგავსად, აწარმოებდა პრინციპით: ყოველგვარი საქონელი საკუთარი მაღაზიებისა და თანამშრომლების საშუალებით მიუყიდოს უშუალოდ მომხმარებლებს, ყოველგვარი შუამავლებისა და გადაამყიდველების გარეშე. ეს მეთოდი ყველაზე სრულყოფილად ითვლებოდა. როგორც აღინიშნა, „კომპანია ზინგერი“ რუსეთის იმპერიის საქაივ დაბალმყიდველობითუნარიან მოსახლეობაში საქონლის მნიშვნელოვანი რაოდენობით გასაყრცელებლად ყართოდ მიმართავდა კრედიტით /განვადებით/ ვაჭრობას. ამის საშუალებას მას აძლევდა უცხოეთის ბანკებთან მკიდრო კავშირი და მათგან დაფინანსება.

ლიტერატურა

1. სცსია (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი), ფონდი 13, ანაწ. 27, საქმე 7642, ფურც. 47; ფონდი 190, ანაწ 1, საქმე 41, ფურც. 1.
2. ЦГИАЛ, Ф23, Оп. 24, д. 391, л. 1.
3. სცსია, ფონდი 120 ანაწ. 1, საქმე 58, ფურც. 2-3.
4. გ. მანჯგალაძე, გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიაში (1861-1918 წწ.), თბ., 1991, გვ. 62.
5. სცსია, ფონდი 190, ანაწ. 1, საქმე 58, ფურც. 2.

6. წიკლაშვილი

შრომის ბაზრის შრომობიკების კანონოშრომობიკებში ბარდამალი პერიოდის ეკონომიკაში

შრომის ბაზარი, როგორც საბაზრო ეკონომიკის შემდგენელი ნაწილი, არის დაქირავებლებისა და დაქირავებულების ინტერესთა ურთიერთობის მექანიზმი. იგი არის დაქირავებული შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის კონკრეტული სისტემის გამოხატულება. რომელიც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის პირობებში უსრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას მოთხოვნა-მიწოდების კანონის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, შრომის ბაზრის მთავარი შემაღენილი ნაწილებია, ერთი მხრივ, ერთობლივი მიწოდება, რომელიც გულახდობლად მთელი დაქირავებული სამუშაო ძალის არსებობას, ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას და მეორე მხრივ, ერთობლივი მოთხოვნა დაქირავებულ სამუშაო ძალაზე. ეს შემაღენილი ნაწილები ერთობლიობაში განსაზღვრავენ შრომის ბაზრის ტეჟადობას.

მოთხოვნა-მიწოდება უსრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების ფუნქციონირებას, რაც სამუშაო ადგილების ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის ხარჯზე ხდება. შრომის ერთობლივი ბაზარი ხასიათდება როგორც ადამიანთა შრომისუნარიან ასაკსა და შრომის უუნარო ასაკს შორის ცვლა, მათ გათავისუფლებას და გადასვენებას ახალ სამუშაო ადგილზე, ქველის გაუქმებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ეს ცვლილებები ახასიათებს შრომის მოძრაობას ბაზარს, რომლის ტეჟადობა განისაზღვრება თავისუფალი სამუშაო ადგილებით და იმ პირთა რიცხვით, რომლებიც, ეძებენ სამუშაოს.

შრომის ბაზრის ცნება დაკავშირებულია ისეთ ეკონომიურ კატეგორიებთან, როგორიცაა: შრომითი რესურსები, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, უმუშევრები, დასაქმებულები,

თვითდასაქმებულები. ქართულ ეკონომისტთა შორის მიმდინარეობს ამ ტერმინების დაზუსტება მათი სტატისტიკაში გამოყენების თვალსაზრისით.

საერთაშორისო სტანდარტებით დასაქმების სტატისტიკაში ძირითადად იყენებენ ცნებას — ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, რომელიც შინაარსობრივად უფრო ვიწროა და გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთში შრომითი რესურსების მზადყოფნას შრომისათვის. იგი არ გულისხმობს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთაც შეუძლიათ შრომა, მაგრამ არ სურთ. ეს უკანასკნელი არ არის შრომის რეზერვი. დასაქმებული ნიშნავს დროის გარკვეულ მონაკვეთში მომუშავეს, თუნდაც იგი მუშაობდეს ერთი დღის განმავლობაში, იყოს დაქირავებული ან პქონდეს თავისი წარმოება. საკუთარ წარმოებაში დასაქმებულს კი უწოდებენ თვითდასაქმებულს. იგი მოიცავს დაქირავებულებს, საკუთარ საწარმოში მომუშავე მეწარმეებს და საწარმოო კოოპერატივების და ამხანაგობის წევრებს. აგრეთვე, ოჯახის დამხმარე მომუშავე წევრებს, რამელთაც შრომა არ უნაზღაურდებათ. ეს უკანასკნელი საქართველოში გახდა მსჯელობის საგანი, რადგან საკუთარ მეურნეობაში მომუშავე აღამიანებს, რომელთაც შრომა არ აუნაზღაურდებათ, ეძლევათ დასაქმებულის სტატუსი. საქართველოს კანონით „დასაქმების შესახებ“ დასაქმებულის აუცილებელი ნიშანია საქმიანობიდან შემოსვლის მიღება, მაგრამ საერთაშორისო სტანდარტებით და სტატისტიკის თანამედროვე მეთოლოგიით დასაქმებულთ მიეკუთვნებიან პირები, რომელნიც გამოკითხვის მომენტის წინ შეიძინეს დღის განმავლობაში მუშაობდენ სულ ცოტა ერთი საათი მაინც შემოსავლის მიღების მიზნით. სავსებით მისაღებად მიგვაჩნია ცნობილი ეკონომისტის, პროფ. ლ. ჩიქავას აზრი რომ, ერთი კვირის განმავლობაში არა თუ ერთი საათი, არამედ ერთი დღის მომუშავეც ვერ ჩაითვლება დასაქმებულად, თუნდაც იმიტომ, რომ მისი შრომის მიზერული საზღაური არ ეყოფა საცხოვრებელი ადგილიდან სამსახურამდე და უკან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობაშიც კი, რომ არაფერი ეთქვამთ, „მომუშავე პირსა და მისი ოჯახის მრავალფეროვან

სასიცოცხლო მოთხოვნებთან დაკმაყოფილებაზე“¹

დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, დასაქმებულის სტატუსის მინიჭებისათვის სოფჯერ ქვეყანაში მინიმალური ხელფასის ან დადგენილი საარსებო მინიმუმის ტოლფასი სახელაურის მიღების მოთხოვნა არის წამოყენებული, მაგრამ რეალურად მის განხორციელება დაბალგანვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, პრობლემებს უკავშირდება.

სხვა პრობლემას ქმნის სოფლის შრომით რესურსებში დასაქმების განსაზღვრა. საქართველოს კანონით დასაქმების შესახებ, დასაქმებულად ითვლება ერთი კექტარი ან მეტი მიწის მესაკუთრე. მაგრამ რამდენად მართებული იქნება მისი ოჯახის ყველა შრომისუნარიანი წევრის დასაქმებად მიკუთვნება, როგორც ეს ჩვენთან ხდება? ფაქტობრივად სოფლის მოსახლეობისათვის უმუშევრის სტატუსი არ არსებობს.

დასაზუსტებელია „უმუშევრის“ ცნება დასაქმების კანონის მიხედვით. უმუშევარი არის ის, ვინც რეგისტრირებულია შრომის ბირჟაზე ამ ცნების მიღმა რჩება ე.წ. ფარული უმუშევრები, რომელთა რიცხვიც საკმაოდ დიდია საქართველოში და ისინი ძირითადად გაფორმებული არიან არაფუნქციონირებად საწარმოებში. აგრეთვე, ე.წ. ნებაყოფლობითი უმუშევრები, რომლებიც არ არიან სპეციალური საქმიანობაში ჩართული და საუბუო საქმიანობას ეწევიან. ისინი არ შედიან ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ცნებაში, რაც ერთობ მიუღებელი უნდა იყოს.

დასაქმებულთა კატეგორიას მიეკუთვნება თვითდასაქმებულებიც, მაგრამ ამ ცნებაში სოფჯერ გულისხმობენ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც არ არიან დამქირავებლები, არც თვითონ არიან დაქირავებულნი და დამოუკიდებლად უსრუნველყოფენ თავიანთ საქმიანობას. ჩვენი აზრით, დასაქმებულთა ცნება მხოლოდ შრომის ხასიათს და დამოკიდებულებას გვიჩვენებს და იგი დასაქმებულთა კატეგორიის შინაარსის მატარებელია, ამიტომ ამ ცნების ცალკე

¹ დ. ნიჭავა, უმუშევრობა საქართველოში და მისი სოციალ-ეკონომიკური შედეგები, ჟურ. მიკრო-მაკრო ეკონომიკა, №6, 1998

კატეგორიული დასაქმება გამოიჯენა დასაქმებულთა ცნებისგან არ შეიძლება.

შრომის ახალი ბაზრის ფორმირება ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ახლა იწყება. იგი ფორმირდება ქაოსურად და არის ფაქტობრივად რეგიონული და ლოკალური შრომის ბაზრების მექანიკური შეჯამება თავიანთი სპეციფიკური პრობლემებით.

ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ან მისი დაცემის პერიოდში შრომის პირობების მკაცრი რეგლამენტაცია დასაქმების სტანდარტული რეჟიმის დროს გვევლინება წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შემაფერხებელ ფაქტორად. შრომის ბაზრის კლასიკური კონცეფცია ასეთ შემთხვევაში ითვალისწინებს სამუშაო ძალაზე რეაგირებას პროდუქციაზე ერთობლივი მოთხოვნის შემცირებისას. აუცილებელი ხდება შესაბამისად დასაქმებულთა რიცხვის ან ხელფასით შემცირება, ხოლო პროდუქტზე მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში კი დამატებითი სამუშაო ძალის მოზიდვა მაგრამ ამგვარი სტრატეგია, განსაკუთრებით შრომის არაერთგვაროვნების და შემსრულებელთა სამუშაო ადგილებისადმი შეთანაწყობის აუცილებლობის გამო, ავლენს თავის არაეფექტიანობას. ასეთ შემთხვევაში, გარდა წმინდა ეკონომიკური დანაკარგებისა, წარმოიქმნება მთელი რიგი ფსიქოლოგიური და სოციალური ხასიათის პრობლემები. ამასთან დაკავშირებით, შრომის ბაზარმა უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ ქვეყნებში მიიღო ე.წ. შრომის მოქნილი ბაზრის ფორმა, რომლის ძირითადი ნიშან-თვისებებია მომუშავეთა პროფესიული მომზადება, სა და გადამზადების სხვადასხვა ფორმების განვითარება, დასაქმების არასტანდარტული ფორმების ფართო გამოყენება და სხვა.

შრომის ბაზრის მოქნილი ფორმა არა მარტო წარმოების ეფექტიანობის, არამედ საზოგადოების სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის ამაღლების ინსტრუმენტი გახდა, რამდენადაც იგი ამცირებს უმუშევრობის დონეს და იძლევა შრომითი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობას მომუშავეთა ისეთი კატეგორიისათვის, როგორცაა: ბავშვიანი ქალები, პენსიონერები, ახალგაზრდები და

სხვა.

ამგვარად, შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის დროს გულისხმობს, წარმოების აგენტების დამქირავებელთა და დაქირავებულთა ურთიერთობას, რომელთა ინტერესების შეთანხმებაზე ზეგავლენას ახდენს ქვეყნის მაკროეკონომიკური და ინსტიტუციონალური მდგომარეობა და განსაზღვრავს სამუშაო ძალის გადაადგილებას საწარმოს შიგნით და საწარმოებს შორის სამუშაო ადგილების მოპოვებისა და სამუშაო ძალაზე ხელსაყრელი ფასის დადგენის მიზნით.

6. წიკლავშილი

დასაქმების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნები, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე, ბოლო წლებში შრომის ბაზართან დაკავშირებით სერიოზული პრობლემების გადაჭრის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდნენ. ეს პრობლემებია: უმუშევრობის დონის ზრდა, უმუშევრობის პერიოდის ხანგრძლივობის ზრდა, ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის სიძნელეები, მისახლეობის მცირე შემოსავლიანი და დაუცველი ფენების ზრდა და ა.შ. მდგომარეობას ამძიმებს იმ ფინანსური რესურსების სიმცირე, რომელიც აუცილებელია შრომის ბაზრის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით აქტუალურია დასაქმების პოლიტიკის როლი და კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრა.

სახელმწიფო ატარებს აქტიურ ან პასიურ პოლიტიკას. შრომის ბაზარზე აქტიური პოლიტიკა გულისხმობს შრომითი მოწყობის მომსახურებას, რაც ხორციელდება კონსულტაციებით, ვაკანსიების გამოვლენით, პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრით და იგი

ეფექტიანად ფუნქციონირებს დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, პოლანდიაში, აგრეთვე განათლების მიცემას, რაც პროფესიული მომსახურებას პროგრამებში აისახება და რომელიც გათვალისწინებულია უმუშევრებისთვის და იგი ეფექტიანად მუშაობს შეფციაში, კანადასა, ასევე ეს პოლიტიკა ითვალისწინებს უშუალოდ სამუშაო ადგილებს შექნას და მეწარმეობის მხარდაჭერას, უმკმევართათვის დახმარებას გაწევას და ბოლოს, ეს პოლიტიკა ითვალისწინებს დროებითი სამუშაო ადგილების შექმნას ძირითადად სახელმწიფო სექტორში

აქტიურ და პასიურ ღონისძიებათა თანაფარდობა ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება აუცილებელი საბიუჯეტო ხარჯების მოცულობაზე და ნაწილობრივ ამ ღონისძიებათა ეკონომიკურ შედეგებზე შრომის ბაზრისათვის.

პასიური პოლიტიკის ანუ ფულადი დახმარების შემთხვევაში სახელმწიფოს მიზნობრივობა მნიშვნელოვნად მცირდება, მაგრამ ამასთან მცირდება სამუშაოს ძებნის სტიმული, თუ ვაღიარებთ რომ მკუშაკს სხვებზე უკეთესად შეუძლია საკუთარ ინტერესებში გარკვევა, სწორედ მათ და არა სახელმწიფო დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს მისთვის ოპტიმალური მოქმედების ტიპი. ფულადი დახმარება ნებას აძლევს მიმღებს აირჩიოს სამუშაო ადგილი, ახალი სპეციალობა თუ საცხოვრებელი ადგილი.

ფულად დახმარებას შეუძლია გაზარდოს ჩრდილოეთის ეკონომიკის მასშტაბებიც, რადგან მუშაკებს, რომლებიც იურიდიულად არ არიან გაფორმებული სამსახურში, შეუძლია აიღონ დახმარებაც. თუმცა ეს არ მოხდება, თუ ადგილი ექნება დახმარებათა გაცემის ზუსტ აღრიცხვას, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან და გამოცდილებას არქონასთან.

აქტიურ პოლიტიკას გააჩნია მნიშვნელოვანი უპირატესობები: შრომის ბაზარზე აქტიური პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა დაქირავების სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესი. ამასთან თავდადებულნი აცილებული და შემცირებული უმუშევრობის საინტელექტუალური და დონე იმდენად, რამდენადაც ეს მიზანშეწონილი და ეკონომიკურად ეფექტიანია. ამავდროს შრომის ბაზარზე მომსახურებათა

აქტივისაციას შეუძლია აამაღლოს მისი მწარმოებლურობა, განსაკუთრებით როდესაც საუბარია მოსახლეობის ეკონომიკურად დაუცველ ფენებსა და უმუშევრობაზე.

იგი მიმართულია ბაზრის ნაკლოვანების გადალახვისაკენ და არ გაანინია ის ნაკლოვანება, რომლებიც დამახასიათებელია დამარცხებათა გადაცემისათვის. თუმცა ბაზარზე აქტიური პოლიტიკა მოსახლეს მნიშვნელოვნად აძლევს დანახარჯებს და შეიძლება შეეჯახოს სახელმწიფო სისტემების სისუსტით გამოწვეულ პრობლემებს.

აქტიური პოლიტიკის გატარებისას უმუშევრობასთან ბრძოლის სტრატეგიის ამოსავალი წერტილია უმუშევართა აღრიცხვა სხვადასხვა მანქნებლებით: ეკონომიკის დარგების, რეგიონების, პროფესიების, ასაკობრივი ჯგუფების და სქესობრივი ნიშნის მიხედვით.

ხანმოკლე პერიოდში სამუშაო ადგილების მსურველები ბევრად აღემატებიან სამუშაო ადგილების რიცხვს. მაგრამ საშუალოვადიან პერსპექტივაში იქმნება ბაზრის ინფრასტრუქტურა. ახალი კერძო საწარმოების ფორმირების შედეგად კი იზრდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე. შესაბამისად უნდა სრულდებოდეს დასაქმების სამსახურების ინსტიტუციური სტრუქტურა და კადრების მომზადების და გადამზადების პროგრამა, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ბაზრის ყუნქციონირებას უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის.

რატომღა ასეთი პოლიტიკა სასურველი? ისეთი პროგრამების აქტიულობა დანოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე. აქტიური პროგრამები არის წარმოების რეაქცია სამრეწველო დაცემაზე მოვლენაზე, რომელიც კარგადაა ცნობილი დასავლეთში. მყარი უმუშევრობა, რომელიც არსებობს ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში, აისახება ძირითადად სტრუქტურული ფაქტორებით, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოიშობა შრომის ბაზრის არაელასტიკურობის სხვადასხვა სახეებისაგან, ამიტომ დასავლეთის ქვეყნების მთავრობები ცდილობენ შრომის ბაზრის მოქნილობის ამაღლებას, ცდილობენ რა წესებსა და ნორმატიულ აქტებს, რომლებიც აიწესებენ ადაპტაციასა და მოზილურობას, ნაწილობრივ გადადიან შრომის ბაზრის სფეროში პასიურად აქტიურ პოლიტიკაზე.

რომელიც ითვალისწინებს სამუშაო ადგილების არსებობის შესახებ კონსულტაციებს, კვალიფიკაციის ამაღლებასა და ხანგრძლივ მომზადებას – ე.ი. მიიღებენ ღონისძიებებს, რომლებიც შეუმზებულებს სამუშაო ძალის გადაადგილებას შრომის ბაზრის ერთი სექტორიდან მეორეში. ამ ქვეყნების გამოცდილების განხილვისას ნათელია, რომ აქტიური პოლიტიკა მისი სწორი დაზუსტებისას და ეფექტიანი მართვისას უმეფეობის ღონის შემცირების საშუალებას იძლევა.

აქტიური პოლიტიკის ღონისძიებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს დასაქმების სფეროში, მაგრამ რადგან დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან, სახელმწიფომ იგი შერჩევით უნდა განახორციელოს. აუცილებელია ღონისძიებები მიმართული იყოს იმ სფეროში, სადაც დანახარჯთა უკუგება მაღალი იქნება.

ამ ასპექტით პრობლემატურია კადრების გადამზადების პოლიტიკა, მისი ეფექტიანობის განსაზღვრა ქვეყნების განვითარების ღონის გათვალისწინებით. საერთოდ, სწავლების ეკონომიკური უქმნა ძალზე რთული საკითხია, რამდენადაც დანახარჯები მნიშვნელოვანია, ხოლო შედეგი, განსაკუთრებით შრომის ჭარბი მიწოდების სიტუაციაში, დაბალია, თუმცა, გასათვალისწინებელია უმეფეობის უპირატესად სტრუქტურული ხასიათი. ეს მიმართულება იმსახურებს მეტ ყურადღებას. საკითხავი ის კი არაა ღირს თუ არა გადამზადება საერთოდ, არამედ ის, რომ როგორ და რა ხარისხით შეიძლება მისი განხორციელება. ძალიან ნაადრევი და წინასწარი მომზადება არასასურველია, მაგრამ მოთხოვნის იკვანძები ნათლად მიუთითებს სად აქვს ადგილი სამუშაო ძალის ჭარბ მიწოდებას და სად არის მასზე დეფიციტი.

სარისკოა, გაკეთდეს რაიმე განმარტოვებული დასკვნები სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მომზადების და გადამზადების სისტემის, როგორც საკადრო პოლიტიკის ნაწილის ხარჯების და სარგებლიანობის შესახებ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს კლიენტთა მნიშვნელოვან შერჩევას ან ჩარიცხვის წინ კონსულტაციას იმ პროგრამებიდან, რომლებიც მკაცრ

მოთხოვნებს აყენებენ.

პროფესიული სწავლება რომ უფრო შედეგიანი იყოს განსაკუთრებით მაღალანაზღაურებადი მუშაკებისათვის, პროგრამები უნდა იყოს მეტად ინტენსიური ან მეტად ხანგრძლივი, ვიდრე ისინი, რომლებიც ხორციელდება თანამედროვე პირობებში.

მათ, ვისაც აქვს არასრული საშუალო განათლება და ვიწრო პროფესიული სპეციალიზაცია, ეფახებიან სამუშაოს შეცვლის აუცილებლობას, აგრეთვე მართვის მოდელებსა და ტექნოლოგიებს. აუცილებელია პოლიტიკა, რომელიც დაუკავშირებს ტრადიციულ პროფესიულ სწავლებას, საშუალო განათლების დასრულებულ პროგრამებს და მართვის თანამედროვე შესწავლას.

ბაზარზე აქტიური პოლიტიკა შეიძლება დაეყოს 3 ჯგუფად: რომელიც ორიენტირებულია უმუშევრობის აღმოფხვრაზე. უმუშევრობის გამოწვევი მიზეზები დროთა განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში ელინდება განსხვავებული ინტენსივობით, მაგრამ მაინც შეიძლება გამოვყოთ 3 ძირითადი ფაქტორი, რომლებსაც განსხვავებული წვარობები გააჩნია და მოითხოვენ დიფერენცირებულ სტრატეგიულ მიდგომას.

1. მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში უმუშევრობა მთელი ეკონომიკის მასშტაბით ეკონომიკური რყევების შედეგია, რომელიც ერთი მხრივ, გამოწვეულია მიკროეკონომიკური სტაბილიზაციით. ერთობლივი მოთხოვნების მკვეთრი დაცემით. დაგეგმვის ცენტრალიზებული სისტემის და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საკლასო დაწესი და მრავალ ქვეყანაში იმპორტირებულ ნედლეულზე და უპროდუქციულ რესურსებზე ფასების ზრდით. ამ რყევებმა გამოიწვიეს სამუშაო ძალაზე მოთხოვნების დაცემა გარდამავალი პერიოდის ქვეყნების ეკონომიკაში მთლიანად. თუმცა, სხვადასხვა ქვეყანაში იგი სხვადასხვა ხარისხით გამოვლინდება.

II. ხანმოკლე პერიოდში სტრუქტურული უმუშევრობა დაკავშირებულია სხვადასხვა დარგებში ეკონომიკური წონასწორობის დარღვევასთან, რომელიც გამოწვეულია ფასის სტრუქტურის ცვლილებათ, ეკონომიკის ჩართვით მსოფლიო ვაჭრობაში, აგრეთვე

თანამედროვე ტექნოლოგიით და მართვის მეთოდებით. ეს რყევები, რომელთაც აქვთ პრინციპული მნიშვნელობა ბაზარზე გადასყლის მთელი პროცესისათვის, კარნახობენ ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის აუცილებლობას და სამუშაო ძალის ერთი დარგიდან მეორეში გადასვლას. აქ სასიცოცხლო მნიშვნელობისაა აქტიური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია სამუშაო ძალის გადამზადებასა და სამუშაო ძალის გადამზადებისა და სამუშაო ძალის მობილურობის ამაღლებისაკენ.

III. ხანგრძლივ პერიოდში კანონზომიერი პროცესია შრომის ბაზრის გარდაქმნა თანდათანობით ჭარბი მოთხოვნის რეჟიმიდან, რომელიც დამახასიათებელი იყო ცენტრალიზებული დატვირთვისათვის, ისეთ რეჟიმზე, რომლისთვისაც უმუშევრობა ეკონომიკური ლანდშაფტის მუდმივი ელემენტია.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობაში სახელმწიფო სექტორებზე მოდის ძირითადი პასუხისმგებლობა შრომის ბირჟების შექმნის და ფუნქციონირებისათვის ნაკლებად ევალიფიციური და არაკვალიფიციური მუშაკებისათვის. პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს შრომით მოწყობაში დახმარებას, ერთ სისტემაში აერთიანებს ეკანსივზე ინფორმაციას და აგრეთვე სპეციალისტების მომსახურებას, რომლებიც იძლევიან კონსულტაციებს შრომითი მოწყობის შესაძლებლობის შესახებ.

ამჟამად განხორციელებული აქტიური პოლიტიკა შრომის ბაზარზე გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, არ შეესაბამება სოციალურ მოთხოვნებს. პირველი ნაკლი ის არის, რომ დასაქმების სამსახური ძალზე მწირად ფინანსდება. უმუშევრობის ნულთან ან დაბალ დონეზე სახელმწიფოს ხარჯები ამ სფეროში, რა თქმა უნდა, გაცილებით ცოტაა დასაფლეთ ვეროპის ქვეყნების დანახარჯებზე (ხარჯები განსაკუთრებით აქტიურ ღონისძიებებზე). ამასთან, დასაქმების სამსახური კადრების დეფიციტს განიცდის და პერსონალის განათლებაც არასაკმარისია. მაგალითად, უნგრეთში და რუმინეთში ფაქტობრივად უარი თქვა შრომითი მოწყობის ზოგიერთ სახეზე, კერძოდ პროფესიულ

კონსულტაციებზე. გარდა ამისა, შრომის ბაზრების შესახებ აუცილებელი ინფორმაციის უჭონლობა არ იძლევა საშუალებას ემოქმედა ეკონომიკურად ეფექტიანად. ამის შედეგად გაჩნდა ე.წ. დასაქმების კერძო ფორმები, რომელთა უმრავლესობა კრიმინალურ სამყაროს მიეკუთვნება.

არსებული სისტემის მეორე ნაკლია შესათავაზებული მომსახურების ძალზე მწირი შესაძლებლობები. დასაქმების ადგილობრივი სამსახურები მხოლოდ მინიმალურად არჩევენ ვაკანტური ადგილების პოტენციურ მუშაკებს, კონსულტაციები ტარდება მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში. მასობრივი დათხოვნები ხორციელდება გარკვეული პოლიტიკისა და სპეციალური მეთოდების გარეშე. კადრების მომზადების და გადამზადების პოლიტიკას ვიწრო მიმართულება აქვს არ ითვალისწინებს უმუშევართა დახმარებას და არ პასუხობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს. პროფესიული სწავლების სფეროში არ არის კონკურენცია. ძალზე მცირედ ფინანსდება პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდობას კვალიფიკაციის ამაღლებასა თუ სამსახურეობრივ წინსვლაში დაეხმარება.

არსებული სისტემის ნაკლად შეიძლება ჩავთვალოთ რეგიონული ეკონომიკური განვითარების თავისებურებათა სუსტი გააზრება. ადგილობრივ ორგანოებს არა აქვს რეგიონული ეკონომიკის იმ დარგების გამოყოფის გამოცდილება, რომლებიც ინვენსტორებს მოიზიდავს და კონკურენციულ უპირატესობას ფლობს. ასევე არ შეუძლიათ ამ უპირატესობათა შესახებ პოტენციურ ინვენსტორთა ინფორმირება. არსებული სამსახურები არ ახალისებს კერძო პირთა ინიციატივას და არც კაპიტალდაბანდების სტიმიულის გამოყენებას ცდილობს.

შეიძლება გამოვყოთ უმუშევრობის შერბილების, ორი სოციალური პოლიტიკა: ტოტალური და იმპანენტური.

ტოტალური პოლიტიკა ნიშნავს უმუშევართა და იმ დასაქმებულთა დახმარებას, რომლებიც სიღარიბის მინიმალურ საზღვრამდე, მისი დადებითი მხარეებია: სამართლიანობა, საყოველთაოობა, ადრესულობა,

სიღარიბის დონის გათანაბრება მინიმალურ შესაძლო დონესთან.

ამ პოლიტიკის გატარება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც მოსახლეობის ფართო ფენები უზრუნველყოფენ ან კიდევ მათი შრომით მიღებული შემოსავლი არ აღწევს მინიმალურ დონეს. ტოტალური პოლიტიკის განხორციელება მოითხოვს მაკაღ საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ ხარჯებს. იგი შრომატევადი საქმიანობაა. დახმარების პროგრამები კი არაპროფიციუზირებადია, რომელიც ცვლებადი დანახარჯების საფუძველზე ხორციელდება.

იმანენტური პოლიტიკა გულისხმობს უზრუნველყოფას და დახმარებას მიერ თავიანთი მოთხოვნის განსაზღვრას იმ დახმარებაზე, რომელიც მათ სჭირდებათ შრომითი მოწყობისათვის ან ემიგრაციაში წასასვლელად.

ამ პოლიტიკის დადებითი მხარეა ის, რომ იგი უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეების აქტიურ მოქმედებას შრომის ბაზრებზე თავიანთი დასაქმების უზრუნველსაყოფად, მაგრამ ამ პოლიტიკის უარყოფით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი გამოიწვევს ახალ უზრუნველყოფას გამოიწვევს, რომელიც აღარ აკმაყოფილებს თავიანთი სამუშაო ადგილი არასაკმარისი ანაზღაურების გამო.

ეკონომიკის აღორძინება ვარდამაკავალ პერიოდში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია შრომითი რესურსების ცვალებად საბაზრო მოთხოვნებთან ადაპტაცია, რომლის ხელშეწყობი ვითარება დასაქმების სტრატეგიის გატარებით უნდა შეიქმნას.

ამ სტრატეგიას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო გარდამავალი პერიოდის პროცესების წარმართვაში, არამედ მათ მომავალ განვითარებაშიც. დღევანდელი მიმართულებები, საქმიანობა ამ მიმართულებით უნდა პასუხობდეს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. კერძოდ, მიმდინარე მოკლევადიანი მიზნებით არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სასომაველო პერსპექტივებს და ახლავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, უპირველესად გულისხმობს მოქალაქეთა პირად პასუხისმგებლობას საკუთარ კეთილდღეობაზე.

ეკონომიკური სტაბილიზაცია და სტრუქტურული გარდაქმნები ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორია გრძელვადიან პერიოდში, ხოლო მოკლევადიან პერიოდში კი ეს პროცესები დაკავშირებულია სერიოზულ სოციალურ პრობლემებთან.

საქართველოს ეკონომიკაში არ განხორციელდება მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა მანამდე, სანამ მოსახლეობა ვერ შეძლებს ისეთი სამუშაო ადგილების მოპოვებას, რომელიც მისი სოციალური დაცვის მთავარი გარანტი იქნება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოში გატარდება გონივრული და რეალური დასაქმების პოლიტიკა.

მ. ჰელიქი

საქონლის ბასაღების არხები და მათ შერჩევაზე * მოქმედი ფაქტორები

საქონლის განაწილება მრავალი წელია საჩუქრის საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეა, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი ფუნქციის მნიშვნელობა მან არც თუ ისე დიდი ხნის წინ შეიძინა.

შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ საქონლის ფიზიკური მოძრაობა მწარმოებლიდან მომხმარებელამდე მარტივი ამოცანაა, მაგრამ სინამდვილეში იგი მეტად რთული პროცესია.

განვითარებულ ქვეყნებში 50-60-იან წლებამდე განაწილების სისტემები ვითარდებოდა სტიქიურად. განაწილების არხების არჩევა, წარმოება, შეფუთვა, ტრანსპორტირებისათვის მომზადება და მიწოდება არ განიხილებოდა მჭიდრო ერთიერთსავე შიქრში.

განაწილების ფუნქციაზე ინტეგრირებული შეხედულება 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა. აღმოჩნდა, რომ პროდუქტის განაწილების სხვადასხვა ფუნქციის გაერთიანება მართვის ერთიან ფუნქციაში ეფექტიანობის ამაღლების უდიდეს რეზერვებს შეიცავს.

ყოველ საქონელს, მათ შორის საქონლიტრო ნაწარმსაც, სტირდება განაწილების ყველაზე ეკონომიური გზა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ამ პირობების გადაჭრაში გამორჩეული ადგილი უკავია საბითუმო ვაჭრობას.

საქონელმობრლობა ხორციელდება გარკვეული არხების მეშვეობით, რომელიც მოიცავს ყველა იმ სუბიექტსა და ობიექტს, რომლებიც ემსახურებიან ამ პროცესს მოცემულ გზაზე. საქონელმობრობის არხები ასრულებენ საკმაოდ მრავალმხრივ ფუნქციებს, მაგალითად: საქონლის მწარმოებელ და შეიღვეულ ორგანიზაციებს შორის კავშირის განმტკიცება, საქონლის დაყენა მწარმოებლიდან მომხმარებელამდე უშუალოდ გზით და უმცირესი დანახარჯებით, საქონელმობრობასთან დაკავშირებული ოპერაციების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულება, პასუხისმკებლობა თითოეული არხის საქმიანობაზე.

საქონელმობრლობა ხორციელდება პირდაპირი ან არაპირდაპირი (ირიბი) არხებით. პირდაპირი გულისხმობს მწარმოებლის მიერ საქონლის უშუალო გაყიდვას მომხმარებლებზე ყოველგვარი შუამავლების გარეშე მწარმოებლები საქონლის გასაღების პირდაპირ არხს უშეტყსნილად იყენებენ მაშინ, როდესაც გასაღების ბაზარზე არ აქვთ სათანადო გავლენა, ან სურთ უშუალო კავშირის დაყარება მომხმარებელთან.

ირიბი არხებით განხორციელებული საქონელმობრობის დროს საქონელი მწარმოებლიდან მომხმარებელამდე დაიყენება ერთი ან რამდენიმე საშუალებლო რგოლის გავლით. ამ დროს საქონლის მიყიდვა ხორციელდება არა საბოლოო მომხმარებელზე, არამედ საქონელმობრობის უშუალო მონაწილე შუამავალზე.

საქონელმობრობის პროცესში უშუალო რგოლების რაოდენობის ზრდა იწვევს საქონელბრუნვადობის შენელებას, საქონლის ტრანსპორტირებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯების ზრდას და სხვა უარყოფით მოვლენებს რაც უკეთ რგოლით ჩართული საქონელმობრობის სფეროში, მათ გრძელთა საქონელმობრობის არხი და პირიქით.

მწარმოებლები თავიანთი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის იყენებენ გასაღების სხვადასხვა არხებს, ამასთან სანდათან ასუსტებენ ფაისებს პროდუქციაზე, აუშჯობესებენ რეკლამას და მომსახურების დონეს ბაზრის სხვადასხვა სეგმენტისათვის. სოციალური მწარმოებელი ირჩევს რა საქმიანობის საშუაშელო ხასიათს, აგზაინის თავის წარმომადგენლებს საკუთარი პროდუქციის მსარდასატკრად და შეკვეთების შესაგროვებლად, წყვეტს მეზითუშეების შეკვეთებით ფიზიკურ უსრუნველყოფას. ამგვარად, მწარმოებლები აკონტროლებენ გასაღებას, მაგრამ არ არიან ჩართულნი დაშოუკიდებელი გამანაწილებელი სისტემების მალად კაპიტალურ დასახარჯებში.

საქონლის წარმოების ზრდა და მისი ასორტიმენტის გაფართოება, საქონელმოდრაობის არხების არჩევასთან ერთად, მითხოვს მათი გამოყენების ინტენსივობის წინასწარ განსაზღვრას. თუ მწარმოებელი დაინტერესებულია ახალი ასორტიმენტის საქონლის პრესტიჟის ამაღლებით, მისი მოშეებიანობის ზრდით შეზღუდული წარმოების პირობებში, საქონელმოდრაობის არხების საქმიანობის უკეთ შესწავლით და მათზე კონტროლის გაძლიერებით, მაშინ იგი მკვეთრად ამცირებს მოცემულ რეგიონში შუამაშეალთა რაოდენობას და შეშოიფარგლება ერთი ან ორი მალაზიით. ეს ცნობილია „მქსკლუზიური განაწილების“ სახელწოდებით.

საქონლის შერჩევით გასაღებისას მწარმოებელი გარკვეულად ზრდას საბითუმო და საცალო ვაჭრობის შუამაშეალთა რაოდენობას, ხოლო თუ მწარმოებლის მთაეარი მიზანია გასაღების ბაზრის გაფართოება, მასზე პრიყილეგიების მოპოვება და მოგების მაქსიმისაცია, მაშინ მან უფრო მეტად უნდა მიმართოს გასაღების ინტენსიურ ფორმას, რომლის დროსაც იგი დიდი რაოდენობით გამოიყენებს საბითუმო და საცალო ვაჭრობის შუამაშეალთა ამგვარად, შეზღუდული ფორმისგან განსხეაეებით, ინტენსიური გასაღების პირობებში მწარმოებლის სტრატეგია მიზნად ისახავს თავისი გაღაენის გაფართოებას კვლავწარმოების ყველა ფაზაზე.

სოციალურ შემოხეევაში დასაშეგბია მწარმოებლის მიერ

საქონლის გასაღების სხვადასხვა არხის ერთდროული გამოყენება. საქონლის სასიცოცხლო ციკლის ეტაპების გავლის შესაბამისად, სავსებით მისაღებია გასაღების შესუღულული არხიდან ინტენსიურზე გადასვლა.

განაწილების არხების არჩევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ფორმების მარკეტინგული სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მწარმოებლები იშვიათად იყენებენ განაწილების ერთ არხს, ჩვეულებრივ ისინი ირჩევენ რამდენიმე არხს მათი ოპტიმალური შეხამებით. რამდენიმე არხის გამოყენებით პროდუქციის მწარმოებელს შეუძლია მიადწიოს თავისი საქონლის უფრო ფართო წარმოდგენას ბაზარზე საშუაშაველო საწარმოების ცალკეულ სახეებზე დამოკიდებულების შემცირებით. გარდა ამისა, ცალკეულ შუამავლებს შეუძლიათ მწარმოებლებზე ზეწოლა შოლაპარაკებების დროს, შეთანხმებების დადებისას. მრავალარხიანი სტრატეგია მწარმოებელს ასევე აძლევს დიფერენცირებული გასაღების გარანტიას, საქონლის, მისი გადაადგილების, ფასის და მომსახურების დონის მისადაგებას ბაზრის ცალკეული სეგმენტის მოთხოვნებისადმი.

ძალიან რთულია გასაღების არხების სხვადასხვა ტიპების შეფარდებით სარგებლიანობაზე ზოგადი დასკვნების გაკეთება. მწარმოებლების მიერ გამოყენებული არხების რაოდენობა და ტიპები, აგრეთვე მათი საშუალებით გასაგზავნი პროდუქციის თანაფარდობა დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. არხების გამოყენება დამოკიდებულია გეოგრაფიულ გარემოზეც, რომელიც იწვევს განაწილების სისტემების სტრუქტურების და ყორმის პროდუქციაზე მოთხოვნის რეგიონულ სხვაობებს.

ყოველ მწარმოებელს აქვს უამრავი არხის გამოყენების შესაძლებლობა. მწარმოებლების მიერ გამოყენებული გასაღების არხების ანალიზის დროს მარკეტინგის სპეციალისტები ყურადღებას ხშირად არხების ერთ-ერთ რომელიმე მხარეზე ამახვილებენ. მაგალითად – მანძილზე ხშირ შემთხვევაში მოკლე არხები ივსევა, რაც განაწილება უშუალოდ საცალო სავაჭრომდე ან მომხმარებელამდე (პირდაპირი არხი), ხოლო გრძელი არხები ივსევა, რაც ირრით

განაწილება საბითუმო შუამავლების გზით.

ამა თუ იმ არხისადმი უპირატესობის შინაგება ხშირად განპირობებულია პროდუქციის ბუნებით, მწარმოებლებით, ბაზრით ან თვითონ არხით.

განაწილების არხის შერჩევისას დიდი მნიშვნელობა აქვს სტადიას პროდუქტის „სასიცოცხლო ციკლში“. პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი შეიძლება დაიყოს ცალკეულ სტადიებად. რომელთაგან თითოეული ხასიათდება სხვადასხვა სახის ვაჭრობის გამოყენებით და მოითხოვს განაწილების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებას. პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ზოგად მოდელს აქვს ოთხი სტადია: ბაზარზე შემოტანა, ზრდა, მოწიფულობა, შემცირება. ბაზარზე პროდუქტის შემოტანის შემდგომ ახალი პროდუქტის გაყიდვათა სიდიდე შეიძლება არ იყოს იმდენად დიდი, რომ გაამართლოს განაწილების პირდაპირი არხების გამოყენება. რადესაც საცალო მოვაჭრეების მიერ განსაზღვრულ საცდელ ტერიტორიებზე დადგინდება საქონლის გადაადგილების პირდაპირი კავშირები, ბითუმად მოვაჭრეები შექმნიან ბაზარზე შემოსვლის ძირითად პუნქტებს. თუ აღმოჩნდა, რომ საქონელი წარმატებით სარგებლობს და გაყიდვები ფართოვდება, ხარჯების თვალსაზრისით პირდაპირი განაწილება შეიძლება ეფექტიანი გახდეს. ამ მომენტისათვის საქონლის კონკურენტული სახეობების გამოჩენა ასევე აძლიერებს საქონლის უფრო აქტიურად გადაადგილების აუცილებლობას გაყიდვის საბოლოო პუნქტამდე. ზრდის სტადიაზე ბითუმად მოვაჭრეებზე დამოკიდებულება უფრო შესუსტდება. მოწიფულობის სტადიაზე პირდაპირი და არაპირდაპირი არხების გამოყენება სტაბილური ხდება. ბაზრის გაჯერება მსგავსი პროდუქტებით ინტენსიურ კონკურენციასთან ერთად გამოიწვევს გაყიდვათა გათანაბრებას. სავაჭრო ხარჯების შეზღუდვის სერვილი ხელს უწყობს ფირმას საცალო მოვაჭრეებთან დამატებითი პირდაპირი კავშირების დამყარებაში, მაგრამ ამავე დროს, საქონლის მაწოდების ხელშეწყობის აუცილებლობა არსებული კავშირების გაწყვეტას მოითხოვს გაყიდვათა შემცირების სტადია ხასიათდება კონტრაქტული

ბაზრიდან გამოსვლით და განაწილებაზე და მიწოდებაზე ეკონომიის გაწვევით. ამან შეიძლება გამოიწვიოს ბითუმად მოვაჭრეებზე ძლიერი დამოკიდებულების სტადიისაკენ დაბრუნების შესაძლებლობა, მაგრამ, მოხედავად ამისა, მაინც ხელს უწყობს მსხვილ საცალო მოვაჭრეებთან პირდაპირი კავშირების გაგრძელებას.

გამოყენებული არხის ტიპზე გავლენას ახდენს რიგი გარემოებანი. მაგალითად, მსხვილ მწარმოებელს პროდუქციის კარგად დადგენილი ნომენკლატურით, პირველ სტადიაზე შეუძლია ინტენსიურად გაყიდოს ახალი საქონელი საცალო დონეზე და საქონლის სასიცოცხლო ციკლის არც ერთ სტადიაზე არ გამოიყენოს საბითუმო ვაჭრობა. განაწილების ცენტრალიზებული სისტემის გამოყენებისას, საცალო მოვაჭრეთა სიჭარბის პირობებში ვაჭრობის წარმართვის დროს წერილი მწარმოებლებიც კი შეიძლება მოექცნენ მცირე რაოდენობის პირდაპირი საცალო კავშირების ზეგავლენის ქვეშ. დოუსონის თანახმად, „საქონელი თავისი სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა სტადიაზე სიერცის სხვადასხვა წერტილში იმყოფება“. ამას თავისი წყლილი შეაქვს ბაზრის სხვადასხვა არხების გამოყენების რეგიონული ცვლილებების საკითხში.

ცალკე აღებული ქვეყნის ან რეგიონის ყარგლებში მოცემული პროდუქციის გაყიდვით დასაქმებული საწარმოების ლიჭიდროვე არის მოსახლეობის სიერცობრივი განაწილების ფუნქცია. სოფლად, სადაც მოსახლეობა არ არის კონცენტრირებული, საწარმოები მცირე რაოდენობითაა, მცირე ზომისაა და ისინი დაშორიშორებულნი არიან. მწარმოებლისათვის ეს ამყირებს საქონლის მიწოდებას და პირდაპირ განაწილებას სოფლად საცალო ვაჭრობა ნაკლებადაა განვითარებული და მწარმოებლებს არა აქვთ საქონლის მიწოდების და გაყიდვის ისეთივე შესაძლებლობები, როგორც ქალაქად. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში მწარმოებლები ცდილობენ მეტად გამოიყენონ საბითუმო ვაჭრობა.

როდესაც საუბარია სხვადასხვა საბაზრო არხებზე ფირმის დამოკიდებულების შესახებ, ჩვეულებრივ მხედველობაშია საქონლის ზომა, ნომენკლატურა და კორპორაციული სტრუქტურა სხვადასხვა

ზომისა და ბრუნვის ასობით ფირმის შესწავლისას დადგენილია, რომ ფირმის ზომასა და გამოყენებულ არხებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. მსხვილი ფირმები ნაკლებად ეყრდნობიან სისტემას და უფრო მეტად პირდაპირ განაწილებას იყენებენ. მიუხედავად ამისა, თანაფარდობა ფირმის სიდიდესა და არხზე დამოკიდებულებას შორის შეიძლება დამახინჯდეს სხვადასხვა ხერხებით. მაგალითად, მეწარმე, რომელიც აწარმოებს საქონლის ფართო სექტრს ხვადასხვა ბაზრისათვის, შეიძლება განიცდიდეს გაყიდვათა მოცულობის სიმცირეს ბაზრის გარკვეულ სექტორებში, რის შედეგადაც არ იქნება მიზანშეწონილი პირდაპირი განაწილების გამოყენება. მეწარმის პოლიტიკა შეიძლება იცვლებოდეს ინვესტიციების მიმართაც. იმ დროს, როდესაც რიგი ფირმები მზად არიან განაწილების სფეროში სახსრების ინვესტირებისათვის, სხვები უპირატესობას საწარმოო სფეროში რესურსების კონცენტრირებას ანიჭებენ და პასუხისმგებლობას განაწილებაზე სხვა სააგენტოებს აკისრებენ.

აქამდე ჩვენ ვვარაუდობდით, რომ მწარმოებლებს საქმე აქვთ დასრულებულ საბაზრო არხთან, რომლის ბოლო რგოლია საცალო სავაჭრო საწარმო. ეს მართებულია მსხვილი ფირმებისათვის, მაგრამ არ ეხება უმრავლეს წვრილ და საშუალო მწარმოებლებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მხოლოდ დაუყოვნებელ სავაჭრო კავშირებში. მეწარმემ შეიძლება არაფერი არ იცოდეს და არ ზრუნავდეს იმაზე, თუ რა მოუწავს მის საქონელს იმ მოვაჭრის დატოვების შემდეგ, რომელმაც მას თანხა უკვე გადაუხადა; ამით სადავო ხდება არხების არჩევაზე ჩამოყალიბებული შეხედულებები, რომლებიც გულისხმობს, რომ სწორედ საქონელმწარმოებელი ახორციელებს კავშირების არჩევას არხის შიგნით და აღგენს არხის საქმიანობის წესებს იმ სავაჭრო საწარმოს ჩათვლით, რომელიც მის საქონელს მიყიდის საბოლოო მომხმარებელს. სხვას ყველას, მსხვილი მწარმოებლების გარდა, არ შეუძლიათ მოახდინონ გაუელენა დისტრიბუტორებზე, თუ არ მუშაობენ მათთან უშუალოდ.

არხების ანალიზისადმი ტრადიციული მიდგომა შეიძლება გაავარტიკოთ იმის გამო, რომ არხები ჩვეულებრივ ორიენტირებული

არიან მწარმოებლებზე და მას განიხილავენ, როგორც არხის ფორმირების აქტიურ საშუალებას, ხოლო დისტრიბუტორებს — როგორც პასიურ ორგანიზაციას, რომელიც ელოდება არჩევანს. ფაქტობრივად, ამჟამად უმრავლეს არხებში ბატონობენ მსხვილი საბითუმო სავაჭრო ფორმები, ან მათში შენარჩუნებულია წონასწორობა გასაყიდი და მყიდველობითი უნარის საშუალებით არხის ამ და იმ ბოლოში. ეს ბითუმად მოვაჭრეებს საშუალებას აძლევს უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ მიმწოდებლის შერჩევასა და საჭონდის გასაღებაზე კონტროლს. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ მსხვილ სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის გადაწყვეტილებებზე მოქმედი ფაქტორების გამოკვლევისას აქცენტი გასაღების არხზეა გადატანილი.

მ. სეთური

მარკეტინგის სტრატეგია, დაბეჭდვა და კონტროლი

მარკეტინგის მართვა წარმოუდგენელია მარკეტინგის დაგეგმვისა და კონტროლის გარეშე, რაც უზრუნველყოფს ფირმის შესაძლებლობათა მიზანმიმართულ გამოყენებას.

მარკეტინგის დაგეგმვა მოიცავს ორ ნაწილს: სტრატეგიულ და ტაქტიკურ დაგეგმვას. ამასთან, მარკეტინგის სტრატეგია და ტაქტიკა ერთიანი პროცესის სახით ვლინდება.

სტრატეგიული ან ტაქტიკური გეგმის შედგენისას აუცილებელია სათანადო შეფასება მიეცეს მარკეტინგულ გარემოში არსებულ მოვლენებსა და მიზდინარე ცვლილებებს. ამიტომ დაგეგმვა ეყრდნობა სიტუაციური ანალიზის შედეგებს. სიტუაციური ანალიზი კი გულისხმობს ფირმის არსებული მდგომარეობის შესწავლას და იმ რეალური პირობების გათვალისწინებას, რომელშიც მოუწევს ფირმას

საქმიანობა. კერძოდ, მოიპოვებენ ინფორმაციას მოცემული დარგის, კონკურენტების, მომხმარებლის და ა.შ. შესახებ. ეს ბუნებრივია, რადგან საბაზრო პირობებში სამეურნეო ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით, გართულებულია ფირმის ბაზარზე დაჩქეიდრება და პოზიციების შენარჩუნება; კონკურენტები უქმნიან ფირმას დამატებით და ხშირ შემთხვევაში, სერიოზულ პრობლემებს. ამიტომ მარკეტინგულ გარემოში მიმდინარე პროცესები და ცვლილებანი ზემოქმედებენ საწარმოთა შიდა მდგომარეობაზე რაც უფრო უტყუარაა ამ მიზნით მოპოვებული ინფორმაცია, მით მეტი საშუალებაა მისი ობიექტური ანალიზისა და შეფასებებისათვის, აგრეთვე იმისათვის რომ მივაღწიოთ შესაბამისობას მარკეტინგულ გარემოსთან. ამ პრობლემათა გადაჭრაში გვეხმარება სიტუაციური ანალიზი. იგი ხელს უწყობს ფირმას პასიურად კი არ ველოდოს ცვლილებებს, არამედ, შესაძლებლობის მიხედვით, მიზანმიმართულად იმოქმედოს თავისი ინტერესების შესაბამისად. სტრატეგიული დაგეგმვის უმთავრესი ამოცანაა ფირმის საქმიანობის იმ ძირითადი მიმართულებების შერჩევა, რომელნიც მას მისცემენ საშუალებას მიაღწიოს დასახულ გლობალურ მიზნებს. მისი რილი უპირველესად ისაა, რომ ზუსტად და სისტემაურად აღწეროს ფირმის მიერ მიღებული სტრატეგიული არჩევანი თავისი ხანგრძლივი ზრდა-განვითარებისა და რენტაბელობის უზრუნველსაყოფად.


მართალია, სტრატეგიული გეგმა განისაზღვრება დროის დიდი პერიოდისათვის, მაგრამ იგი არ უნდა გავათანაბროთ უბრალოდ გრძელვადიან გეგმასთან. რადგან, ამ უკანასკნელისაგან სტრატეგიული გეგმა განსხვავდება, უპირველესად, თავისი შინაარსით.

სტრატეგიული გეგმის შედგენისას აუცილებელია პროგნოზირება სამი ძირითადი მიმართულებით: ა) ინვესტიციები; ბ) საწარმოო პროგრამა, რაც შესაბამისობაში უნდა იყოს ბაზრის მოთხოვნასთან; აბასთანავე, პროგნოზირება მოწოდებულია აჩვენოს სრული სურათი სამომავლო ტენდენციების შესახებ სამომხმარებლო მოთხოვნის ვანვითარების მიმართულებით; გ) საბრუნავი საშუალებები.

სტრატეგიული დაგეგმვა რამდენიმე დონეზე ხორციელდება.

მაგ., პირველ ეტაპზე მიიღება სტრატეგიული გეგმა მთელი ფირმის მასშტაბით, შემდგომში კი - ბიზნესის ცალკეული ერთეულების (სფეროების) მიხედვით.

სტრატეგიული დაგეგმვის დინამიკური პროცესი მოიცავს შემდეგ თანამიმდევრულ ეტაპებს:



ფირმა, თავისი დაარსებიდან მოყოლებული, ცდილობს მიაღწიოს გარკვეულ მიზნებს. ამიტომაც განისაზღვრება საწარმოს მისია. ცალკეულ შემთხვევაში მას უწოდებენ ბიზნესის კონცეფციას ან ფირმის პროგრამას. იგი საყრდენი დოკუმენტია, რომელიც ეხმარება საწარმოს და მის ხელმძღვანელობას გაიაზრონ თავიანთი ბიზნესი უფრო ფართო დიაპაზონით.


სტრატეგიული მისიის ჩამოყალიბების მიზნით პროგრამაში ფირმა აღწევს თავისი ძირითადი საქმიანობის შინაარსს, ბაზარს, აყალიბებს ფასეულობათა მისეულ სისტემას და სახელმძღვანელო პრინციპებს. ამით ორგანიზაცია და მისი პერსონალი გარკვეულად მზად არის ერთიანი პოზიციის დასაკეებლად. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს ფირმას თავისი მიზნობრივი სახის შექმნაში, რადგან პროგრამა იძლევა განმარტებას, თუ საზოგადოებაში როგორი ეკონომიკური და სოციალური როლის შესასრულებლად მიახწრაფვის მოცემული საწარმო. მისი განსაზღვრა მოიცავს ფირმის ისტორიას, მისი საქმიანობის (ბიზნესის) განსაზღვრას, რაც უნდა განხორციელდეს არა ტექნოლოგიური ტერმინების გამოყენებით. არამედ იმ მოთხოვნებიდან, რომელთა დასაკმაყოფილებლადაც არის იგი მოწოდებული.

პროგრამის მიღება, შეიძლება ითქვას, პირველი ნაბიჯია ფირმის შემდგომი საქმიანობისათვის. ამიტომ იგი, უპირველესად, უნდა მიუთითებდეს, მომხმარებლის რომელი მოთხოვნები დააკმაყოფილება შეუძლია ყველაზე ეფექტიანად.

ფირმის საერთო მიზნებსა და მარკეტინგის მიზნებს შორის ურთიერთდამოკიდებულება სქემატურად შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სახით:

ნახ. 1

ფირმის მიზნებისა და მარკეტინგის მიზნების ურთიერთდამოკიდებულება



მას შემდეგ, რაც გარკვეულია საწარმოს მისია, აუცილებელია მისი მიზნების განსაზღვრა, რის შემდეგაც ადგენენ მარკეტინგის მიზნებს. ნებისმიერი ფირმის წინაშე ყოველთვის დგას მრავალრიცხოვანი მიზნები. მათ შეიძლება გააჩნდეთ ეკონომიკური და არაეკონომიკური ხასიათი. მრავალ მიზნებს შორის აუცილებელია პრიორიტეტების განსაზღვრა. პრიორიტეტული მიზნები ესაა ერთსა და იმავე დროს ზოგადი მითითებები და შეზღუდვები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში.

მიზნები შეიძლება წარმოვიდგინოთ ფირმის მიზნების და მარკეტინგის მიზნების სახით. მარკეტინგის მიზნები არის ფირმის საერთო მიზნების შემადგენელი ნაწილი. მარკეტინგის მიზნები უმთავრესად გადმოიცემა ა) გაყიდვათა მოცულობასთან; ბ) მოგებასთან; ან გ) მომხმარებლებთან მიმართებაში.

აუცილებელია მიზნების შემდგომი დაკონკრეტება. ამოცანები მიზნების შემდგომი კონკრეტიზაციის ფორმაა. საწარმოს წინსვლისათვის ესაჭიროება ისეთი ამოცანები, რომლებიც მჭიდროდ დაუკავშირდება მიზნებს. ამოცანები წარმოგიდგება როგორც დაკონკრეტებული მიზნები, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნის მიღწევას. სწორად არის დასახული ის ამოცანები, რომლებიც კონკრეტულია. გათვალისწინებულია დროის გარკვეულ პირობებში შესასრულებლად და მიმართულია განსაზღვრული შედეგების მისაღწევად.

სტრატეგიული დაგეგმვის მომდევნო ეტაპზე აუცილებელია საინვესტიციო პორტფელის გეგმის შემუშავება. შეარჩევენ ფირმის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს სტრატეგიული დაგეგმვა ითვალისწინებს კომპანიის საქმიანობის (ბიზნესის) ყველა მიმართულებას. ფირმას კი შეიძლება გააჩნდეს საქმიანობის რამდენიმე სფერო. ასე მაგ., ცნობილი კომპანია „მარსი“ ერთდროულად აწარმოებს კვების პროდუქტებს, გაყინულ კვების პროდუქტებს, საქონელს ცხოველთა კვებისა და მოვლისათვის, ელექტრონულ ტექნიკას. თითოეული აღნიშნული სფერო, თავის მხრივ, წარმოდგენილია მრავალი სხვადასხვა საქონლით. კერძოდ, საკონდიტრო ნაწარმი: 18

დასახელების შიკოლადით და ნაყინით. ელექტრონული ტექნიკა: საბანკო აპარატურით, მიკროპროცესორებით; კვების გაყინული პროდუქტები: ნახევრად მომზადებული კერძებით, ხორცის ნაწარმით, დელიკატესებით და ა.შ.

ფირმის ბიზნესის სხვადასხვა მიმართულებანი არ არის ერთნაირად წარმატებული და მომგებიანი. სტრატეგიული დაგეგმვა ითვალისწინებს რა ყოველივე აღნიშნულს, ხელს უწყობს ფირმისათვის მიმგებიანი და პერსპექტიული მიმართულებების განვითარებას. ამიტომ ორგანიზაციები ახორციელებენ უპირველესად რენტაბელური და პერსპექტიული ბიზნესის სტრატეგიული ერთეულების ინვესტირებას და არა წამგებიანის მხარდაჭერას. ნაკლებად რენტაბელურ სფეროებში ფირმა თანდათანობით შეკუმშავს ან საერთოდ შეწყვეტს ინვესტირებას ბიზნესის ერთეულების მიხედვით შედგენილი სტრატეგიული გეგმები ფირმის დონეზე განიხილება. მათი შედგენის მიზნით გამოიყენება სხვადასხვა მარკეტინგული მოდელები.

სტრატეგიული დაგეგმვის მომდევნო ეტაპია ფირმის ზრდის სტრატეგიის შერჩევა, რომელიც შეიძლება 3 ძირითადი მიმართულებით განხორციელდეს: ინტენსიური, ინტეგრაციული და დივერსიფიკაციული ზრდით.

ინტენსიური ზრდა გულისხმობს ფირმის განვითარების შესაძლებლობათა გამოყენებას თვით საწარმოს შიგნით, რაც გამართლებულია იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს ბოლომდე არა აქვს ამოწურული თავისი შესაძლებლობანი არსებული საქონლისა და ბაზრის პირობებში. ინტენსიური ზრდის სტრატეგია აისახება ბაზარზე მტკიცედ დამკვიდრების, ბაზრის საზღვრების გაფართოების, ან საქონლის სრულყოფის სტრატეგიაში.

ინტეგრაციული ზრდის შემთხვევაში ვლინდება ფირმის ინტეგრაციის შესაძლებლობანი ბაზრის სხვა სუბიექტებთან. ასე მაგ., საქონელგამმარ არსებთან, კონკურენტებთან, მიმწოდებლებთან. განასხევებენ ინტეგრაციის 3 ფორმას: რეგრესულს, პროგრესულს და პორიზონტალურს. რეგრესულ ინტეგრაციის პირობებში ფირმა ცდილობს ინტეგრირებას მიმწოდებლებთან; პროგრესული

გულისხმობს ფირმის მცდელობას თავის კონტროლს და გავლენას დაუქვემდებაროს საქონელგამტარი არხები; კორიზონტალური ინტეგრაცია კი ხორციელდება კონკურენტებთან შეთანხმების გზით.

დივერსიფიკაციული ზრდა გამართლებულია იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემული დარგი ფირმისათვის კარგავს პერსპექტიულობას და იგი ცდილობს მის გარეთ ექმოს თავისი ზრდა-განვითარების შესაძლებლობები, რისთვისაც განსაზღვრავს იმ სფეროს, სადაც შეძლებს თავისი უნარის გამოვლენას, გამოცდილების გამოყენებას და წარმატების მოპოვებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ არ არსებობს ყველა ფირმისათვის საყოველთაოდ აღიარებული და ოპტიმალური სტრატეგია. თითოეული მათგანი, ითვალისწინებს რა თავისი საქმიანობის პროფილს, მიზნებს, შესაძლებლობებსა და რესურსებს, შეიმუშაებს საკუთარ სტრატეგიას. ასე მაგ., ერთი და იგივე პროფილის საწარმოებიდან ერთ-ერთი შეიძლება ორიენტირებული იყოს ხარჯების შემცირებაზე, მეორე კი - ახალი წარმოების მხარდაჭერაზე და ა. შ.

მარკეტინგული დაგეგმვის პროცესში ყველაზე არსებითი წვლილი შეაქვს მარკეტინგის მენეჯერებს. ისინი არიან პასუხისმგებელნი საწარმოს მიზნების განსაზღვრისას; ანალიზებენ მარკეტინგის გარემოს მდგომარეობას, კონკურენციის დონეს და საბაზრო სიტუაციებს; განსაზღვრავენ ამოცანებს, სტრატეგიას, საქონლის ნომენკლატურას, ბაზრებს, განაწილების სისტემას და სხვ.

სტრატეგიული გეგმები დგება ხანგრძლივი პერიოდისათვის. ყველაზე ფართო გავრცელება პრაქტიკაში მიიღო 2-წლიანი, 5-წლიანი, 10-წლიანი გეგმები. თუმცა ზოგიერთი კომპანია ამ სახის გეგმებს დროის უფრო დიდი პერიოდისათვისაც ადგენს.

სტრატეგიული გეგმები, როგორც წესი, მუშაედება ფირმათა ხელმძღვანელობის მიერ, გამოხატავენ მათ ძირითად მიზნებსა და გენერალურ სტრატეგიას ხანგრძლივი დროისათვის. ისინი საფუძვლად ედება მარკეტინგის მიმდინარე პროგრამების მიღებას ანუ ტაქტიკურ დაგეგმვას.

ტაქტიკური გეგმა წარმოგვიდგება სტრატეგიული გეგმის რეალიზაციისათვის კონკრეტულ ღონისძიებათა ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობის სახით. იგი დეტალიზებული გეგმაა, შედგენილი ფირმის თითოეული ქვედანაყოფის, საქონლის, სასაქონლო ჯგუფის, სამარკო საქონლის ან ბაზრისათვის.

მარკეტინგის ტაქტიკური გეგმა მარკეტინგულ ღონისძიებათა კოორდინაციის ძირითადი ინსტრუმენტია, იგი ორიენტირებულია მიმდინარე ამოცანების გადაწყვეტაზე. ამიტომ, როგორც წესი, წარმოდგენილია მარკეტინგის მოკლევადიანი პროგრამების სახით, რომლებიც ჩვეულებრივ 1 წლის ვადით დგება. ტაქტიკური გეგმების მიღება ამსუბუქებს შიდასაფირმო მართვის პროცესს, უზრუნველყოფს მის დეცენტრალიზაციას. ამგვარ პროგრამებზე დაყრდნობით მარკეტინგის მენეჯერი ახორციელებს კონტროლს ფირმის საწარმოო და გასაღებით საქმიანობაზე, აგრეთვე, აძლევს მას საშუალებას დროულად შეიტანოს ცვლილებანი პროგრამაში და დროულად მიიღოს გადამჭრელი ზომები წარმოებისა და რეალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით.

მარკეტინგის ტაქტიკურ გეგმებში დაწერილებით აისახება საქონლის ნომენკლატურა, მათი წარმოების მოცულობა, ფასები, დანახარჯები, გასაღების სტიმულირების მეთოდები, გაყიდვის შემდგომი მომსახურების ფორმები და სხვ.

მარკეტინგის ტაქტიკური გეგმა მოიცავს შემდეგ ძირითად ნაწილებს:

1. საკონტროლო მაჩვენებლები;
2. მიმდინარე მარკეტინგული სიტუაციების გადმოცემა;
3. ფირმის შესაძლებლობებისა და საფრთხის განსაზღვრა;
4. ამოცანები და პრობლემები;
5. მარკეტინგის სტრატეგია;
6. სამოქმედო პროგრამა;
7. ბიუჯეტი;
8. კონტროლი.

საკონტროლო მაჩვენებლების თავმოყრით საშუალება გვეძლევა

ზუსტად განისაზღვროს მარკეტინგის ტაქტიკური გეგმის ძირითადი მიმართულებანი.

მიმდინარე მარკეტინგული სიტუაციების გადმოცემა – გეგმის ამ ნაწილში დახასიათებულია მიზნობრივი ბაზარი და ამ ბაზარზე ფირმის არსებული მდგომარეობა. კერძოდ, აღწერილია ბაზრის ტევადობა, ძირითადი სეგმენტები, მომხმარებელთა საჭიროებანი, მარკეტინგის გარემოს სპეციფიკური ფაქტორები, აქ წარმოდგენილი ძირითადი პროდუქცია, კონკურენტები და განაწილების არხი.

გეგმის მესამე ნაწილი საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ საშიშროებანი, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას ფირმის წინაშე კონკრეტულ საქონელთან დაკავშირებით. უმთავრესი მიზანია ხელმძღვანელობამ წინასწარ განჭვრიტოს ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელთაც შესაძლოა დიდი ზეგავლენა იქონიონ ფირმის მდგომარეობაზე.

ამოცანები და პრობლემები - გეგმის მოცემულ ნაწილში მარკეტინგის მმართველი ჩამოაყალიბებს ამოცანებს და განსაზღვრავს მასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემებს. ამოცანები უნდა იყოს გადმოცემული მიზნების სახით, რომელთა მისაღწევადაც მიისწრაფვის ფირმა საგეგმო პერიოდში. განიხილება ყველა ძირითადი პრობლემა მიზნის მისაღწევად.

მარკეტინგის სტრატეგია – აქ განისაზღვრება ფირმის მარკეტინგული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს დასახული ამოცანების შესრულებას. კერძოდ, განისაზღვრება კონკრეტული სტრატეგიული მიზნობრივი ბაზრების მიხედვით, მარკეტინგის კომპლექსის მიხედვით, მარკეტინგზე ხარჯების დონის მიხედვით.

მიზნობრივი ბაზრების მიხედვით მარკეტინგის სტრატეგია ზუსტად უნდა ასახავდეს ბაზრის სეგმენტებს, რომლებზედაც ფირმა მოახდენს თავისი ძალისხმევის კონცენტრირებას. ეს სეგმენტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სხვადასხვა მაჩვენებლებით. ამიტომ საწარმო ყურადღებას ამახვილებს იმ სეგმენტებზე, რომელთა მომსახურება მას თავის კონკურენტებთან შედარებით უკეთესად შეუძლია. შერჩეული მიზნობრივი სეგმენტებისათვის საჭიროა

მარკეტინგის გარკვეული სტრატეგიის მიღება.

მარკეტინგის მმართველმა ზოგადად უნდა ჩამოაყალიბოს კონკრეტული სტრატეგიები მარკეტინგის კომპლექსის ცალკეული ელემენტების მიხედვით და მარკეტინგზე ხარჯების დონის გათვალისწინებით.

სამოქმედო პროგრამა - მარკეტინგის სტრატეგიები შემდგომში გადაიქცევიან კონკრეტულ სამოქმედო პროგრამებად, რომლებიც პასუხობენ თუ რა უნდა გაკეთდეს, როდის, ვის მიერ და რა სახსრებია ამისათვის აუცილებელი. მაგალითად, შეიძლება მივიღოთ გადაწყვეტილება, რომ გადავატვივთ გასაღების სტიმულირება ბაზრის წილის გაზრდისათვის. ფირმის მთავარ სტრატეგიად. ამისათვის აუცილებელია შემუშავდეს გასაღების სტიმულირების ღონისძიებათა სპეციალური პროგრამა კონკრეტულ მასტიმულირებელ ღონისძიებათა ჩამონათვალით, მათი მოქმედების ვადები მითითებით.

წლის განმავლობაში, ახალ პრობლემათა წარმოქმნის კვალობაზე და ახალ შესაძლებლობათა წარმოქმნასთან ერთად, პროგრამებში შეაქვთ სათანადო კორექტივები.

ბიუჯეტი რეალური საფუძველია მარკეტინგულ ღონისძიებათა შესასრულებლად. ბიუჯეტის განყოფილებაში აისახება მონაცემები შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. კერძოდ, ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა: სასაქონლო ერთეულის რაოდენობა, საშუალო ფასები, მარკეტინგის, წარმოების, საქონელმოძრაობის ხარჯები. ფირმის უმაღლესი ხელმძღვანელობა განიხილავს ბიუჯეტს და ამტკიცებს მას ან შეაქვს მასში ცვლილებანი.

გეგმის ბოლო ნაწილში ჩამოყალიბებულია კონტროლის შინაარსი გეგმით გათვალისწინებულ ყველა საკითხზე. საბიუჯეტო ასიგნებანი ნაწილდება თვეების ან კვარტლების მიხედვით. ამიტომ ხელმძღვანელობას შეუძლია შეაფასოს შედეგები ცალკეული დროის პერიოდის მიხედვით და გამოავლინოს ის ქვედანაყოფები, რომელთაც ვერ შეასრულეს გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებანი.

მარკეტინგის სტრატეგიული თუ ტაქტიკური გეგმების გატარება შეხვედბა არაერთ გაუთვალისწინებელ დაბრკოლებას. ამიტომ

აუცილებელია მარკეტინგული კონტროლი. იგი გულისხმობს მიღწეული შედეგების შეჯერებას, ანალიზს და გეგმის სათანადო კორექტირებას. მისი გატარება ფირმის არწმუნებს იმაში, თუ რამდენად აღწევს იგი დასახულ მიზნებს. განასხევავენ მარკეტინგული კონტროლის შემდეგ სახეებს: 1) მიმდინარე კონტროლი, რომელიც გულისხმობს კონტროლს წლიური გეგმის შესრულებაზე 2) ფინანსური კონტროლი ანუ კონტროლი მომგებიანობაზე 3) სტრატეგიული კონტროლი - იგი ითვალისწინებს ფირმის წინაშე მდგარი პერსპექტიული ამოცანების, სტრატეგიული გეგმების შესრულების შესწავლას სტრატეგიული კონტროლი პრაქტიკაში ხორციელდება მარკეტინგის რეეზიით. მარკეტინგის რეეზიორს სრული თავისუფლება ენიჭება ფირმის ხელმძღვანელობასთან, მომხმარებლებთან. შუამავლებთან და სხვა პირებთან შეხვედრისა და საუბრისათვის. იგი, ფაქტობრივად ქმნის ფირმის არსებული მდგომარეობის სრულ სურათს. კონტროლის შედეგად გამოტანილ დასკვნებსა და მიღწეულ წინადადებებს აწეღის ხელმძღვანელობას. წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება მარკეტინგის მიკრო და მაკროგარემოს, მარკეტინგის სტრატეგიის, მარკეტინგის მართვის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის, მარკეტინგის კომპლექსის, მარკეტინგის დაგეგმვის სისტემის და ა.შ. რეეზიას მათი შედეგების გათვალისწინებით, ფირმამ შეიძლება არსებითად შეცვალოს თავისი საქმიანობის მასშტაბები და სტრუქტურა.

დ(ო)ც. ნ. კაკაშვილი, ი. აბაიძე

სადაზღვევო კომპანიების სრულყოფა-განვითარების
ძირითადი პრობლემები საქართველოს ბარდამავალ
ეკონომიკაში

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია სადაზღვევო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და მისი განვითარება. დაზღვევა მოსახლეობის სოციალური გარანტიებისა და უზრუნველყოფის სისტემების ჩამოყალიბება და სრულყოფა.

დღემდე არსებულ სადაზღვევო სისტემას ახასიათებდა ცენტრალიზმი და მონოპოლიზმი. აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო კომპანიებმა ჩამოყალიბების დღიდან დღემდე გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. თუმცა მათ წინაშე არის მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელიც აუცილებელ გადაჭრას ითხოვს. ამ პრობლემათა რიცხვს მიუკუთვნება საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სადაზღვევო რეზერვების განთავსება შესაძლებელია მხოლოდ სადაზღვევო ორგანიზაციის ანგარიშსწორების ანგარიშსწ. სადაზღვევო კომპანიას უფლება არა აქვს შეიძინოს ნებისმიერი სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივი აქციები, რადგანაც აკრძალული აქვს სადაზღვევო რეზერვების ინვესტირება სხვა მიზნით. სადაზღვევო კომპანიები ინვესტიციებს ახორციელებენ მხოლოდ და მხოლოდ სადეპოზიტო და საშემნახველო სერთიფიკატებში და უძრავ ქონებაში. ამასთან სიძნელეს წარმოადგენს გრძელვადიანი, დაგროვებადი პროდუქტებისათვის საინვესტიციო გეგმის შემუშავება.

კომპანიათა უმრავლესობისათვის პრობლემაა აგრეთვე სტატისტიკური მონაცემების არასარწმუნოება, რადგანაც სადაზღვევო სტატისტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს კომპანიის საქმიანობის სწორად წარმართვისათვის. ის ეხმარება სადაზღვევო კომპანიას გამოავლინოს გამოუყენებელი რეზერვები და ნაკლოვანებები, მოახდინოს სწორი დაგეგმვა და კონტროლი, შეარჩიოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ არ

არსებობს მათთვის განკუთვნილი ფინანსური აღრიცხვა და არც ამა სფეროს მომსახურე ინსტიტუტები; როგორცაა ავარიის კომისიები, ადვოკატურა ბიუროები, კლასიფიკაციის განმარტებული საზოგადოებები, კვალიფიციური აგენტები.

სპეციალური ინსტიტუტების არარსებობასთან ერთად სადაზღვევო კომპანიებისათვის პრობლემაა კვალიფიციური კადრების თუმცა, მათ უკვე აქვთ მაღალკვალიფიციური ანდერაოტურები, აკეიზიტორები, აქტუარები, შექმნილია აქტუართა ასოციაცია.

1989-1991 წლებში საქართველოში 4-5 სადაზღვევო ორგანიზაცია მოქმედებდა, 1997 წელს მათი რიცხვი 23-მდე გაიზარდა.

1998 წელს საქართველოში მოქმედებდა 42 სადაზღვევო ორგანიზაცია სადაზღვევო საქმიანობის დიკენზირების წესებში მოხდა ცვლილებები. რაც სადაზღვევო კომპანიათა მინიმალური საწესდებო კაპიტალის გაზრდით გამოიხატება:

- სავაჭრო და საქონლის დაზღვევისათვის - 600 000 ლარამდე დაზღვევის სხვა სახეობებისათვის - 500 000 ლარამდე
- გადამზღვეველ ორგანიზაციებისათვის - 100 000 ლარი.

აღნიშნული მიზნების გამო, სადაზღვევო ბაზარზე სადაზღვევო კომპანიათა რაოდენობა 17-მდე შემცირდა, რამაც გამოიწვია არსებული სადაზღვევო კომპანიების შერწყმა გამსხვილების პროცესი 2001-2002 წლებშიც გაგრძელდება.

მოქმედი სადაზღვევო კომპანიიდან ხუთი ერთობლივი კომპანიაა რომლებიც სადაზღვევო ბაზარზე გამოარჩევიან გადახდასუნარჩინების კაპიტალიზაციის და პროფესიონალიზმის მაღალი დონით, მათ რიცხვის მიეკუთვნება: „ანგლო-ჯორჯია“, „ბრიტანეთი-კავკასია“, „იმპედი L INTERNATIONAL“, „ENIK“, „ანკორა“.

ამასთან, სადაზღვევო კომპანიები ფართოდ იყენებენ გადახდევების შექმნიშმს, რითაც მზღვეველები ცდილობენ აქონდეთ დაბალანსებული ხარდაზღვევო პორტფელები. აღნიშნება გადაამზღვეველთა მაღალი წილი მთლიანად ანაზღაურებულ ზარალში. 1997 წელს გადახდევების შექმნიშმს გამოიყენა შეიქმნა სადაზღვევო კომპანია, 1998 წელს - თორმეტმა, 1999 წელს - ათმა, რაც მიუთითებს ხაერთაშორისა

სადაზღვევო კაეშირების გაღრმავებაზე გადაზღვევის მექანიზმს ექვექტიანად იყენებს „აღდაგი“, „იმედი L“, „მელიოსი“, „ენიკი“, „ბრიტანეთ-კაეკასია“.

სადაზღვევო კომპანიათა გარდა, სადაზღვევო ბაზარზე მოქმედებენ საბროკერო ორგანიზაციებიც, როგორიცაა: „ალიონი 99“, „ეკრა“, „ვი-ო-აი“, „კაეკასიონი“. წარმომადგენლობა „გრადაეუა-კაეკასია“, სატრანსპორტო საზოგადოება „იმედი“, „მარშ-ჯორჯიას“ წარმომადგენლობა.

ზაბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპები გეკარნახობს, რომ იმარჯეებს ის კომპანია, რომელიც სარგებლობს გადახდისუნარიანობის და შენეჯშენტის მაღალი დონით, რის გამოც სადაზღვევო ბაზარზე ღვიდერობს „აღდაგი“.

ზემოთ აღნიშნული პრობლეშების გადასაწყვეტად მიზანშეწონილად მიგვანია:

1. სადაზღვევო მომსახურების ტრადიციების ჩამოყალიბება, მოსახლეობის სადაზღვევო კულტურის ამაღლება;
2. დაზღვევის სფეროს მომსახურე ინსტიტუტების - აეარიის კომისრების, ადჯასტერთა ბიუროები, კლასიფიკაციის განმსაზღვრელი საზოგადოებები - ჩამოყალიბება;
3. სადაზღვევო კომპანიებისათვის სპეციფიკური ფინანსური და სტატისტიკური აღრიცხვის ჩამოყალიბება;
4. სადაზღვევო კომპანიებზე განახორციელონ საუკეთესო რეკლამა, როგორიცაა ვალდებულებების დროული და სრულყოფილი ანაზღაურება.
5. სადაზღვევო მომსახურების მომხმარებელთა დაცვა.

ეროვნული სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარება საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოეანესი სტრატეგიული მიმართელებაა.

ეკონომიკური რისკი საძარტველოს პირობებში და მისი მართვის პარამეტრები

ეკონომიკური საქმიანობა წარმოუდგენელია მამზიდეველი შედეგის შესაძლო ხიფათის ანუ რისკის გარეშე გაუმართლებელი რისკი თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია ქონებრივ დანაკარგებთან. ქონებრივი რისკის უარყოფითი შედეგები ნეგატიურ გაეღენას ახდენენ, როგორც შესაბამისი ეკონომიკური სუბიექტის მდგომარეობაზე, ასევე ათეულობით სოციალურ ერთეულზე.

სამეწარმეო რისკი, ანუ სამეწარმეო კაპიტალის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკი, ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით. ის სამეწარმეო საქმიანობის მუდმივ, ბუნებრივ თანამგზავრად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო შესაძლო ნეგატიური შედეგები არ იძლევიან უფლებას ყურადღების მიღმა დარჩნენ: სამეწარმეო რისკის სახეობები; სამეურნეო და საფინანსო რისკი; მათი გამომწვევი ფაქტორები და, რაც მთავარია, ეკონომიკური რისკის მართვის მექანიზმები.

სამეწარმეო ეკონომიკური რისკის გაწვევის, ისევე როგორც ყველა ეკონომიკური სუბიექტის ინიციატივას, მაზნის მიღწევის რესურსების ზღვარდებულობა განსაზღვრავს. ალტერნატივათა შერჩევის აუცილებლობა, ფასების ბუნებრივი ზედა ზღვრის, მარკეტინგული ზღვრული პროდუქციის, წარმოებრივი ზღვრული პროდუქციის მექანიზმები სამეწარმეო რისკის მთავარ ფაქტორებად გვეყვლინებიან. მეცნიერები თანხმდებიან აგრეთვე იმ თეორიაშიც, რომ ძირითადი კაპიტალის და შრომის წყაროთა ურთიერთშენაცვლებითი მექანიზმი სარისკო არეალს წარმოშობს. ეს ის ზოგადი კატეგორიაა, რომლებიც რისკის თანამდევია ნებისმიერ ეკონომიკურ გარემოში.

ქართულ ეკონომიკურ გარემოში წმინდა საბაზრო რისკ-ფაქტორებს რამდენადმე შეზღუდული ადგილი უჭირავს. სამეწარმეო ეკონომიკური რისკის ნათლად შეფასებისათვის უმჯობესია მათი დაყოფა ბიკრო და მაკროეკონომიკურ რისკ-ფაქტორებად, თითოეული

მათგანი იყოფა კატეგორიებად, რომლებიც ქართული სინამდვილისთვისაა ძლიერ ნიშანდობლივი და შეიძლება განეითარებულ ქვეყნებში საერთოდ არ აღიქმებოდეს სარისკო არეალად. მრეწველობის ჩამორჩენილობა, მ.შ. მომპოვებელი მრეწველობის მაღალი ხვედრითი წონა, საკომუნიკაციო ქსელების დაუხვეწაობა, ქვეყნის, როგორც სანედლეულო დანამატის და გასაღების ბაზრის სახით ჩამოყალიბება, ინტელექტის გადინება ძირითადი რისკ-ფაქტორებია და იწვევენ იმას, რომ ქვეყნის სამეწარმეო პოტენციალი იძულებულია რისკის მაღალი დონის ქვეშ.

კეთილსინდისიერი მეწარმეები დღეისათვის განსაკუთრებით რისკავენ და ეს ყველასათვის ცნობილია, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ეკონომიკურ პოსტულატს სოციალური ფუნქციის მიხედვით რისკის ხარისხის სხვადასხვაობის შესახებ, რომ რისკი ღარიბებისათვის, განსაკუთრებით კი განუვითარებელ ქვეყნებში, საბედისწეროა.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ საქართველოში ხელფასი უფრო სოციალური დახმარებაა, ვიდრე ეკონომიკური სტიმულატორი. ეს კი წარმოების უაღრესი რისკ-ფაქტორია ამ მხრივ, საქართველოში არსებული მდგომარეობის შესაფასებლად შემდეგი მაჩვენებლების მოყვანაც საკმარისია: ხელფასის წილის შემოსავლებში მიღებული 60%-ის ნაცვლად 39,7%-ა. უმუშევრობის კრიტიკულ დონედ თუ 10,4%-ა მიჩნეული, საქართველოში არსებული რეალური მდგომარეობა მას რამდენჯერმე აღემატება. შრომის ანაზღაურების „რეპრესირებით“ გაიფხვნილი მუშახელი, სამუშაო ძალის ბაზრის რეალური ფასების არარსებობა აფერხებს შრომის კაპიტალით შეცვლის პროცესს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წარმოებაში დანერგვას, ქართული კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას, რაც რისკაქვეშ აყენებს არა მხოლოდ წარმოების, არამედ მსაღიანად სახელმწიფოს მოსახელს.

მთელი სიმწვავეით შეიძლება დაფიქსირდეს ჩრდილოვანი ეკონომიკის, განსაკუთრებით დიდი მასშტაბის, როგორც უაღრესი რისკ-ფაქტორის არსებობა საქართველოში, სტატისტიკური მონაცემებით ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები 45-50%-ს აღწევს. ეს იმას

ნიშნავს, რომ უკანონო შეწარმოება, კონტრაბანდა, უკანონო სავაჭრო საქმიანობა, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, კორუფცია, შივი ბაზარი და სხვა არალეგალური ბიზნესის გაძვივლებები საქართველოში ჯერ კიდევ შედგებიან. მათი სალიკვიდაციო შეზღუდვა კი აუცილებელია მიზანმიმართული მაკროეკონომიკური პოლიტიკით.

სტაბილური ეკონომიკური გარემო გააადვილებს ეკონომიკური რისკის მართვას წმინდა ეკონომიკური მეთოდებით (ყუღლით). ბრმა რისკის ალბათობის გამოორიცხვით, აუცილებელი ინფორმაციითა და ვრუდიციით რისკგაშვების აღჭურვიტ.

თანამედროვე პროფესიონალი რისკის მენეჯერს ახერხებს ნეგატიური შედეგების ალბათობის შემცირებას და მის დასაშვებ ზღვრამდე დაყვანას სიტუაციური და რაციონალური მართვის სისტემების ეფექტიანი შეუღლებით. სტრატეგიული მართვის დახვეწილი სისტემის გამოყენებით და ოპერატიული მართვის მასთან შეთანაწყობილი მექანიზმით.

მენეჯერს რისკის მართვაში განსაკუთრებით ეხმარება საქმეში რახვედულობის მექანიზმი, სისტემური მიდგომა და ეკონომიკური ანალიზის, განსაკუთრებით კი სუბიექტთან ქცევების ეკონომიკური ანალიზის მეთოდები. ბიზნესის სტრატეგიული ერთეულების სტრატეგიული ამოცანებით მართვის სისტემა, შესაბამისი მეთოდების შემუშავება უზრუნველყოფს ეკონომიკური სუბიექტის სწრაფ ადაპტაციას ცვლად გარემოში და რესურსების კონცენტრაციას შერჩეული მიმართულებებით.

ძლიერ და სუსტ სიგნალებზე სწრაფი რეაგირება, საპასუხო ღონისძიებათა ოპერატიულობა, ბრმა ეკონომიკური რისკის რაკლები ხვედრითი წონა, შიდა საწარმოო მართვის დემოკრატიზაცია, ძირითადი ფონდების დასდევვა, ამორტიზაციის თანხით მათი აღდგენა, ტექნიკატექნოლოგიის დაპატენტება იძლევა რისკის შემცირების საგრძნობ საშუალებებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საქართველოში რამოყალიბებული გარემოს ცვლილებები ნეგატიურიდან პოზიტიურისკენ. შესაბამისად, რისკის მენეჯერს უნდა შეეძლოს

ვაანანლიზოს გარემოში მომხდარი ყოველგვარი ცვლილება განსაზღვროს რისკის ზომები, შეაფასოს მათი ალტერნატიულ შედეგები, გაატაროს დონისძიებები უარყოფითი შედეგების შერბილებისა თუ აღმოფხვრისათვის. ე. ი. მან უნდა აირჩიოს რისკის სახეობა და არაერთარ შემთხვევაში უარი არ თქვას მასზე, ვინაიდან რისკის გაუწყველობამ შეიძლება მეტი უარყოფითი შედეგი გამოიწვიოს, ვიდრე თვით ნაკლებ გათვლილმა რისკმა.

პროფ. ა. ზიგუტინი, ემ. ე. ხარაიშვილი

საბადასახადო სისტემის სრულყოფისათვის

საბადასახადო სისტემის ჩამოყალიბება დაკავშირებულია სახელმწიფოს წარმოშობასთან. არცერთი სახელმწიფო არ არსებულა და არ არსებობს გადასახადების გარეშე ხოლო საბადასახადო სისტემა — სახელმწიფოსგან იზოლირებულად.

კაცობრიობის განვითარების ისტორიამ დაადასტურა, რომ გადასახადები, მისი მრავალფეროვანი ფორმით, ყოველთვის იყო და, რა თქმა უნდა, იქნება სახელმწიფოს ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი და თანაც, ვადაშეყვები ფაქტორი გადასახადების გარეშე სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია. გადასახადების აკრეფის მექანიზმს კაცობრიობა სრულყოფდა ათასწლეულების მანძილზე. ადრე გაერცვლებული იყო ნატურალური მოსაკრებლები და გადასახადები. მაგალითად, ძველ რომში სხვადასხვა სახის 167 ნატურალური მოსაკრებელი იყო, ხოლო ფულადი სისტემების გაერცვლებისა და განვითარების შემდეგ ნატურალური მოსაკრებლები ფულადი გადასახადებით შეიცვალა.

საფინანსო რესურსები (ფულადი შემოსავლები) ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების საფუძველია. რათა მან განახორციელოს თავისი ფუნქციები და გადაჭრას მის წინაშე

მდგომი ეკონომიკური და სოციალური პრობლემები.

სახელმწიფოს ფულადი სახსრები ესაჭიროება: მმართველობის აპარატის შესანახად, ეროვნული თავდაცვისა და უშიშროების ღონისძიებებისათვის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურისა და სპორტის, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების და დაწესებულებების განვითარების და სხვა სპეციალური პროგრამების დაფინანსებისათვის, ე.წ. ტრანსფერტული გასაცემებისათვის.

სახელმწიფო გადასახადებიდან შემოსულ თანხებს იყენებს გარკვეული სახის საქმიანობის წასახადისებლად, კერძოდ, ამ დანიშნულებით კრედიტებისა და დოტაციების გასაცემად. გადასახადების შემცირების გზით ეხმარება იმ ფირმებსა და საწარმოებს, რომლებიც ახორციელებენ წარმოების მოდერნიზაციას, ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს, ყიდულობენ მწარმოებლურ ჩარხებს, მოწყობილობებს და ა.შ. ბოლოს, გადასახადების გაზრდით ან შემცირებით მთავრობას შეუძლია უშუალო ზეგავლენა მოახდინოს მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობაზე და გაატაროს ეკონომიკური აღმაშენებელი და ცემისაკენ გადასვლის შეკავებისა და დაძლევის ეფექტიანი ღონისძიებანი.

სახელმწიფო თავისი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო ფულადი სახსრების შევსებას ახდენს გადასახადებით. ხოლო გადასახადებიდან თავმოყრილ ბიუჯეტურ სახსრებს იყენებს ფისკალური და ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად.

საგადასახადო მექანიზმის მიერ ფისკალური ფუნქციის შესრულებაში იგულისხმება შემოსავლებსა და ხარჯებს შორის დაბალანსების მიღწევა ანუ საკუთარი შემოსავლებით ყველა გათვალისწინებული ხარჯის დაფარვის უზრუნველყოფა, ხოლო გადასახადების მიერ ეკონომიკური ფუნქციის შესრულებაში – გადასახადების მეშვეობით მთლიანი ეროვნული პროდუქციის გადანაწილება. ამასთან, გადასახადების ეკონომიკური ფუნქცია თავის თავში მოიცავს მარეგულირებელ-მასტიმულირებელ და მაკონტროლებელ ქვეფუნქციებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება

მაკონტროლებელ ქვეყნქციებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება ვადასახადების ეკონომიკური ფუნქციის რეალიზაცია.

სახელმწიფოს შექმნაველები და ხარჯები აღიერიცხება ბიუჯეტში. სახელმწიფო შემოსავალს აქვს შიდა და გარე რესურსები. შემოსავლების წყაროებს შორის, რომელთაც სახელმწიფო ბიუჯეტი იკვერება, მთავარია შიდა რესურსები ანუ ვადასახადები.

ვადასახადი, უპირველესად, არის სავალდებულო მოსაკრებელი. განაწილებისა და გადანაწილების გზით მიღებული მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეკ) ნაწილი, რომელიც იურიდიული და ფიზიკური პირების შემოსავლებიდან ფიქსირებულად გადაიერიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო განაკვეთის შესაბამისად.

სავადასახადო პოლიტიკას შეუძლია გავლენა მოახდინოს შემოსავლების განაწილებაზე და გადანაწილებაზე. მაგალითად, მკიდრებისათვის მაღალი ვადასახადების დაკისრებით პროგრესული საშემოსავლო ვადასახადი პირდაპირი გზით ახდენს ფულის გადანაცვლებას მკიდრებიდან ღარიბებისაკენ.

ასევე, ტრანსფერტული სავადასახადო პოლიტიკა გავლენას ახდენს შემოსავლების გადანაწილებაზე. გადარიცხვები ანუ ტრანსფერტული ვადასახადები მთავრობის მხრიდან გაწეული ხარჯებია, რომელთაც არ ხდება არაეითარი საქონლის ან ჩამსახურების შექმნა. მაგალითად, უმეშვერობის კომპენსაცია და დახმარება ოჯახებისათვის, რომელთაც არასრულწლოვანი ბავშვები აყავთ. რადესაც უმეშვეარი იღებს დახმარებას, ეს გავლენას ახდენს მის შემოსავალზე ამ შემთხვევაში ხდება ფულის გადარიცხვა ვადასახადების გადამხდვლებიდან იმ პიროვნებისაკენ, რომლებსაც მცირე შემოსავალი აქვთ. საბოლოოდ, ვადასახადებით ხორციელდება მწარმეობის სტიმულირება, ეკონომიკური ზრდა, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება, სოციალური პრობლემების გადაჭრა და ა.შ.

არც ერთი ეკონომიკური თემა ისეთ პოლიტიკას არ იწვევს, რუჯირსაც ვადასახადები. თუმცა, ადამიანთა უმეტესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ არც მთავრობასა და არც თანამედროვე საზოგადოებას

არ შეუძლია მათ გარეშე არსებობა. როგორც აშშ პრეზიდენტ ბენჯამინ ფრანკლინი (1789წ.) აღნიშნავდა: „ამ ქვეყანაზე სიკეთილია და გადასახადების გარდა, არ შეიძლება რამეში მტკიცედ იყო დარწმუნებული, რადგან ორივე გარდაუვალია“ [7].

ადამიანთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ დაბეგერა გარკვეული ზომით აუცილებელია, მაგრამ სადავო და გადასახადების, თუ რომელი გადასახადი უნდა დაეწესოს და როგორი განაკვეთით გადაეხადებინოს იგი. გადამხდელებმა გადასახადი უნდა გადაიხადონ ორი პრინციპის მიხედვით: ა) სარგებლიანობის და ბ) შესაძლებლობების მიხედვით.

სარგებლიანობის პრინციპის მიხედვით გადასახადები უნდა გადაიხადონ იმათ, ვინც სარგებლობს დაბეგერის ობიექტით და იღებს მოგებას. მაგალითად, გვირაბით სარგებლობისათვის დაწესებული მოსაკრებელი უნდა გადაიხადონ იმ მძღოლებმა, რომლებიც მას გამოიყენებენ. სამართლიანია არ იქნებოდა, რომ ინვალიდებმა და დაბალშემოსავლიანმა ოჯახებმა გადაიხადონ გადასახადები მათზე დახმარების სახით მიცემული თანხებიდან, ან კიდევ, არ შეიძლება სახელმწიფო საკუთრების კულტურისა და დასვენების პარკში შესასვლელ ბილეთებზე ისეთი ფასების დაწესება, რომელიც აანაზღაურებდა პარკის ფუნქციონირებაზე გაწეულ მთლიან დანახარჯებს ამ შემთხვევაში დაბალშემოსავლიანი ოჯახები ვერ შეძლებდნენ ბილეთების შექონას ხოლო, რაც შეეხება, შესაძლებლობის მიხედვით დაბეგერის პრინციპს, იგი უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ უფრო მეტი გადასახადი უნდა გადაიხადოს იმან, ვისაც უფრო მეტი შემოსავალი აქვს.

საჭიროა ვიცოდეთ ვინ იქნება გადასახადის გადამხდელი სუბიექტი, პიროვნება ან ფირმა, რომლებსაც უშუალოდ დააკისრებო გადასახადი. საშემოსავლო გადასახადის ან ბაჟის გადახდევინების შემთხვევაში სუბიექტის განსაზღვრა ადვილია, მაგრამ სოციალური გადასახადისაგან ხურხდება თავის არიდება, თუ სუბიექტს შეუძლია მისი სხვაზე გადაკისრება ამ პროცესს გადასახადის სხვაზე გადაკისრება ეწოდება.

სხვადასხვა ქვეყანაში გადასახადები სხვადასხვანაირადაა დაწესებული. გადასახადებით მიღებული შემოსავლების პროცენტული წილი მთლიან შიდა პროდუქტში განსხვავებულია. მაგალითად, შვეციაში იგი შეადგენს 50%-ს, დანიაში 46%-ს, ახალ ზელანდიაში 45%-ს, საფრანგეთში 39%-ს, გერმანიაში 33%-ს, დიდ ბრიტანეთში 31%-ს, კანადაში 29%-ს, აშშ-ში 26%-ს, ავსტრალიაში 26 %-ს, იაპონიაში 25%-ს. ხოლო დსთ-ს ქვეყნებში ყველა დონის ბიუჯეტის ერთობლივი შემოსავლების ოდენობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში საშუალოდ 27-28 პროცენტის ფარგლებში მერყეობს [7]. საქართველოში ეს მაჩვენებელი 11%-ს უდრის, რაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მსოფლიოში. ასევე, განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით ცალკეული გადასახადების წილი ბიუჯეტურ შემოსავლებში. მაგალითად, აშშ-ში გადასახადების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს საშემოსავლო გადასახადი. იგი შემოსავლების ყოველ დოლარზე 45 ცენტს უდრის. თავისი მნიშვნელობით შემოსავლების მეორე წყაროა მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის ფონდიდან სოციალური დაზღვევის გადასახადი. იგი ბიუჯეტში შემოსულ ყოველ დოლარზე დაახლოებით 37 ცენტს შეადგენს. ბიუჯეტის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროს წარმოადგენს დამატებული ღირებულების გადასახადი, ეინაიდან მისი გადახდა ხდება პროდუქტის წარმოების ყოველ ეტაპზე, როცა პროდუქციის ღირებულება იზრდება. სამთაფრობო შემოსავლების ყოველ დოლარზე 10 ცენტი ფირმების გადასახადებზე მოდის, ხოლო აქციონის გადასახადი ყოველ დოლარზე 4 ცენტს შეადგენს.

საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა ასეთია [5]:

1. საშემოსავლო გადასახადი 4,7%;
2. მოგების გადასახადი 2,8%;
3. დამატებული ღირებულების გადასახადი 29,1%;
4. აქციონი 8,2%;
5. ხაბაჟო გადასახადი 8,6%;
6. კაპიტალური შემოსავალი 7,1%.
7. არასხვადასახადო შემოსავალი 11%;

8. სახელმწიფო ფონდის შემოსავალი 24,7%;

ამჟამად საქართველოში მოქმედებს საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები:

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადს განეკუთვნება:

1. საშემოსავლო გადასახადი;
2. მოგების გადასახადი;
3. დამატებული ღირებულების გადასახადი;
4. აქციზი;
5. ქონების გადასახადი;
6. მიწის გადასახადი;
7. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი;
8. გადასახადი ქონების გადაცემისათვის;
9. სოციალური გადასახადი;
10. გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის;
11. გადასახადი მენეჯმენტისათვის და ბიზნესისათვის;
12. გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსულისათვის (და ზენორმატიული დატვირთვისათვის).

ადგილობრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

1. გადასახადი სამეწარმეო საქმიანობისათვის;
2. სათამაშო ბიზნესის გადასახადი;
3. საკურორტო გადასახადი;
4. სასტუმროს გადასახადი;
5. რეკლამის გადასახადი;
6. გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის;

როგორც ვხედავთ, საქართველო გადასახადების სახეობათა რაოდენობით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ქვეყანაში არსებობს 18 სახის (მათ შორის 6 ადგილობრივი) გადასახადი და ბიუჯეტგარეშე ფონდების 4 სახეობა. ქვეყნის საგადასახადო სისტემა მუდმივ სრულყოფასა და გაუმჯობესებას საჭიროებს. ამ იკულისხმება საგადასახადო მექანიზმის სრულყოფა, ბაზის (საწარმოების) გაფართოება, საგადასახადო შედეგების გადასინჯვა, მეტი

წილი გადასახადების დონის შემცირება, საბაჟო სამსახურის განმტკიცება და საგადასახადო სისტემის სტრუქტურის გამარტივება.

საგადასახადო სისტემა უფრო სამართლიანი გახდება, თუ მონისაობა ის „ხერელები“, რომელთა საშუალებით ზოგიერთი გადამხდელი შემოსავლის დიდ ნაწილს მაღავეს. „ხერელების“ მოსაოობის შედეგად მიღებული საგადასახადო შემოსავლებით კომპენსირებულ უნდა იქნეს უფრო დაბალი გადასახადების დონის გამო დაკარგული შემოსავლები.

საგადასახადო სისტემის სრულყოფამ და გაუმჯობესებამ ასახვა უნდა პოვოს საგადასახადო (კანონში) კოდექსში. საგადასახადო კოდექსის მახასიათებელი უნდა იყოს – სიმარტივე, სამართლიანობა, ადვილად მართეადობა და სტაბილურობა.

სახელმწიფო შემოსავლების ზრდისათვის უნდა გამოვიყენოთ მნიშვნელოვანი რეზერვები. კერძოდ, დამატებითი შემოსავლები ამოღებული უნდა იქნეს სამეწარმეო საქმიანობის იმ სფეროდან, სადაც დაბალია დაბეგვრის ხარისხი და წარმოებული პროდუქციიდან და მომსახურებიდან ამოიღება შედარებით მცირე თანხები (გადასახადები). აგრეთვე შემოსავლები საჭიროა მოვიზიდოთ საგადასახადო სამსახურის (დაბეგვრის) მიღმა აღურიცხავედ დარჩენილი სამეურნეო საქმიანობიდან.

საგადასახადო პოლიტიკამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ე. წ. „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის ხვედრითი წონის შემცირებას და მის ღვეალიზაციას საგადასახადო სისტემაში მოქცევის გზით.

სახელმწიფოში საგადასახადო მექანიზმმა ფისკალურ ფუნქციასთან ერთად მასტიმულირებელი ფუნქციაც უნდა შეასრულოს. საგადასახადო კანონმდებლობამ უნდა დაიცვას სასელმწიფოსა და მეწარმის ინტერესები და ხელი შეუწყოს მეწარმეობის განვითარებას.

სწორი ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყნისა და მისი კალკულური რეგიონების დაბაღანსებული განვითარების გარანტიია. იგი უსრუნველყოფს, ერთი მხრივ, „ცენტრსა“ და რეგიონს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, თვით რეგიონებს შორის ცივილიზებული ფინანსურ-ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის

შექმნას.

რეგიონების ბიუჯეტისათვის მეტად საზიანოა აქ აკრეფილი ძირითადი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტში ჩარიცხვის პრაქტიკა. ასევე, არასწორია ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების მარეგულირებელ წყაროდ მხოლოდ მოგების გადასახადისა და საშემოსავლო გადასახადის დაწესება-დაკანონება. ეს ზიდ ზიანს აყენებს რეგიონულ ბიუჯეტს. ადგილობრივი ბიუჯეტების მარეგულირებელი ფუნქცია, უპრიანია დამატებული ღირებულების გადასახადსაც დაეკისროს.

სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ფისკალური პოლიტიკის სწორად განხორციელებას. საკუთარი შემოსავლებით უნდა უზრუნველყოს ყველა გათვალისწინებული ხარჯის დაფარვა. ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრა ყოველთვის სასურველი არაა გადასახადების გადიდებით. გადასახადების გადიდება კომბინირებული უნდა იყოს ხარჯების შემცირებასთან, ხოლო ორივე ღონისძიება გამიზნული უნდა იყოს ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად.

სასურველია ორიენტაცია ავიღოთ ხარჯების შემცირებაზე. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აშშ-ის პრეზიდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები დიდი სახელმწიფო ხარჯების შემცირების მიზანშეწონილობასა და აუცილებლობაზე.

„მე სახელმწიფო ხარჯების შემცირების საკითხი 1973 წლის ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების სათავეში დავაყენე, საჭიროა ხარჯებზე ყველა განაცხადის განხილვა“ – რიჩარდ ნიქსონი, 1973.

„ჩვენ უნდა შევანელოთ სახელმწიფო ხარჯების ზრდა“ – ჯერალდ ფორდი, 1976.

„როდესაც ვაშინგტონში ჩამოვედი, ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო სახელმწიფო ხარჯების მკვეთრი ზრდის შეჩერება“ – რონალდ რეიგანი, 1984.

„სახელმწიფო ხარჯები ჯერ კიდევ უფრო მეტია, ვიდრე გეჭირდება“ – ჯორჯ ბუში, 1990.

ჩვენ აუცილებლად უნდა შევამციროთ დეფიციტი, ვინაიდან, რაც უფრო მეტს ეხარჯათ ვალების გასასტუმრებლად, მით უფრო ნაკლები ხარჯები გერსება გადასახადებიდან იმისათვის, რომ მოვახდინოთ ინვესტირება სამუშაო ადგილების შექმნაში. განათლების სფეროში და, საერთოდ, ამ ქვეყნის ჰომეველში“ - ბილ კლინტონი, 1993 [6].

მიზნშეწონილია, ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნების გამოცდილების ანალოგიურად, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისას (განსაკუთრებით ხარჯვითი ნაწილის განსაზღვრისას) გაითვალისწინონ ყოველი რეგიონიდან ამოღებული გადასახადების რაოდენობა წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაიხშობა ადგილობრივი აქმასრულებელი ორგანოების ინიციატივა. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიანი განაწილება. გარკვეული გადასახადები უნდა წარმოადგენდეს ცენტრალური ბიუჯეტის, ხოლო ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების წყაროს.

ამ მხრივ საყურადღებოა ევროპის რიგ ქვეყნებში დამკვიდრებული ცენტრალურ და რეგიონულ ბიუჯეტებს შორის შემოსავლების განაწილებას მეტად საინტერესო გამოცდილება მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფედერაციას, მხარეებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დანაწილებული აქვთ გადასახადები. გადასახადების ერთი ნაწილი ეკუთვნის მხოლოდ ფედერაციას, მეორე ნაწილი - მხოლოდ რეგიონებს (ადგილობრივ თვითმმართველობას). ასევე, მსხვილი, კ. წ. ერთობლივი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები გარკვეული პროცენტული შეფარდებით ნაწილდება ფედერაციას, მხარესა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის.

გაუმართლებელია გადასახადების მეტად მაღალი განაკვეთების დაწესება. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის არტურ ლაფერის საგადასახადო თეორიის (ლაფერის მრუდის) მიხედვით დადგენილია, რომ გადასახადების სისტემატური გადიდების შედეგად

მისი ოდენობა უახლოვდება ე. წ. კრიტიკულ ნიშნულს და რაგინდ აუცილებლობითაც არ უნდა იყოს მოტივირებული მათი შემდეგში გაზრდა, იგი ეკონომიკურად გაუმართლებელია. ეს შეხედულება ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია ლაფურის ეფექტის სახელწოდებით. იგი გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ საგადასახადო განაკვეთის შემცირება, საბოლოო ანგარიშით, იწვევს საერთო საგადასახადო შენატანების გადიდებას.

გადასახადების დაუსაბუთებლად გადიდება იწვევს ისეთ ნეგატიურ მოვლენებს, როგორცაა: წარმოების დონის დაცემა, შრომის ნაყოფიერების შემცირება, ფასების ზრდა, სარგებლის გადიდება, ინვესტირების მოზიდვა და სხვა. რაც მთავარია, მეწარმეებს უპარგავს წარმოების გაფართოების ინტერესს. მათი გარკვეული ნაწილი წყვეტს სამეურნეო საქმიანობას, ან უკიდურეს შემთხვევაში, მალავს შემოსავლებს, რაც, საბოლოო ჯამში, ამცირებს საბიუჯეტო შემოსავლებს.

ამ შემთხვევაში უნივერსიტეტის პროფესორებმა დოულ-გალაუეი და რიჩარდ ვედერი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფედერალური გადასახადების საშუალო განაკვეთებსა და ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტს შორის მართლაც არსებობს კორელაციური კავშირი. გადასახადების უფრო მაღალი განაკვეთი ასოცირდება ბიუჯეტის უფრო მაღალ დეფიციტთან. ანალიზის კომპლექსური მეთოდის გამოყენებით მათ დაადგინეს, რომ გადასახადის ერთი დოლარით გადიდება იწვევს სამთავრობო ხარჯების 1, 58 დოლარით ზრდას, ანუ დეფიციტის ზრდას 0, 58 დოლარით. მართლაც, ერთი შეხედვით, ყველას ეჩვენება, რომ გადასახადების გადიდება ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაციის თუ არა, შემცირების ყველაზე მარტივი ხერხია, მაგრამ ეს ასე არ არის.

1981 წელს პრეზიდენტმა რეიგანმა ხელისუფლების სთავაზუმი მოსვლის შემდეგ შეამცირა გადასახადები ბიზნესისა და ეკონომიკისათვის დახმარების მიზნით. პრეზიდენტი თვლიდა, რომ გადასახადების შემცირებით დაზოგავს სახსრებს მეწარმეები ჩამოიყენებდნენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებუისათვის. თუმცა

გადასახადების შემცირებით იმ წელიწადს შემცირდა ბიუჯეტის შემოსავალი, მაგრამ წარმოების გაზარტოებით მიღებულმა დამატებითმა შემოსავალმა პერსპექტივაში საგადასახადო შენატანების გადიდება გამოიწვია.

აღნიშნულის დასადასტურებლად ასევე შეიძლება დავასახელოთ ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის მიერ საგადასახადო სფეროში წარმატებულად განხორციელებული ღონისძიებები. აგრეთვე პინოჩეტის მიერ ჩილეში გატარებული საკრედიტო-საგადასახადო რეფორმები და სხვა.

მაშასადამე, მსოფლიო პრაქტიკით დადასტურებულია, რომ გადასახადების ნორმატიული სიდიდეების შემცირება კი არ იწვევს ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებას, არამედ საბოლოოდ დასაბეგრი ობიექტებს რაოდენობის გადიდებისა და მათი შემოსავლების ზრდის ხარჯზე აჭარბებს კიდეც მის ადრინდელ რაოდენობას.

ამდენად, ბიუჯეტის დეფიციტის სალიკვიდაციოდ სრულიადაც არ არის აუცილებელი უფრო მაღალი საგადასახადო განაკვეთები ან ახალი გადასახადების შემოღება, არამედ, რეგიონების თაყისებურებებისა და კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საგადასახადო ნორმატივების, სარგებლის განაკვეთებისა და დაბეგურის ობიექტების დიფერენცირება.

დღეს მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნები ახორციელებენ საგადასახადო რეფორმებს, რომელთა მიზანია საგადასახადო განაკვეთების ოპტიმუმების ძიება – შეიქმნაონ ისეთი საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ გაზარდონ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და არავე დროს, შექმნან პირობები მეწარმეობის განვითარებისათვის, რათა ისეე და ისეე პროგრესირებადი ხასიათი მიეცეს ფულადი რესურსების მოდინებას სახელმწიფო ბიუჯეტში.

ლიტერატურა

2. გ. გამსახურდია, ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში, თბ., 1997
3. რ. კაკულია, ფინანსების ზოგადი აღრიცხვა, თბ., 1997
4. მაკონელი კ. რ., ბრიუ ლ. ეკონომიკისი, ნაწ. I, თავი 8, ნაწ. II, თავი 14
5. ი. მესხია, მ. მურჯიკნელი, ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, თბ., 1996
6. გამოყენებითი ეკონომიკა (სახელმძღვანელო) თარგმანი ინგლისურიდან, თბ., 1997
7. Все начиналось с десятины: этот многоликий налоговый мир. (Перевод с немецкого А.А. Козлова, В.С. Мухина, М., 1992
8. Лейард Р., Макроэкономика, Перевод с англ. М., 1994
9. Налоги в развитых странах, Перевод И.Г. Русаковой, М., 1991
10. Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р., Экономика, гл. 28, М., 1993

ბ. მალაზონია

ფასიანი ქალაქების არსის შესახებ

ფასიანი ქალაქები, როგორც ფინანსური მეცნიერების თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკური ანალიზის ობიექტი განვითარების თანამედროვე ეტაპზე გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა დარგის მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა. სწორედ ფასიანი ქალაქების სუეროზე მოდის დაჟმეყეული ფინანსური რისკის გაზომვის სპეციფიკური ნეთოდები, ინვესტირების მოქმედების სხვადასხვა სტრატეგიების განსაზღვრა, საბანკო სისტემების მეშვეობით ფასიანი ქალაქების მიმოქცევის რეგულირება და ა.შ. გარდამავალ ეკონომიკურ პირობებში ძნელია მოინახოს რომელიმე ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ასეთი ყურადღებით იყოს აღიქვამი წინა პლანზე წამოწეული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ

მეცნიერები კვლევის დროს, ფასიანი ქაღალდების არსის განსაზღვრისას, გამოდიან არა მათი სოციალურ-ეკონომიკური შინაარსიდან, არამედ მათი მხოლოდ კონკრეტული გამოყენებიდან, რაც. ნუნეი ახრით, მოითხოვს დასუსტებას.

ფასიანი ქაღალდების მიერ სიმბოლური ფულის გამოხატვის თვისებებში ვლინდება ის მთავარი თავისებურება, რომელიც განსაზღვრავს ფასიანი ქაღალდების იერარქიასთან ერთად, მათი ფინანსური მეცნიერების კუთხით სხვა კვლევის ეკონომიკური ობიექტებისაგან განსხვავებასაც. მხედველობაში გვაქვს სიმბოლური ფულის ის თავისებურებები, რომელთა გამოც მათ არ შეუძლიათ შეასრულონ ფულის ყველა ფუნქცია და ამიტომ ეს უკანასკნელიც, თავის მხრივ, განაპირობებს ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციის საფუძველზე მათ შორის სუბორდინაციის აუცილებლობას, ფასიანი ქაღალდის, როგორც ფინანსური კატეგორიის განხილვას, ვინაიდან: **ქუჩ-ურთმ**, ეკონომიკური კატეგორია კონკრეტულის გარეშე, პრაქტიკის გარეშე - მხოლოდ უშინაარსო აბსტრაქციაა აქ მთავარია მეთოდოლოგიაში აბსტრაქტულსა და კონკრეტულს შორის ერთიანობის დაცვა არ შეიძლება უკერად შევიცნოთ რთული ობიექტი, არამედ საჭიროა თავდაპირველად მისი ელემენტების ანალიზი, ობიექტის შინაგანი კავშირების, შინაგანი არსების ახსნა, საერთო თავისებურებებისაგან არსებითის გამოყოფა; **მეორე**, სინთეზი კონკრეტული ანალიზის გარეშე მოწყვეტილია სინამდვილეს, პრაქტიკას და, აქედან გამომდინარე, მკვლევარი რჩება აბსტრაქციის სუბორდინირებულში. ანალიზი ამზადებს საფუძველს სინთეზისათვის, ხოლო სინთეზი კმინის საფუძველს უფრო დრმა ანალიზისათვის; **მესამე**, კონკრეტულობა არის ამოსავალი მოვლენის შეცნობის, ხოლო კონკრეტულის მიღწევა აბსტრაქციის შეშვეობით არის შეშვეცნობის შედეგი, კონკრეტული არის უფრო მდიდარი, უფრო შინაარსიანი, სიღრმისეული, რომელიც თავის თავში მოიცავს ანალიზისა და სინთეზის ერთიანობას. კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე გადასვლით კი არ ხდება სინამდვილისაგან დაშორება, არამედ პირიქით, თუ იგი სწორია, ხდება სინამდვილესთან მიახლოება; **მეოთხე**, ფასიანი

ქალაქების, როგორც ფულადი ურთიერთობების გამოვლენისადმი კელევის მეთოდოლოგიისადმი ჩენი დამოკიდებულების განსაზღვრა, საშუალებას გვაძლევს ფასიანი ქალაქების ეკონომიკური არსისა და ფუნქციების შესახებ მიმდინარე დისკუსიის არსებით შინაარსში გავერკვიოთ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ფასიანი ქალაქები თურიდიული ფენომენია (ვ. ბელოვი, მ. ბატურინი, გ. სტაროდუბცევა და სხვები), მეორენი აღნიშნავენ, რომ ფასიანი ქალაქები მიმოქცევის პროცესის ინსტიტუციურ ფორმას გამოხატავენ (ა. პერვოზვანსკი, გ. სალინი, ვ. ოვინიკოვი და სხვები), ხოლო მესამენი კი, ფასიან ქალაქებს თულიან როგორც ფინანსური რესურსების მობილიზაციის მხოლოდ ტექნიკურ ფორმას (ი. მარკინი, მ. ალექსეევი, ბ. ალიოხინი და სხვები), რომელია მათ შორის სწორი? აღნიშნულ კითხვას პასუხი რომ გავცეთ და განვსაზღვროთ საკუთარი პოზიცია, განვიხილოთ მოკლედ ეს სამივე შეხედულება.

ფასიანი ქალაქების ეკონომიკური არსის შესახებ სამივე შეხედულებას გააჩნია საერთო ნაკლოვანებები, რომლებიც, ჩენი აზრით, გამოიხატება შემდეგში: ჯერ ერთად, კელევაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია კონკრეტულ გამოყენებით საკითხებზე და ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტიანობის ამბავებაზე [1, 111-115]. მაშინ, როდესაც ისეთი მთავარი პრობლემის განხილვის დროს, როგორცაა ფინანსური აქტივების მართვა, ყურადღების გარეშეა დატოვებული. მეკლევართა ყურადღების აქცენტი უფრო გამახვილებულია ფასიანი ქალაქების ფუნქციონირების კონკრეტული მექანიზმის განხილვაზე, ვიდრე მათი არსის და რეალიზაციის ბუნების ახსნაზე.

როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ფორმალზე-ბუდი და მატარებელი ანალიზის ჩარჩოები ყველაზე ნაკლებად უწყობენ ხელს ფასიანი ქალაქების ეკონომიკური ბუნების გამოვლენას და ზოგჯერ ეწინააღმდეგებიან კიდევ მას, ამის გამო ფორმალური ანალიზი მოწოდებულია უფრო ინტუიციური შეფასება

მისცეს ფასიანი ქაღალდების ეკონომიკურ ბუნებას, ვიდრე დაასაბუთოს მათი მთლიანობის მიუხედავად.

ამრიგად, ფორმალური ანალიზის ფარგლებში შეუძლებელია გაკეთდეს ერთნიშნა დასკვნები ფასიანი ქაღალდების ეკონომიკური შინაარსის მიმართ, უფრო მეტიც, ის ეწინააღმდეგება კიდევ ასეთი დასკვნების გაკეთებას. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ თვით ფორმალური ანალიზი დამოკიდებულია ამ უკანასკნელზე. ხოვ ცნობილია, რომ გაურკვეველობა თეორიულ სფეროში მრავალგზის ართულებს ფორმალური ანალიზის შედეგების ინტერპრეტაციას, რიც გამოც გართულებულია მათი გამოყენება; მხოლოდ ფასიანი ქაღალდების სფეროში კელევის განსაკუთრებულ მიმართულებათა რიცხვს მიეკუთვნება ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების სამართლებრივი, ტექნოლოგიური და ინფორმაციული ინფრასტრუქტურის პრობლემები [2, 35-39].

ასეთი გამოკვლევების პოზიტიური მნიშვნელობის მიუხედავად, მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების ეკონომიკური ბუნების შესწავლა კელავ რჩება გამოკვლევების ჩარჩოებს მიღმა, ან დაიყვანება „სპეციალიზებულ“ შეფასებაზე.

ფინანსური მეცნიერების თვალსაზრისით გაკვირვებას იწვევს არა იმდენად ეს შეფასებები და მათი არაერთგვაროვნება, არამედ ის, რომ ისინი „წარმატებით“ გამოიყენება ფასიანი ქაღალდების ბუნების და არსის დასადგენად. კერძოდ, ფასიანი ქაღალდების „სამართლებრივი“ ბუნება გასაოცარი უგულებელყოფით. არის მიღებული მათი არსის ეკონომიკური ახსნისათვის ყველაზე უფრო რელიეფურად ასეთი მიდგომა ჩანს შემდგომ გამონათქვამში: „საერთოდ ფასიანი ქაღალდები წარმოადგენენ საკუთრების ტიტულებს, ანუ ისეთ იურიდიულ დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ მათი მთლიანობის უფლებას შემოსავალზე ან ქონებაზე“ [3, 13]. თვალნათლივ ჩანს, რომ, ავტორები ფასიანი ქაღალდების ბუნების, შეფასებაში გადამწყვეტ როლს ანიჭებენ მათ იურიდიულ ბუნებას, რაც ამის თროს მასში ახსნილია არაზუსტად: მისამდე წარმოდგენამ

იმის შესახებ, რომ ფასიანი ქაღალდები მხოლოდ იურიდიული დოკუმენტებია, ადვილად შეიძლება შექმნას მცდარი წარმოდგენა, რომ თითქოს მათი ანალიზი მხოლოდ იურისპრუდენციის საქმე იყოს. ეს კი ფაქტობრივად იმის აღიარების ტოლფასია, რომ მათ თითქოს არა აქვთ ეკონომიკური შინაარსი.

ამ სიტუაციის პარადოქსულობა ისაა, რომ მასთან შერაცხება თვით იურისტებსაც არ სურთ: თუ ეკონომისტები ფასიან ქაღალდებში ეკონომიკურ შინაარსს ვერ „ამჩნევენ“, მაშინ იურისტები აღარ დაუშვებენ, რომ ფასიანი ქაღალდების „სამართლებრივი ბუნება შეერიოს“ ნებისმიერ სხვა ბუნებას. და თუ ისინი არ ისახავენ მიზნად ახსნან ფასიანი ქაღალდების ეკონომიკური არსი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ ეტვი ეპარებათ ამ ამოცანის გადაწყვეტის აუცილებლობაში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფინანსური ბაზრის მრავალი ამოსავალი ცნება არაა განსაზღვრული კანონმდებლობით. ეს იმის გამო ხდება, რომ მრავალ მათგანზე ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული მეცნიერული შეხედულება. ფინანსური ბაზრის მრავალი თეორიული ასპექტის ჩამორჩენა მისი პრაქტიკული ასპექტისაგან შეიძლება იქცეს ფინანსური ბაზრის შემდგომი განვითარების ხელშემშლელ ფაქტორად. აუცილებელია გავეთვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ფასიანი ქაღალდების განმარტება, რომელიც ჩამოყალიბებულია საქართველოს შესაბამის კანონმდებლობაში, არაა საკმარისი იმ მრავალფეროვან სიტუაციაში ორიენტირებისათვის, რომლებიც არსებობენ და ამასთანავე ყოველდღიურად იცვლებიან ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების სრულყოფასთან ერთად, მელთხუ ფასიანი ქაღალდების ეკონომიკური ბუნების თეორიულ განუსაზღვრელობას მიუყავართ ერთიანი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე, რომელიც დაარეგულირებდა ფასიანი ქაღალდების ბაზარს; მეტუთუ ფასიანი ქაღალდების სამართლებრივი ბუნების გადაწყვეტაში ლაფსუსების აღმოფხვრის მიცდულობისას, იურისტები იძულებული არიან გამოვიდნენ იურისპრუდენციის „ფარგლებიდან“. ამასთან ერთად განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ იურისტები არა მარტო განახსებავენ ფასიანი ქაღალდების ეკონომიკურ და სამართლებრივ

ბუნებას. არამყდ აქტიურ „ძიებას“ ეწვევიან ამ კუთხით. ჩვენი აზრით, ფინანსური მეცნიერების ანალიზის თვალსაზრისით ფასიანი ქაღალდების „ეკონომიკური“ ბუნების „სამართლებრივით“ შეცვლა არსისა და მოვლენის გაიგივებას ნიშნავს. ხომ ცხადია, რომ ფასიანი ქაღალდების ეკონომიკური არსი და ამ არსის ინსტიტუციურად ორგანიზებული რეალიზაციის მექანიზმი სრულებით არ არის ერთი და იგივე, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ფასიანი ქაღალდების სამართლებრივ ბუნებას თაყვისი საკუთარი რეალიზაციის მექანიზმი გააჩნია; მუქვესა—ფასიანი ქაღალდების ეკონომიკური დახასიათებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი თვისებრივი ერთგვაროვნების გაზოვლენა, ანუ მათი ეკონომიკური არსისა და ფუნქციონირების ხასიათის ერთიანობის დადგენა. ეს საშუალებას მოგვცემს დაუბრუნდეთ ფასიანი ქაღალდების კონკრეტულად არსებული ინსტიტუციონალურ ფორმებს, მაგრამ უკვე გარკვეული კრიტერიუმებით; მუქვესა ეკონომიკურ ლიტერატურაში ფასიანი ქაღალდების არსის გარკვევისას მკვლევარებს მხედველობიდან რჩებათ ფასიანი ქაღალდების ეკონომიკური ბუნება და იფარგლებიან ფასიანი ქაღალდების, როგორც ეკონომიკური ურთიერთობის ობიექტის ანალიზით, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ურთიერთობათა რეალიზაციის საბაზრო სუბიექტად წარმოდგენით, რაც მოითხოვს დაზუსტებას. ასე მაგალითად, ბ. ალექსინი ფასიანი ქაღალდების, როგორც ეკონომიკური ურთიერთობის მატერიალური ობიექტის ანალიზისას, აქცენტს აკეთებს არსებული ფასიანი ქაღალდების კონკრეტული სახეობების განხილვაზე. შემდგომ ავტორი ფასიანი ქაღალდების სახეობის განჩასხვევებულ ნიშნებს ახასიათებს (აქციები, ობლიგაციები, სასესხო ფონდების ფასიანი ქაღალდები, ოფციონები, ფიჭერსული კონტრაქტები) [4, 8-12].

ჩვენი აზრით, მართალია, რომ ფასიანი ქაღალდების ცალკეულ სახეობაში აისახება მათი არსი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „მთელი“ შედგება თავისი „ნაწილებისაგან“, მაგრამ „მთელს“ თუ „ნაწილებად“ დავეყოფთ, ის უკვე „მთელი“ აღარ არის. ამდენად, „ნაწილების“ მექანიკური შეერთება, არ მოგვცემს „მთელის“

შინაარსის აღქმის საშუალებას. უფრო მეტიც, „მთელი“ ფლობს სისტემურ თვისებებს, რომელიც არ არის დამახასიათებელი მისი შემადგენელი „ნაწილებისაგან“.

ფასიანი ქაღალდების ეკონომიკური არსის, როგორც „ფულადი“ ბუნების მიტარებელი ფენომენის კვლევის დაწესება დაკავშირებულია ა. მარშალის სახელთან და მის შრომასთან „ფული, კრედიტი და კომერცია“. იხილავს რა ფულის ფენომენს, ა. მარშალი ხაზს უსვამს, რომ „ფული, ან დიკვიდურობანი ჩვენ გვეჩვენება არა თავის თავად, არამედ იმისათვის, რომ ფულის ქონა იძლევა საშუალებას ფლობდეს საყოველთაო მყიდველობით ძადას, ამასთანავე ყველაზე „მოსერხებული“ ფორმით“.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფული როგორც მყიდველობითი ძალის ყველაზე „მოსერხებული“ ფორმა, გულისხმობს უფრო ნაკლებ „მოსერხებულ“, მაგალითად, ფასიანი ქაღალდების არსებობასაც [5, 38-39].

მართალია, მარშალს დაწვრილებით არ გამოუკვლევია ფასიანი ქაღალდების ფულადი ბუნება, მაგრამ მან მოახერხა საფუძველი ჩაეყარა ასეთი გამოკვლევის მთავარი პრინციპებისათვის, რამაც შემდგომი გაერკვლება კმოვა სხვა მეცნიერების და კერძოდ ჯ. კეინის შრომებში.

კეინმა ფულზე მოთხოვნა გაყო ორ ტოლ ნაწილად: ტრანსაქციურ მოთხოვნად ფულად საშუალებებზე - L (1) და სპეკულაციურ მოთხოვნად - L (2), რომლებიც განპირობებულია წინდახედულობის და სპეკულაციის მოტივებით.

კეინის მიერ ჩატარებული ანალიზი არაფრით არ განსხვავდება ბოდა მისი წინამორბედი, კემბრიჯის სკოლის წარმომადგენლების ანალიზისაგან, რასაც არც თვითონ უარყოფდა, ეინაიდან ტრანსაქციური ფულის ნაშთები წრფივ დამოკიდებულებაშია სორმადიურ შემოსავლებთან და არ რეაგირებს ხარგების ან ხარჯების მოცულობებზე. ფულზე სპეკულაციური მოთხოვნა (2), კი უპროპორციულ დამოკიდებულებაშია პროვენტის განაკვეთთან. რამდენადაც ფულზე სპეკულაციური მოთხოვნა არაა მიქმდობა.

და მომავალი პროდუქტული განაკვეთების თანაფარდობის ფუნქცია. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფულის, როგორც გრძელვადიანი მოხმარების საქონლად განხილვა, ასე მაგალითად, ცნობილი ეკონომისტი დ. პიქსი თავის შრომაში „ღირებულება და კაპიტალი“ წერს: „ფული არაფრით არ განსხვავდება ნებისმიერი ამ სახეობის საქონლისაგან, მაგრამ იქვე აკეთებს შენიშვნას, რომ ფული უკიდურეს შემთხვევაში თანამედროვე არის არა იმდენად ხანგრძლივი სარგებლობის სამომხმარებლო საქონელი, არამედ ფასიანი ქაღალდების ნაირსახეობა“ [6, 265-367].

ფულის, როგორც ფასიანი ქაღალდების ნაირსახეობის განხილვისას, პიქსი აღნიშნავს, ყველაზე მოკლევადიანი თამასუქი რომ ავიდოთ და შევადართო მათი ბრუნვა ხელზე ნაღდი ფულის ბრუნვას, დაერწმუნდებით, რომ თამასუქის ბრუნვა გაცილებით მეტ ხარჯებს მოითხოვს. პიქსის აზრით ამით აისახება ის ფაქტი, რომ ასეთი ფასიანი ქაღალდები ხანუკვარი ობიექტი ხდება არა თავისთავად, არამედ იმიტომ, რომ ადამიანებს სურთ შეიძინონ ფასიანი ქაღალდები, რათა ქონდეთ შესაძლებლობა მომავალში გამოიყენონ ისინი გადახდის საშუალებად. მაგრამ, ადამიანები ამჯობინებენ ნაღდი ფულის გამოყენებას, ვიდრე თამასუქებით სარგებლობას. ეს იმიტომ, რომ თამასუქი ყოველთვის შეიცავს ხარჯების გარკვეულ რისკს, რაც დაკავშირებულია თამასუქის ფულად გადაქცევასთან.

ფულზე მოთხოვნის ყველაზე ფართო განმარტება მოცემულია მ. ფრიდმანის ნაშრომში: „ფულის რაოდენობრივი თეორია: ახალი განმარტება“. ფრიდმანის მთავარი თეზისი - „ფული - ყველაფერია და ყველაფერი - ფულია“ - ეყრდნობა იმას, რომ ის „სიმდიდრის ყველა სახეობას განიხილავდა ინდივიდების საბალანსო ანგარიშზე რიცხულ პოტენციურ შემცველად“ [7, 15].

ამრიგად, გარეცხილვით რა ფასიანი ქაღალდების ეკონომიკური არსის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები, შეგვიძლია დავასკენათ, რომ, ჩვენი აზრით, ფასიანი ქაღალდების ეკონომიკური არსი

გამოიხატება ფულის ფინანსებად გადაქცევის პროცესში წარმოქმნილ ფულად ურთიერთობებში, რომლის მეშვეობით ხდება თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაცია - ფორმირება, მათი განაწილება და მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის განხორციელება. ამ განმარტებაში ასახულია ფასიანი ქაღალდების (ცნების) ეკონომიკური არსი, კვლევის მეთოდოლოგია. მათი კლასიფიკაცია და ფუნქციების განხორციელების პრაქტიკულ შესაძლებლობებთან ერთად, მათი მიზნობრივი გამოყენებაც ცენტლის მიმოქცევის რეგულირებაში.

ლიტერატურა

1. Первозванский А. А., Финансовый рынок: расчет и риск, М., стр.37-38, 1994
2. Салыч Г. Г., Опционные, фьючерные и форвардные контракты, М., 1995
3. Редхед К., Хьюис С., Управление финансовыми рисками, М., 1996
4. Алексеев М. Ю., Миркин Я. М., Технология операций с ценными бумагами, М., 1992
5. Овчинников В., Россия и запад: Формы интерпретации фондовых рынков., Рынок ценных бумаг, №3, 1995
6. Фондовый портфель (Книга эмитента, инвестора, акционера. Книга биржевика. Книга финансового брокера), М., 1992
7. Алехин Б. И., Рынок ценных бумаг. Введение в фондовые операции, Таганрог, 1991
8. Marshall A., Money, Credit and Commerce, L., 1923
9. Хикс Дж. Р., Стоимость и капитал, М., 1993
10. Стендфорд К., Работы Фридмана, отражающие сущность его теории. Дайджест конспект, стр. 15, М., 1995

**ადგილობრივი ბიუჯეტების როლი რეგიონული
ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში**

თანამედროვე პირობებში მთავარი ამოცანაა ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგულირება მართვის ეკონომიკური მეთოდების დახმარებით, რომელთა შორის განსაკუთრებული როლი ადგილობრივ ბიუჯეტებს ეკუთვნის. ადგილობრივი ბიუჯეტების, როგორც ტერიტორიული მართვის ეკონომიკური მეთოდების, გამოყენების მიზანია სახელმწიფო უწყლადი საშუალებების ფონდების ფორმირებითა და გამოყენებით შობადინოს ზემოქმედება ტერიტორიულ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე. მართვის ეკონომიკური მეთოდების სისტემაში ადგილობრივი ბიუჯეტების ფართოდ გამოყენების განმსაზღვრელი პირობებია: 1. მართვის ადგილობრივი ორგანოების წინაშე მდგომი ამოცანებისა და მათი უწყლების გაფართოების საფუძველზე საბაზრო ეკონომიკის ფორმირების მართვის პროცესების დეცენტრალიზაცია. 2. ყველა დონის ბიუჯეტის ერთიანობა და ურთიერთდაზოუკიდებლობა; პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ტერიტორიული მართვის ორგანოები არ გამოდიან ფინანსური სუბიექტების როლში. ისინი მოქმედებენ სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებების საფუძველზე და ამ უფლებამოსილების ფარგლებში. ამიტომ, თუ ცენტრალიზებული მართვის მექანიზმი მოწოდებულია ბიუჯეტური მეთოდების გამოყენებით უზრუნველყოს საერთო სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის გატარება, მართვის ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტური ბერკეტების გამოყენება საშუალებებს იძლევა კონკრეტული რეგიონების კომპლექსური განვითარებისათვის. ადგილობრივი ბიუჯეტები, როგორც მართვის ეკონომიკური იარაღი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოიყენება სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად. ისინი ხასიათდებიან: 1. გაღვნიის ფართო სფეროთი, რადგანაც საბიუჯეტო ურთიერთობები ტერიტორიული კვლავწარმოების პროცესის ყველა მხარეს მოიცავს; 2. ქმედითობის მაღალი ხარისხით, რაც

განპირობებულია მოცემული გეოგრაფიული კატეგორიის გადამანაწილებელი ბუნებით; 3. მოქნილობით, რადგან მართვის საბიუჯეტო მეთოდების სისტემა ყალიბდება არა როგორც ერთხელ და სამუდამოდ დამტკიცებული ბერკეტების სისტემა, არამედ არის დინამიკური, მუდმივად განვითარებადი, რომელიც იცვლება რეგიონული განვითარების ამოცანებისა და მიზნების შეცვლასთან ერთად. ჩატარებულმა თეორიულმა კვლევამ საშუალება მოგვცა გამოვეყნოთ მართვის ბიუჯეტური მეთოდების შემდეგი თავისებურებანი: მართვის სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე უშუალოდ დამოკიდებულება; ორიენტაცია სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე მიზანმიმართულება; სემოქმედების მარეგულირველი ხასიათი.

თეორიული კვლევისას მიღებული დასკვნების შესაბამისად, მიზანშეწონილიად მიგვაჩნია ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ბიუჯეტური მეთოდების სემოქმედების ეფექტიანობის ამადგობისათვის მხედველობაში მივიღოთ შემდეგი დონისძიებები:

- გამოვიყენოთ საერთო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების დარიცხვის ლეგიტიმური ნორმატივები; მოცემული ნორმატივები სტაბილური უნდა იყოს 3-5 წლის განმავლობაში, რაც საშუალებას მოგვცემს განხორციელდეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის პერსპექტიული დაგეგმვა, უზრუნველყოთ ბიუჯეტთაშორისი კავშირების სტაბილურობა.

- საჭიროა ტრანსფერტული გადასახადების წილის შემცირება ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსირებაში სხვადასხვა დონის ბიუჯეტებზე განსაზღვრული სახის გადასახადების და შემოსავლების მიმავრების გზით.

- ადგილობრივ ბიუჯეტებზე მისამავრებელი გადასახადებისა და შემოსავლების შერჩევისას ორიენტაცია ავიღოთ მათი საშემოსავლო ბაზის სტაბილურობის უზრუნველყოფაზე; თანაქედროვე პირობებში ადგილობრივი საგადასახადო სისტემის აგებისას აუცილებელია გაეთვალისწინოთ მეთოდოლოგიურად ახალი მიდგომა, კერძოდ: გადასახადებზე და შემოსავლებზე ნამატების

სისტემის გამოყენება, რადგანაც ამ შემთხვევაში მართვის ცენტრალური ორგანოები ადგენენ ნაბატების ზღვრულ თანხებს (%) ხოლო ადგილობრივი ორგანოები განსაზღვრავენ გადასახადების ზომას რეგიონული ღირებულების განვითარების პრიორიტეტებისა და მიზნებთან დამოკიდებულებით. ადგილობრივი დაბეგერის ასეთი სისტემის შემოღების უპირატესობად მიგვაჩნია მისი სიმარტივე ეფექტიანობა და სტაბილურობა;

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საბიუჯეტო, საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საკითხები. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში აღნიშნული პოლიტიკის გასატარებლად საჭიროა ისეთი საკითხების მეცნიერული შესწავლა, როგორიცაა: ბიუჯეტის შემოსავლისა და გასაყლის დაბალანსება და დეფიციტის რეალური საზღვრების დადგენა, საწარმოთა ფინანსების გაჯანსაღება, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მართვა და სხვა.

მართალია, ბოლო წლებში, მიუხედავად ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციისა, აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ შეძლო რამდენადმე დაეძლია საფინანსო სფეროში შექმნილი მძიმე მდგომარეობა, მაგრამ კვლავაც ბევრი პრობლემაა გადასატარელი, ვინაიდან მთელი ქვეყნის მეურნეობა ნელი ტემპით ვითარდება და ამიტომაც ჯერჯერობით შეუძლებელია საზოგადოებრივი ეფექტიანობის მაღალი დონის და ეკონომიკის სრული სტაბილიზაციის მიღწევა ცალკეულ რეგიონში.

სოციალ-ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნისა და სტაბილიზაციის დაჩქარების მიზნით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ბიუჯეტს, მისი ფორმირების მექანიზმის სწორ გააზრებას, პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას, სწორი საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას, ბიუჯეტის დეფიციტის გამომწვევი მიზეზების თანდათანობით აღმოფხვრას. რეგიონში საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აჭარის

ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილია სახაზინო სამსახურმა და საბანკო სისტემის მუშაობის გაუმჯობესებამ, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საწარმოთა და ორგანიზაციათა უმეტესი ნაწილი, სამწუხაროდ, საბანკო ანგარიშების გვერდის ავლით, საღარიბო მუერნეობის მეშვეობით ახორციელებენ თანხების ნაწილის დამალვით თანხების მოძრაობას, აღნიშნული კი მნიშვნელოვნად უშლის ხელს შესაბამისი საკონტროლო-საგადასახადო ორგანოების მიერ დასაბუჯრი შემოსავლების გაანგარიშებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა ასევე მიუთითებს ავტონომიური რესპუბლიკის საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტის სათანადო მუშაობაზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის რეალური ეკონომიკური შესაძლებლობების და არსებული რეზერვების სრულ გამოყენებაზე მაინც შორს ვართ და ამიტომაც არის საჭირო ადგილობრივი საგადასახადო სისტემის აგებისას მეთოდოლოგიურად ახალი მიდგომის პრაქტიკულად განხორციელების დაჩქარება; ბიუჯეტის დეფიციტის დაძლევა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ხარჯებთან დაჩქარევი გათანაბრებისაკენ კი არ უნდა იყოს მიმართული, არამედ უნდა იქცეს თანამიმდევრულ პროცესად, რომელიც სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის თითქმის ყველა სფეროში მოითხოვს კონკრეტულ ღონისძიებების გატარებას, კონკრეტული პასუხისმგებლობის განსაზღვრით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტურობა, რა თქმა უნდა, უარყოფით გავლენას ახდენს რეგიონების იმ ორგანიზაცია-დაწესებულებების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე იმყოფებიან. ამიტომ დეფიციტის შემცირებისათვის ზრუნვა ყველა რეგიონის უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

აიკრძალოს საბიუჯეტო ასიგნებების სახით ფინანსური დახმარების გაწევა მატერიალური დოვლათის მწარმოებელ დარგებზე, გარდა ჩოყლის მუერნეობისა;

- აღმასრულებელ ორგანოებს უნდა აეკრძალოთ ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფინანსება;

გამკაცრებას მოითხოვს ზედამხედველობა საბიუჯეტო ასიგნებათა უკანონოდ და არამიზნობრივად გამოყენების პროცესებზე;

- უნდა გაუქმდეს ყველა არასაბიუჯეტო ფონდი, რომელთა დაფინანსებაც წარმოებდა ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროებიდან; რეგიონის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგთა წარმოების ტემპების სტიმულირების და აჭარის მაღალმთიანი მოსახლეობისათვის სოციალური გარანტიების შექმნის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საჭიროა მოსახლეობისათვის ზოგიერთი სახის გადასახადის მნიშვნელოვანი შემცირება;

- საწარმოთა მოგების გადასახადზე შეღავათების დაწესება ერთი მთავარი პირობით—საწარმოსათვის დატოვებული მოგების საინვესტიციო-წყაროდ გამოყენებით;

- უნდა გაძლიერდეს ყურადღება შიდა ბაზრის უცხოური დუპლინგისაგან დაცვაზე, რათა ადგილობრივი წარმოების საქონელს ბაზარზე უპირატესი გასვლის საშუალება ჰქონდეს.

- გაზრდას მოითხოვს ტრანსფერტების მოცულობა აჭარის მაღალმთიანი რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, რომ აღნიშნული ღონისძიებების გატარებით მივაღწიოთ მოსახლეობის ცხოვრების შედარებით მაღალ დონეს.

ა. ცინცაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდაცვალებულ ეკონომიკაში ფინანსების როლის ამაღლების ღონისძიებების შესახებ

ქვეყნის ბიუჯეტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფინანსურ ურთიერთობათა სისტემაში, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული ფინანსურ ურთიერთობათა სისტემის სრულყოფა. ამიტომ ამ პროცესის ერთიანობასთან ერთად, აუცილებელია მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობაც.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ქვეყნისა და რეგიონების ეკონომიკის სტაბილიზაციის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიუჯეტებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ბიუჯეტთა შორისი ურთიერთობები ასრულებენ კელაქვარშობის ფინანსური რესურსებით განმანაწილებილ, მასტიმულირებელ და სხვა ფუნქციების უზრუნველყოფას. მისი გაუმჯობესებისათვის აუცილებლად მივალნია უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა დონის ბიუჯეტების რეალური გათვლა და მათი გასაღების დაბალანსების მაქსიმალური უზრუნველყოფა რაც, ჩვენი აზრით, გულისხმობს: ჯერ ერთი, საბიუჯეტო ფედერალიზმის განმტკიცებასა და მისი პრინციპების სრულ რეალიზაციას; მეორე, ყველა დონის ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასაღების ოპტიმალური სტრუქტურის სრულყოფასა და განმტკიცებას; მესამე, რეგიონების ეკონომიკური როლის ზრდის შედეგად ფინანსური საშუალებების ბიუჯეტებს შორის უშუალო გადაწოდების მოცულობების შემცირებასა და ფედერალურ ცენტრსა და რეგიონებს შორის გადასახადების განაწილების ოპტიმიზაციის საკითხის გადაწყვეტის დარქარებას. მეოთხე, სატრანსფერტო გასაღების სიდიდის გამოსათვლელი მეთოდების მეცნიერულ დახასიათებას; მეხუთე, რეგიონისათვის გამოსაყოფი და სხვა საშუალებების სიდიდის გამოთვლის მეთოდების რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე დასაბუთებას, ბიუჯეტებს შორის ურთიერთობების

განუითარების საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის პერსპექტივაში მოსალოდნელი მოვლენების შედეგების გათვალისწინების საფუძველზე სრულყოფას.

ბიუჯეტური ფედერალიზმის ფორმირების საფუძველი უნდა გახდეს ყველა დონის საბიუჯეტო სისტემის ხარჯების კანონიერი მიმაგრება და სახელმწიფო ხარჯების ფინანსირებაზე პასუხისმგებლობის ამაღლება. სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის ფინანსური საშუალებების განაწილების თანამედროვე მექანიზმი ორიენტირებული უნდა იყოს ბიუჯეტების ვერტიკალური და პორიზონტალური დაბალანსების ორმაგი ამოცანის გადაწყვეტის მიმართულებით, რაც გულისხმობს: ჯერ ერთი, ფედერალური ბიუჯეტიდან საბიუჯეტო სუბსიდირებას, ტრანსფერტების, სუბვენციების ურთიერთნათვლებლის მეშვეობით განხორციელებას; მეორე, ტრანსფერტების გამოსათვლელი საწყისი ბაზის გარკვევას გათანაბრების ფორმულით, რომელშიც ორი პარამეტრი უნდა იყოს ჩადებული: ბიუჯეტის საშუალო სულადობრივი შემოსავალი და რეგონების ეკონომიკის საშუალო სულადობრივი გასავალი.

ტრანსფერტების გამოთვლის მექანიზმი მოითხოვს სრულყოფას. კერძოდ, საჭიროა პარამეტრებში ისეთი შესწორებების შეტანა, რომლებიც გაითვალისწინებენ რეგიონების ფაქტობრივ სოციალურ გასავლებს (ერთ სულ მოსახლეზე) მათ ნორმატიულ დონესთან შედარებით. აგრეთვე რეგიონების ეკონომიკური განუითარების დონეს, მათ ფინანსურ პოტენციალს, რეალურ მოთხოვნილებებს, სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების სიმწვავეს და მათი დაუყოვნებლივ გადაწყვეტას და შესაძლებლობის დონეს.

როგორც რეგიონებში, ასევე მთლანად სახელმწიფოში საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა ობიექტურად მოითხოვს რეგიონების ფინანსური უზრუნველყოფის ძირეულ გაუმჯობესებას, მათი ამოცანების გაფართოებასა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას ეკონომიკის სტაბილიზაციაში, სტრუქტურულ გარდაქმნაში, სოციალურ პრობლემების გადაწყვეტასა და ცხოვრების დონის ამაღლებაში.

ქვეყანაში გატარებული რეფორმების სტრატეგიასა და ტაქტიკაში დაშვებულმა შეცდომებმა არა მარტო შეარყია რეგიონების ეკონომიკა, არამედ მკვეთრად გააძლიერა მათი დიფერენციაცია ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლებისა და სოციალური განვითარების დონის მიხედვით.

ზემოქმედების გათვალისწინებით აუცილებელია ცენტრსა და რეგიონებს შორის ეკონომიკური ურთიერთკავშირების მთელი სისტემის ძირეული განახლება, რაც გულისხმობს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საბიუჯეტო ურთიერთობების სფეროს გაფართოების, მათი ფინანსური დამოუკიდებლობის გაძლიერებისა და გადასახადების გადანაწილების აუცილებლობას, ამ პროცესში სამართლიანობის პრინციპების განუხრელ დაცვას.

აუცილებელია ცენტრალური და რეგიონული ბიუჯეტების მიერ საინვესტიციო გასაღვლების ერთობლივი დაფინანსების პრაქტიკის შემოღება, რომელიც გულისხმობს ქვეყნის სუბიექტების დახმარების აღმოჩენას იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება მათ მიერ ცენტრალური საგადასახადო და საბიუჯეტო კანონმდებლობა.

თეორიულად ფინანსური გათანაბრება უნდა გამოშდინარეობდეს არა მარტო რეგიონებს შორის საბიუჯეტო უზრუნველყოფის შეპირისპირებიდან, არამედ ცალკეული ადამიანის ბიუჯეტის მიმართ ვალდებულების შესაბამისობიდანაც, ვინაიდან სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში ურთიერთმოქმედებისა და ერთიანობის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ გასაღვლების მიზნობრივი გამოყენების მიღწევით. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების არხებით ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული საშუალებების მიზნობრივ გამოყენებაზე ფინანსური კონტროლის გაძლიერება და, აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების აღმასრულებელი ბიუჯეტების რევიზიის ჩატარების აღდგენა და მათი საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

თ. ხიზანიშვილი

კომერციული ბანკი – ბაზრის ინფრასტრუქტურის უზენაესი ელემენტი

საქართველოში ბოლო წლების „ეკონომიკური რევოლუცია“, რომელიც დაკავშირებულია ცივილიზებული საბაზრო მექანიზმის შექმნასთან, ძირითადად ხასიათდება კომერციული ბანკების მზარდი განვითარებით. მათ რაოდენობრივ ზრდას თან სდევდა ხარისხობრივი წინსვლაც. მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ფულად-საკრედიტო სისტემის სხვა რგოლებშიც. სწრაფად გაიზარდა არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები (სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო საზოგადოებები და სხვა), მაგრამ კომერციული ბანკები მაინც საბაზრო მექანიზმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა კომერციული ბანკი თავის საქმიანობას წარმართავს „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. კანონში შემდეგნაირადაა განსაზღვრული „ბანკის“ როგორც ეკონომიკური კატეგორიის არსი: „საკრედიტო დაწესებულება, რომელიც მოგების მიღების მიზნით ეწევა საბანკო საქმიანობას“.

ბანკი, როგორც კომერციული დაწესებულება, არის იურიდიული პირი, რომელსაც მოქმედი კანონის და ეროვნული ბანკის მიერ გაცემული რეგულაციების თანახმად, უფლება აქვს მოიზიდოს იურიდიული და ფიზიკური პირების ფულადი სახსრები და განათავსოს ისინი თავისი სახელით დაკრედიტების პრინციპების დაცვით და ასევე, განახორციელოს სხვა საბანკო ოპერაციები.

საფინანსო-საკრედიტო დეპარტამენტში „კომერციული ბანკის“ არსი განსაზღვრულია შემდეგნაირად: „კომერციული ბანკი არის ყველაზე მსხვილი საკრედიტო დაწესებულება, რომელიც აწარმოებს უნივერსალურ საბანკო ოპერაციებს ყველა დარგის დაწესებულების და ფიზიკური პირისათვის, უმეტესად მოზიდული სახსრების ხარჯზე, ის წარმოადგენს საკრედიტო სისტემის ძირითად რგოლს“.

1987 წლამდე საბანკო საქმიანობაზე არსებულმა მონოპოლიამ გადააქცია ბანკები სახელმწიფოს თავისებურ ადმინისტრაციულ-აღმასრულებელ ორგანოდ. დაიკარგა კომერციული ბანკის მიერ 1930-1932 წლების საბანკო რეფორმამდე დაგროვებული კოლოსალური გამოცდილება. კონკურენციის არარსებობის პირობებში სრულიად დამახინჯდა საერთოდ წარმოდგენა ბანკების ფუნქციების, როლის და ადგილის შესახებ. კრედიტის გაცემა ხორციელდებოდა შკაცრად ვერტიკალურად, რამაც კრედიტი გადააქცია სახელმწიფოს მიერ გადასანაწილებელ რესურსად.

საქართველოში 90-იანი წლებიდან ჩამოუკალიბდა ორდონიანი საბანკო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბანკების ურთიერთობებს როგორც პორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად. ვერტიკალური ურთიერთობები ეფუძნება ეროვნული ბანკის მხრიდან კომერციული ბანკების რეგულირებას. პორიზონტალური ურთიერთობები კი წარმოადგენს ბანკებს, როგორც თანაბარუფლებიან პარტნიორებს შორის არსებულ ურთიერთობებს. აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს თითოეული დონის ფუნქციები. საქართველოს ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს „ბანკების ბანკის“ სტატუსი და ასრულებს მთლიანი ფულად-საკრედიტო სისტემის კოორდინატორის როლს. საბანკო სისტემის მეორე დონეს ქმნის დამოუკიდებელი კომერციული ბანკების ქსელი, რომლებიც ასრულებენ კლიენტურის საკრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურების ფუნქციას.

საქართველოს კანონში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ განსაზღვრულია საბანკო ოპერაციების შემდეგი ჩამონათვალი:

პროცენტებიანი და უპროცენტო ფულადი ანაბრების მოზიდვა, სხვადასხვა სახის კრედიტების გაცემა, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, ფულადი გადარიცხვების და საღარიბო ოპერაციების განხორციელება, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა, საშუაშაულო მომსახურება ფულად ბაზარზე, სატრასტო ოპერაციების განხორციელება, კლიენტურის საინფორმაციო მომსახურება.

ხაბანკო ოპერაციების მოცემული ჩამონათვალიდან გამომდინარეობს, რომ კომერციული ბანკები ასრულებენ ოპერაციებს ფულად-საფინანსო ბაზრის სხვადასხვა სექტორში და არიან მრავალპროფილიანი საკრედიტო დაწესებულებები.

აუცილებელია ერთმანეთისაგან გაემიჯნოთ „ბანკის ფუნქციები“ და „ბანკის ოპერაციები“.

ცნება „ფუნქცია“ განისაზღვრება შემდეგნაირად: „როლი, რომელსაც ასრულებს გარკვეული სოციალური დაწესებულება საზოგადოებრივი სისტემის მოთხოვნებთან მიმართებაში“ [1].

ამ მხრივ ბანკის ფუნქციები მართებულია განისაზღვროს შემდეგნაირად:

- 1) ფულადი სახსრების მოზიდვა და მათი განთავსება უკან დაბრუნების, სარგებლიანობის და ვადიანობის პრინციპით.
- 2) საგადასახადო საშუალებების ემისია კაპიტალის წრებრუნვის მომსახურების მიზნით.

ასეთია ბანკების ეკონომიკური ფუნქციები. განვიხილოთ ბანკების ძირითადი ფუნქციები. ნებისმიერი ბანკის უპირველესი ფუნქციაა ფულადი სახსრების მოზიდვა და მათი განთავსება დაბრუნებადობის, სარგებლიანობის და ვადიანობის პრინციპების დაცვით.

მოიზიდაეს რა ფულად სახსრებს, ანაბრების და დეპოზიტების სახით ბანკი იხდის პროცენტს, რათა შეინარჩუნოს აღნიშნული რესურსი. ბანკის მიერ საკრედიტო ოპერაციებზე მიღებული შემოსავალი ძირითადად ეფუძნება სხვაობას მოზიდულ სახსრებზე გადახდილ საპროცენტო განაკვეთსა და კლიენტურაზე გაცემულ კრედიტებზე დარიცხულ სარგებელს შორის.

ორდონიანი ხაბანკო სისტემის პირობებში ფულის ემისიის ფუნქცია დაეკისრა საქართველოს ეროვნულ ბანკს, მაგრამ ფულადი მასის ფორმირების პროცესს საბაზრო ურთიერთობების პირობებში ახასიათებს სტიქიური საწყისი. ემისია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა გზით. ეროვნულ ბანკს ამ პროცესში შეუძლია შეასრულოს როგორც პასიური, ასევე აქტიური როლი.

კომერციული ბანკები თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას ყიდულობენ და ყიდნიან სხვადასხვა ფინანსურ აქტივებს, გასცემენ კრედიტებს, ასრულებენ ყველა სახის საანგარიშსწორებო ოპერაციებს, ერთდროულად ქმნიან ან აუქმებენ დეპოზიტებს, რომლებიც წარმოადგენენ ფულადი მასის შემადგენელ ელემენტებს. ამ პროცესს გააჩნია თავისი ეკონომიკური საზღვრები. რომელიც განპირობებულია კლიენტურის მხრიდან კრედიტზე მოთხოვნით, ბანკების ლიკვიდობით, ფულადი რეზერვების მოცულობით და მისი უზრუნველყოფის ხარისხით და ა.შ.

ბანკებს გააჩნიათ უნარი შექმნან საკრედიტო რესურსი მოზიდული დეპოზიტების ხარჯზე. მაგრამ ახალი დეპოზიტების შექმნის პროცესი არ არის უსასრულო. მას გააჩნია საზღვრები და საბოლოოდ შეზღუდულია ბანკების განკარგულებაში არსებული თავისუფალი ფულადი რეზერვებით. ეროვნულ ბანკს, რომელსაც დაწესებული აქვს აუცილებელი რეზერვების მინიმალური ოდენობა კომერციული ბანკებისათვის, არ შეუძლია მთლიანად აკრძალოს ფულადი ექსპანსია. ბანკს ექნებოდა ამის უნარი იმ შემთხვევაში. თუ დეპოზიტების სარეზერვო უზრუნველყოფა იქნებოდა არა 16%. არამედ 100%. ასეთ პირობებში რეზერვის თითოეული ერთეული შესაბამისობაში იქნებოდა ახალი დეპოზიტის მხოლოდ ერთ ერთეულთან.

დეპოზიტების რეზერვით ნაწილობითი უზრუნველყოფის პირობებში ბანკებს ეძლევათ შესაძლებლობა შექმნან დეპოზიტები (შესაბამისად გაზარდონ ფულადი მასა) იმ მოცულობით, რომელიც ბევრად აღემატება რეზერვების მატების თავდაპირველ თანხას. მსოფლიო პრაქტიკაში ამ პროცესმა შიილო „დეპოზიტების მულტიპლიკაციის“ სახელწოდება.

ბანკებს შეუძლიათ გამოუშვან უნაღდო საგადასახადო საშუალებები და ამით შეცვალონ მიმოქცევაში ფულის საერთო რაოდენობა. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს კომერციული ბანკების საემისიო საქმიანობის რეგულირების საკითხი. ერთ-ერთი ასეთ სახის შემზღუდეელი ინსტრუმენტია

ანგარიშსწორებათა წარმოება საკორესპონდენტო ანგარიშის საშუალებით ეროვნულ ბანკში. კლიენტის დაედალებით მისი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერისას ერთდროულად იმავე ოდენობით მცირდება სახსრები ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე.

ამგვარად, თითოეული ბანკის საკრედიტო დაბანდებათა მოცულობა მკაცრად შეზღუდულია მის განკარგულებაში არსებული რესურსებით. ახლა განვიხილოთ, როგორი სახით ხორციელდება ფულადი ანგარიშსწორებანი ბანკების საშუალებით.

ფულადი ანგარიშსწორებანი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესთაგანია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას. ფულადი ბრუნვის გარკვეული ნაწილი ხორციელდება უნაღდო ფორმით, ანუ სახსრები მოძრაობს გადარიცხვების და ჩარიცხვების ფორმით.

უნაღდო ანგარიშსწორებათა წარმოება ხდება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, რამაც განაპირობა საერთაშორისო საფინანსო, საგადასახადო თუ საკლირინგო სისტემების როლის ამაღლება. განსაკუთრებული ფუნქცია ამ პროცესში ეკუთვნის მსოფლიო ბანკთაშორის საფინანსო-სატელეკომუნიკაციო საზოგადოებას, რომელიც ეკონომიკურ წრეებში ცნობილია სვიფტის სახელწოდებით.

უნაღდო ანგარიშსწორებას აქვს გარკვეული უპირატესობანი ნაღდ ფულად ანგარიშსწორებასთან შედარებით, მაგრამ ნაღდი ფული კვლავინდებურად რჩება ერთ-ერთ ძირითად საგადასახადო საშუალებად, განსაკუთრებით საგადასახადო ბრუნვაში, რომელშიც მონაწილეობს მოსახლეობა. რა თქმა უნდა, საბაზრო ურთიერთობების დანერგვასთან ერთად უნაღდო ანგარიშსწორება მეტ ადგილს დაიკავებს მომავალში.

ნებისმიერი ბანკი, თავისი ძირითადი ფუნქციების საკრედიტო-საანგარიშსწორებო და სადებოზიტო ოპერაციების განხორციელების პარალელურად, კვლავს გააფართოოს კლიენტურის მომსახურების სპექტრი, რადგან ეს ხელს შეუწყობს კლიენტურის რაოდენობის და შემოსავლების ზრდას. კომერციული ბანკები სთავაზობენ რა

კლიენტურას მომსახურების სხვადასხვა სახეებს, გადაიქცევიან უნივერსალურ დაწესებულებებად, რომლებიც ასრულებენ არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ სხვადასხვა ტიპის მომსახურებას.

ბანკები გასცემენ სესხებს მეურნეობის დაფინანსებისათვის, მონაწილეობენ სახელმწიფოებრივი პროგრამის შემუშავებაზე, ემსახურებიან სადაზღვევო ოპერაციებს, აწარმოებენ უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს, ასრულებენ საშუაშაულო და სატრასტო ოპერაციებს, ყიდულობენ და ყიდიან ფასიან ქაღალდებს და ა.შ.

საქართველოს საბანკო სისტემა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაზეა, როდესაც ხორციელდება საბანკო სისტემის განვითარება და დახვეწა. საბანკო სექტორის ფინანსურ სტაბილურობაზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია, რადგან 1996-1998 წლებში ბანკების მასიურმა გაკოტრებამ, განაპირობა ყოველი მეოთხე ბანკის დახურვა. ამიტომ ბანკების სტაბილურობის უზრუნველყოფის საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. „ბანკის სტაბილურობა განისაზღვრება უპირველეს ყოვლისა მისი ლიკვიდობით, ანუ ბანკის შესაძლებლობით თავისდროულად და მთლიანად დაფაროს ყველა თავისი ვალდებულება“ [1].

Liquidus (ლათ.) - ნიშნავს მატერიალური ფასეულობების ნაღდ ფულად გადაქცევის უნარს.

რაც შეეხება კომერციული ბანკის ლიკვიდობას, ამ შემთხვევაში აქ საუბარია უფრო სპეციფიკურ განსაზღვრებაზე. კომერციულ ბანკებს, ისევე როგორც სხვა გეონომიკურ სუბიექტებს ესაჭიროებათ სახსრები ლიკვიდურ ფორმაში, ანუ ისეთი აქტივები, რომლებიც მინიმალური დანაკარგებით შესაძლებელია გარდაიქმნას ნაღდ ფულად და შესაბამისად წარიმართოს სავალლო ვალდებულებების დასაფარავად.

ლიკვიდური აქტივების ფორმა და ოდენობა ბანკის ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ყურადღების საგანია. ბანკს უნდა გააჩნდეს ლიკვიდური რეზერვი ნებისმიერი მოულოდნელი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდობის შენარჩუნება

დაკავშირებულია კრედიტზე მოთხოვნისა და ანაბრების მოცულობის მიუზღოდნელი მერყეობის კომპენსირების აუცილებლობასთან. ბანკს უნდა გააჩნდეს საკმარისი სახსრები იმისათვის, რათა გამოიყენოს სარფიანი დაბანდების უეცარი შესაძლებლობა. ბანკის ხელშეწყობა ასევე მიისწრაფვის განჭვრიტოს ანაბრებიდან თანხების გატანის აღბათობა. მიზეზები შეიძლება იყოს სხვადასხვა, როგორცაა საზოგადოებრივი უწყსროგობა, გაფიცვები, საწარმოების მასობრივი გაკოტრება, სტიქიური უბედურებები. ასეთი გაუთვალისწინებელი გარემოებების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ლიკვიდური რეზერვები, რომელიც დაიცავს ბანკის მყარ მდგომარეობას.

საბანკო პრაქტიკაში ლიკვიდობის პრობლემა წარმოიშობა ყველაზე ხშირად მაშინ, როდესაც საბანკო კრედიტები გაიცემა სახსრების მოზიდვის ვადებზე მეტი ვადით. ამ დროს აღმოჩნდება, რომ ბანკს არ ძალუძს დაფაროს ყველა თავისი ვალდებულება მოთხოვნისთანავე და იძულებულია სასწრაფოდ მოიძიოს საჭირო სახსრები ბანკის ფარგლების გარეთ. მთლიანი საბანკო სისტემის მდგრადობა დამოკიდებულია კომერციული ბანკების ლიკვიდობაზე. ბანკის ლიკვიდობის დონის შენარჩუნების ძირითადი შესაძლებლობებია:

- საკრედიტო სახსრების მყარ ვალუტაში გაცემა;
- სასესხო პორტფელის და დეპოზიტების ვადების გონიერული შეთანაწყოება;
- სწავლო ვალდებულებების ემისია;
- ვროვნული ბანკისაგან, ბანკის კორესპონდენტებისაგან, საწარმოებისა და მოხახლეობისაგან სესხის მიღება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხაკითხი, რომლებიც დაკავშირებულია ბანკების ლიკვიდობასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს საბანკო სისტემისათვის. ქართული ბანკები ჯერ-ჯერობით არ ფლობენ საკმარის რესურსებს, რაც განპირობებულია ქვეყანაში არსებული საერთო ეკონომიკური მდგომარეობით. ხანდო და შემოსავლიანი აქტივების პრობლემა

ბანკებისათვის პირველი მნიშვნელობის პრობლემაა. ეკონომიკური პრობლემების რიცხეს მიეკუთვნება კომერციული ბანკების ლიკვიდობის, საიმედოობისა და რენტაბელობის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას და აღმავლობას.

ლიტერატურა

1. Философский энциклопедический словарь, М., Советская энциклопедия, 1983, с. 751
2. Автонов Н.Г., Песель М.А., Денежное обращение, кредит и банки, М., Финанстатинформ, 1995, с. 81

დოც ი. კოვზანაძე

საინვესტიციო პორტფელის მართვის სრულყოფის ბზები

საინვესტიციო პორტფელის მართვის პრაქტიკაში შეიძლება გამოიკვეთოს ორი მიდგომა. პირველი ტრადიციულია, ხოლო მეორე ჩამოყალიბდა უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე.

პორტფელის ტრადიციული მართვა ეფუძნება ბალანსირებული პორტფელის იდეას. ამ კონცეფციის მიხედვით, ინვესტორები პორტფელში, როგორც წესი, ყველაზე ცნობილი სხეადასხვა კომპანიების აქციებს ათავსებენ. ეს დაკავშირებულია სამ მიზეზთან. ჯერ ერთად, კარგი რეკომენდაციის მქონე საწარმოები იშვიათად განიცდიან კრახს; მეორედ, ისინი მაღალლიკვიდურია, დიდი რაოდენობით მიმოიქცევიან ბაზარზე და მესამედ, ასეთი აქციებისაგან შედგენილი პორტფელი მუდამ დიდი ნდობით სარგებლობს.

თანამედროვე საპორტფელო თეორია - ეს არის საპორტფელო სტრატეგიის ფორმირება სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. საპორტფელო სტრატეგიის დასასაბუთებლად არსებობს რამდენიმე ძირითადი სტატისტიკური მანიწვნებელი. ერთი ამ მანიწვნებელთაგან - სტანდარტული გადახრის კვადრატი ან აქტივის შემოსავლიანობის დისპერსია; მეორე - წყვილი ფასიანი ქაღალდის კორელაცია ანუ მთლიანობაში ფასიანი ქაღალდისა და ბაზრის უკუგება.

თანამედროვე საპორტფელო თეორია აგრეთვე იყენებს ისეთ მნიშვნელოვან პარამეტრს, როგორცაა ე.წ. "ბეტა", რომელსაც ქვეყნით დაწვრილებით განვიხილავთ. პრაქტიკაში, როგორც წესი, ინვესტორები არ ირჩევენ ზემოთ აღნიშნული სტრატეგიებიდან ერთ-ერთს, არამედ იყენებენ ორივეს. საბანკო რისკის შემცირების ერთ-ერთ პრინციპად გვევლინება ინვესტიციების დივერსიფიკაცია - საინვესტიციო პორტფელში სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების შერწყმა. ბანკის საკუთრებაში რამდენიმე საინვესტიციო ობიექტის არსებობა განპირობებულია მისი საინვესტიციო გეგმით განსაზღვრული რამდენიმე მიზნის ურთიერთქმედებით.

საინვესტიციო პროგრამის შესრულების პროცესში უნდა მოხდეს მისი შეფასება, ამიტომ პროგრამაში ჩამოყალიბებული მიზნები უნდა შეიცავდნენ შესრულების ვადებს, რომელთა კონტროლიც სავალდებულოა. პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, აგრეთვე საფინანსო ბაზარზე სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში საჭიროა შეფასდეს საინვესტიციო გეგმა და პროგრამა, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს კორექტირება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოყალიბდეს განსაზღვრული წესები, რომლებიც უნდა დაიცვათ ინვესტირების პროცესში.

ძირველი წესი - კონკრეტული ბანკისათვის დასაშვები რისკის ხარისხის მიხედვით უნდა განისაზღვროს ფულადი სახსრების დაბანდების სფეროები.

მეორე წესი - მოიცავს დაბანდებისათვის ხელსაყრელი მომენტის შერჩევას. საკითხი იმის შესახებ, თუ როდის უნდა განხორციელდეს ინვესტირება, ძნელი გადასაწყვეტია იმიტომ, რომ იგი პირდაპირ არის დამოკიდებული მეტად ცვალებად და ძნელად გამოსაცნობ საბაზრო კონკურენციაზე. ინვესტირების მომენტის შესარჩევად საჭიროა განისაზღვროს ბაზრის მიმდინარე მდგომარეობა და შეფასდეს ბაზარში არსებული ტენდენციის შენარჩუნების შესაძლებლობა ან მოსალოდნელ ცვლილებათა მიმდინარეობა.

ბანკის საინვესტიციო პორტფელის ეფექტიანობის შეფასებების მიზანშეწონილია მიღებული შემოსავლების შედარება შესაბამის საერთო საბაზრო მაჩვენებლებთან. საერთოდ, მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობის ორიენტირად გვევლინება შემდეგი ინდექსები: ფირმა "სტენდარტ ენდ პურსზ"-ის, "დოუ ჯონსის", ნიუ-იორკისა და ამერიკის საფონდო ბირჟების, გაზეთი "ფაინენშალ ტაიმს"-ის, "ნიკეი"-ს და ა.შ.

საინვესტიციო პორტფელის მონიტორინგისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემოსავლიანობის მაჩვენებლის გამოყენება. აგრეთვე მისი გამოყენება შეიძლება ინვესტიციის მოსალოდნელი შემოსავლიანობის გასაანგარიშებლად.

ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$R = Rr + K / Iv$$

სადაც: R არის შემოსავალი; Rr - მიმდინარე შემოსავალი; K - კაპიტალის შატება (შემცირება); Iv - ინვესტიციის საწყის მოცულობა.

ეს ფორმულა გამოიყენება როგორც მთელი პორტფელის, ისე ცალკეული საფინანსო ინსტრუმენტების - აქციების, ობლიგაციების, რეალური აქტივებისა და სხვა ინვესტიციების ფაქტობრივი შემოსავლიანობის შესაფასებლად.

აქციებსა და ობლიგაციებში ინვესტიციების შემოსავლიანობის შეფასებისათვის არსებობს სხვადასხვა მაჩვენებლები. კერძოდ

დივიდენდის განაკვეთი განსაზღვრავს აქციაში ინვესტიციის მიმდინარე სადივიდენდო შემოსავლიანობას. იგი გამოიანგარიშება აქციის წლიური დივიდენდის ჯამის აქციის ფასზე გაყოფით.

ობლიგაციებზე მიმდინარე შემოსავლიანობის მაჩვენებელი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$R_r = R_i / R_b$$

სადაც: R_r მიმდინარე შემოსავლიანობაა; R_i - წლიური საპროცენტი შემოსავალი; R_b - ობლიგაციის მიმდინარე საბაზრო კურსი.

ობლიგაციათა მოსალოდნელი შემოსავლიანობა (დაფარვის შემოსავლიანობა) აღრიცხავს როგორც პროცენტებს, ისე საკურსო ცვლილებებს, რომელიც გამოიანგარიშება ობლიგაციის დაფარვამდე მთელი პერიოდის განმავლობაში რთული პროცენტით.

ინვესტიციის შემოსავლიანობის დასახელებული მაჩვენებლები შეიცავენ ინვესტორის შემოსავლის სხვადასხვა კომპონენტებს, მაგრამ არ ასახავენ ფაქტობრივ ერთობლივ შემოსავალს. მისი განსაზღვრისათვის გამოიყენება ფლობის პერიოდში შემოსავლიანობის გამოიანგარიშების მეთოდი. აქციებში და ობლიგაციებში ინვესტიციების ერთობლივი შემოსავლიანობა შედგება: მიმდინარე შემოსავლებს (დივიდენდები თუ პროცენტები) დამატებულნი კაპიტალის მატება ან ზარალი.

საინვესტიციო ინსტრუმენტების ფლობის პერიოდში შემოსავლიანობის მაჩვენებელი განსაზღვრავს ერთობლივ შემოსავლიანობას (შემოსავალს დამატებული ღირებულების ცვლილება), რომელიც მიღებულია კონკრეტული ინვესტიციიდან მოცემულ საინვესტიციო პერიოდში.

სხვა საინვესტიციო ინსტრუმენტებიდან (ოფციონები, სასაქონლო ფასეულობანი, ფინანსური ფიზიკურები და რეალური აქტივები) მიღებული შემოსავლის ერთადერთი წყაროა მათი ღირებულების ზრდა. საინვესტიციო ინსტრუმენტების ფლობის

პერიოდში შემოსავლიანობის მაჩვენებლის გაანგარიშების შემდეგ ხდება შედეგების შედარება საინვესტიციო მიზნებთან, განისაზღვრება ცალკეულ ინსტრუმენტებში ინვესტიციის ეფექტიანობა, მათი შემოსავლიანობის პერიოდული გამოთვლების დახმარებით. ეს გამოთვლები საშუალებას გვაძლევს მივიღოთ გადაწყვეტილება, თუ რომელი საინვესტიციო ინსტრუმენტი უნდა შევინარჩუნოთ და რომელი უნდა გაიყიდოს. პორტფელიდან საინვესტიციო ინსტრუმენტის გამოყვანა მიზანშეწონილია შემდეგ შემთხვევებში: თუ მისი ეფექტიანობა მოსალოდნელზე დაბალი აღმოჩნდება და უკეთესობისაკენ რეალური ცვლილებები პროგნოზით არ არის მოსალოდნელი; მან შეასრულა მის წინაშე დასახული ამოცანები; ბაზარზე გამოჩნდა უკეთესი საინვესტიციო ვარიანტები.

ინვესტიციის ეფექტიანობის ანალიზის დროს, ასევე აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმას, შეესაბამება თუ არა სარეალიზაციო შემოსავლიანობა საინვესტიციო რისკის იმ დონეს, რომელიც აქვთ კონკურენტ ინსტრუმენტებს.

ინვესტიციები რაციონალურია თუ მათი შემოსავლიანობის მოსალოდნელი დონე საკმარის აჯარბებს იმ შემოსავლებს, რომელიც შეიძლება მივიღოთ მცირე რისკიანი დაბანდებებისგან.

ამრიგად, რისკის შეფასების პოზიციიდან ინვესტიციის ეფექტიანობის შეფასების საწყის წერტილად უნდა მივიჩნიოთ დაბალი დონის მქონე ინვესტიციების შემოსავლიანობის ნორმა.

ერთობლივი ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების ერთ-ერთი მეთოდია შემოსავლიანობის გამოანგარიშება, რომლის კორექტირებაც ხდება რისკისა და შემოსავლიანობის საშუალო საბაზრო მაჩვენებლების მიხედვით.

ამ მაჩვენებლის გასაანგარიშებლად შემოთავაზებულია შემდეგი ფორმულა:

$$Rq = V - [Rp + B * (T-V)]$$

სადაც Rq შემოსავლიანობის ნორმაა კორექტირებული რისკის და საბაზო მაჩვენებლების გათვალისწინებით; V - ფასიანი

ქალაქის ან პორტუგელის შემოსავლიანობა; Rp - პროცენტის ურისკო განაკვეთი; B- ფასიანი ქალაქის ან პორტუგელის "ბეტა"; T - ცნობილი საბაზრო ინდექსის ზრდის ტემპი.

"ბეტა" ფაქტორი არის არადივერსიფიცირებული რისკის საზომი, რომელიც ასახავს თუ როგორ რეაგირებს ფასიანი ქალაქის კურსი საბაზრო ძალებზე. იგი ანალიზის მეშვეობით განსაზღვრავს ფასიანი ქალაქის ფაქტობრივ შემოსავლიანობასა და ფაქტობრივ საბაზრო შემოსავლიანობის ურთიერთკავშირს. რაც უფრო ძალიანა "ბეტა", მით უფრო მაღალაა რისკი.

საბაზრო ინდექსის ზრდის ტემპი არის ერთობლივი შემოსავლიანობა (დივიდენდი პლუს ფასის შეცვლა), რომელიც შეიძლება გამოემუშავებინა ინვესტორს, თუ იგი მოახდენდა "საბაზრო" პორტუგელის ინვესტირებას.

"საბაზრო" პორტუგელის წარმოსადგენად შეიძლება გამოვიყენოთ საფონდო ინდექსის გაანგარიშებაში შემავალი ფასიანი ქალაქები.

თავისი შინაარსით შემოსავლიანობის ნორმა არის რისკისა და საბაზრო მაჩვენებლების გათვალისწინებით კორექტირებული შემოსავლიანობა, რომელიც მივიღეთ ფასიან ქალაქიდან ან პორტუგელიდან მას შემდეგ, რაც ავიცილეთ რისკიანობის დონისა და საერთო საბაზრო მერყეობის ეფექტი.

დასახლებული მაჩვენებლების შედარების საფუძველზე შეიძლება დავინახოთ, შეესაბამება თუ არა რეალური საინვესტიციო საქმიანობის შედეგები მოსალოდნელ შედეგებს.

ზემოთ მოყვანილი ფორმულა ძირითადად გამოიყენება პორტუგელში შეგავალი ცალკეული საინვესტიციო ინსტრუმენტების ეფექტიანობის შესაფასებლად.

პორტუგელის შემოსავლიანობის გამოსაანგარიშებლად მიზანშეწონილია უფრო რთული ფორმულით სარგებლობა საბაზრო ფორმულა ერთწლიანი პერიოდისათვის შემდეგნაირად გამოიყურება.

$$Vt = \frac{S + Cp + Nc}{Ib + (Ms * Nmi) - (Me * Nma)}$$

სადაც Vt - პორტფელის შემოსავლიანობაა მისი ფლობის პერიოდში; S - მიღებული დივიდენდები და პროცენტები; Cp - რეალიზებული საკურსო მოგება; Nc - არარეალიზებული საკურსო მოგება; Ib - საწყისი ინვესტიციები; Ms - დამატებითი სახსრები; Nmi - იმ თვეთა რაოდენობა, როდესაც ისინი პორტფელში იმყოფებოდნენ; Me - ამოღებული სახსრები; Nma - იმ თვეთა რაოდენობა, როდესაც ისინი პორტფელში არ იმყოფებოდნენ.

ეს ფორმულა მოიცავს მიმდინარე შემოსულობებს, საკურსო ღირებულების ნაზარდს (რეალიზებული შემოსავლები), აგრეთვე პორტფელის საკურსო ღირებულების ნაზარდს ერთი წლის განმავლობაში, რაც შეიძლება ჩაითვალოს არა რეალიზებულად, მაგრამ არსებულ შემოსავლებად.

დაბალრისკიანი აქტივი უიღბლო ინვესტიციის შემთხვევაში ბუფერად გამოდის. დაბალრისკიან აქტივებში სახსრების დაბანდების მეორე მიზეზია მომავალში ხელსაყრელი შესაძლებლობის გამოჩენა. როცა ასეთი შესაძლებლობა ჩნდება თავისუფალი რესურსების მფლობელ ინვესტორს შეუძლია გამოიყენოს სიტუაცია, იმ ინვესტორმა კი, რომელიც სახსრებს მაღალი ლიკვიდობის მქონე ინსტრუმენტში აბანდებს, ხელი არ უნდა ახლოს არსებულ პორტფელს.

საინვესტიციო შემოსავლიანობა არ შეიძლება განიხილებოდეს მეორე მნიშვნელოვანი მანკეების - რისკისაგან მოწყვეტით. საინვესტიციო რისკში იგულისხმება ფაქტობრივი საინვესტიციო შემოსავლის სიდიდის სავარაუდო გადახრა მოსალოდნელი სიდიდისაგან. რაც უფრო ცვალებადია შესაძლო შემოსავლების მერყეობის სკალა, მით უფრო მაღალია რისკი და პირიქით.

აღტერნატივა „რისკი-შემოსავლიანობა“ ეს არის დამოკიდებულება, რომელიც გვიჩვენებს უზრუნველყოფს თუ არა უფრო რისკიანი ინვესტიციები უფრო მაღალ შემოსავლიანობას

და პირიქით. ინვესტიციებთან დაკავშირებული საერთო რისკი შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან ან რისკის ფაქტორისაგან.

გამომდინარე იქიდან, რომ სხვადასხვა საინვესტიციო ინსტრუმენტი ექვემდებარება ამა თუ იმ სახეობის რისკს, ბანკის საინვესტიციო პორტფელის ერთობლივი რისკის შემცირება შესაძლებელია სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების კომბინაციის გზით. საინვესტიციო პორტფელში ფინანსური რისკის სხვადასხვა სახეობებთან დაკავშირებული ინსტრუმენტების ჩართვას ინვესტიციის დივერსიფიკაცია ეწოდება. თუმცა დივერსიფიკაციას არ შეუძლია მთლიანად ჩამოაცილოს ინვესტიციას რისკი. ამიტომ რისკის იმ ნაწილს, რომელსაც დივერსიფიკაციის დახმარებით ვერ ჩამოაცილებენ, არადივერსიფიცირებულ ან სისტემატურ რისკს უწოდებენ, რომლის საზომათაც „ბეტა“ ფაქტორს იყენებენ.

„ბეტა ფაქტორის“ გაანგარიშებებში გამოყენებული საბაზრო შექმოსავლიანობა გამოიანგარიშება, როგორც ყველა აქციის საშუალო შემოსავლიანობა, საფონდო ინდექსის „Standard & Poor's“ მნიშვნელობის ანალოგიურად.

არსებობს „რისკი-შემოსავლიანობის“ ურთიერთკავშირის მრავალი სახეობა ყოველი საინვესტიციო ინსტრუმენტისათვის შეიძლება აიგოს „რისკი-შემოსავლიანობის“ ურთიერთკავშირის საკუთარი გრაფიკი.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინვესტორებმა უნდა დაიცვან განსაზღვრული თანამიმდევრობა: ჯერ ერთხ აქტივების ფლობის პერიოდში ანალიზის საფუძველზე და პროგნოზის გაანგარიშებებზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს მოსალოდნელი შემოსავლიანობა; მეორე, საჭიროა ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკის განსაზღვრა ყოველი ინვესტიციის ალტერნატიული ინსტრუმენტისათვის; მესამე, აუცილებელია დადგინდეს თანაყარდობა „რისკი-შემოსავლიანობა“, რომ დაერწმუნდეთ, თუ რამდენად მისაღებია მოსალოდნელი შემოსავლიანობა რისკის მიდებულ დონეზე; მეოთხე, უნდა შეირჩეს ის საინვესტიციო ინსტრუმენტები, რომლებიც რისკის დასაშვებ დონის ფარგლებში

ყველაზე უფრო მაღალი შემოსაველების მიღებას ითვალისწინებს.

ფინანსურ სფეროში რისკის ცნებაში იგულისხმება იმას შესაძლებლობა, რომ ინვესტიციებზე მოგების აბსოლუტური ან შეფარდებითი სიდიდე მოსალოდნელზე ნაკლები აღმოჩნდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტერმინი „რისკი“ ნიშნავს არასასურველი შედეგის მიღების ალბათობას. არსებობს რისკის მრავალგვარი სახეობა, ყოველი მათგანი დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდის მომგებიანობაზე გავლენის მქონე განსაზღვრულ ფაქტორთან. ამასთან ერთად, აღსანიშნავია საფონდო ბაზარზე გამოკვეთილი მკაფიო ტენდენცია: ფინანსურ ინსტრუმენტში რაც უფრო მეტია ინვესტიციის რისკი, მით უფრო მაღალია მისი შემოსაველიანობა და პირიქით.

ყველა ინვესტიცია შეიძლება პირობითად ორ ჯგუფად გაიყოს: დაბალი და მაღალი რისკის მატარებელი ინვესტიციები. პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და, როგორც წესი, ბირჟაზე კოტირებადი მსხვილი, სახელგანთქმული ფირმების ფასიანი ქაღალდები. მეორე ჯგუფი მოიცავს ბირჟის გარეთ მიმოქცევაში მყოფ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც თავისი მოცულობით ბევრად აღემატება პირველ ჯგუფს.

თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რომ ინვესტიციის გლობალური მიზანი მოგების მიღებაა, მაშინ საინვესტიციო საქმიანობის ერთ-ერთ დამოუკიდებელ ქვეშიზნად უნდა განვიხილოთ სპეკულაცია - მოგების ამოღება მაღალრისკიანი საფონდო აქტივების ყიდვა-გაყიდვიდან.

ფასიან ქაღალდებში ინვესტიციის რისკის შემცირების ერთ-ერთი მეთოდია პეჯირება. პეჯირება არის რისკის შემცირებისა ან საერთოდ გამორიცხვის მიზნით ორი ან უფრო მეტი ფასიანი ქაღალდის ერთიან საინვესტიციო პოზიციაში გაერთიანება. არსებობს პეჯირების მრავალი სახეობა. ყველა ისინი ინვესტორის მიერ გამოიყენებიან ან მოგების მისაღებად, ან მოსალოდნელი სერიოზული დანაკარგების შესაძლებლობის შესამცირებლად.

ოფციონების საფუძველზე განხორციელებული პეჯირება

მუდამ შეიცავს ორ გარიგებას: საწყისი პოზიცია (მაგალითად, აქციის შექმნა) და მეორე პოზიცია - შექმნილი აქციების მთელ პაკეტზე, ან მის ნაწილზე თანამიმდევრული ან ერთდროული შესყიდვა. ჰეჯირების კიდევ ერთ ინსტრუმენტად გვევლინება ფიუჩერსების გამოყენება.

საერთოდ ფიუჩერსული კონტრაქტის მოქმედების ვადაა არა უმეტეს ერთი წელი, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი სამწლიანი ვალითაც არიან განსაზღვრული. ფიუჩერსულ ბაზარზე ძირითადად მოქმედებენ ორი ტიპის საბითუმო ვაჭრები - ჰეჯერები და სპეკულანტები. ჰეჯერები ფიუჩერსულ კონტრაქტებს იყენებენ ფინანსურ ინსტრუმენტებში დაბანდებული თავისი ინტერესების დასაცავად და, თავიანთი მიზნებიდან გამომდინარე, ფიუჩერსულ ბაზრის სტაბილურ მდგომარეობას უზრუნველყოფენ, ხოლო სპეკულანტები პირიქით, საჩუქებლობენ რა ბაზრის არამდგრადობით, ფიუჩერსული კონტრაქტების საფუძველზე კურსის მკვეთრი ცვლილებიდან გამომდინარე, მაღალი მოგების მიღებას უზრუნველყოფენ.

რისკსა და შემოსავლიანობას შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების გათვალისწინებით, ინვესტორი მოგების უფრო მაღალ ნორმას იღებს მაშინ, როცა თანხებს უფრო სარისკო ინსტრუმენტებში აბანდებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მაღალი შემოსავლების მიღება დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამ შემთხვევაში აღინიშნება კავშირი შემოსავლიანობასა და არადიფერსიფიცირებულ რისკს შორის. დივერსიფიცირებული რისკის ამოღებას არ მოხდევს შემოსავლიანობის შესაბამისი ზრდა.

რადგანაც არ წარმოიქმნება დივერსიფიცირებული რისკის გასამრჯელო ან კომპენსაცია, ინვესტორი უნდა ეცადოს მინიმუმამდე დაიყუანოს მისი წილი პორტფელის საერთო რისკში. ე.ი. პორტფელის მართვის მთავარი მიზანია მისი სტრუქტურის შეცვლა ისე, რომ პორტფელის რისკი დაეფუანოს მხოლოდ არადივერსიფიცირებულ რისკამდე, ეს შესაძლებელია საპორტფელო ინვესტიციების

დაბალანსების გზით, როცა ერთი დაბალი შემოსავლების მქონე ფინანსური ინსტრუმენტი შეიცვლება მეორე, მაღალ შემოსავლიანი ინსტრუმენტით.

საბანკო სექტორში რისკების მართვის პროცესი საკვანძო პრობლემაა. იგი გულისხმობს: ჯერ ერთი, ბანკის რისკებისადმი მგრძობიერების გაზომვასა და იდენტიფიკაციას, რაც ბანკის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს განსაზღვროს, თუ ბანკის რომელი ქვეგანყოფილებისათვის რისკის რომელი ფაქტორია საშიში, აგრეთვე გაზომოს ამ რისკების სიდიდე და ხარისხი; მეორე, ყოველი ქვეგანყოფილების მიერ პრაქტიკულად გატარებული ოპერატიული პოლიტიკის შედეგების ყოველდღიურ მიმოხილვას. კერძოდ, თუ რამდენად ადეკვატურად იფარება რისკის ყოველი ფაქტორის მოსალოდნელი შედეგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკის ხელმძღვანელობამ უნდა დაადგინოს, აუცილებელია თუ არა ყოველდღიური საქმიანობის ან სტრატეგიული მითითებების შეცვლა, რისკის ფაქტორებთან საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით, მესამე, რისკების მართვის სფეროში საბანკო ღონისძიებათა შედეგების ანალიზი განაპირობებს ბანკის მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას. ბანკის ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს, შეესაბამება თუ არა ბანკის რეაქცია რისკის სხვადასხვა ფაქტორებსა და დასახულ მიზნებს, როგორ უნდა შეცვალოს ბანკმა გეგმა ახალი სიტუაციით გამოწვეული რისკის თავიდან ასაცილებლად.

არსებობს საბანკო რისკების ექვსი ძირითადი სახეობა: საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის დისბალანსის რისკი, საბაზრო რისკი, საპროცენტო რისკი, მოგების სრულად მიუღებლობის რისკი, გადახდის უუნარობის რისკი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საკრედიტო რისკი უკავშირდება ვალის დაუბრუნებლობას, როდესაც მსესხებელი არ ასრულებს თავის ფინანსურ მოვალეობას. ვინაიდან ბანკის საკუთარი სახსრების წილი აქტივების ურთობლივ ღირებულებასთან შედარებით უმნიშვნელოა (დაახლოებით 10%), ამიტომ კრედიტების შედარებით მცირე მოცულობის დაუბრუ-

ნებლობის შემთხვევაშიც კი, ბანკი შეიძლება გაკოტრების პირას აღმოჩნდეს. საკრედიტო რისკის შეფასება ითვალისწინებს სტრუქტურული ქვედანაყოფების და საბანკო პროდუქტების სახეობის მიხედვით შეფასების ერთნაირი პრინციპების გამოყენებას.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული რისკის გაანგარიშებაში შევიდეს კრედიტის არგადახდის (დაფარვის) პროცენტი, განისაზღვროს ორივე მხარის რისკისადმი მიდრეკილება, ურთიერთრისკების ჩათვლის შესაძლებლობა. ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების პრობლემა მრავალფაქტორიანია. მისი განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს საკრედიტო გარიგების შესასრულებლად მსესხებლის ქმედითუნარიანობას და სამართალუნარიანობას, მის მორალურ სახეს, რეპუტაციას, სესხის უზრუნველყოფას, კლიენტის შემოსავლიანობას საბანკო პრაქტიკაში ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობის შესაფასებლად იყენებენ საფინანსო კოეფიციენტებს. ამასთან ერთად აუცილებელია სარწმუნო და სუსტი ინფორმაცია კლიენტის შესახებ.

ლიკვიდობის დისბალანსის რისკს იწვევს ის ფაქტი, რომ ბანკს არ შეუძლია თავისი აქტივები გადაიყვანოს ფულად ფორმაში ან მოიზიდოს საკმარის რაოდენობის დამატებითი რესურსები წარმოდგენილი ვალდებულებების გასაჩაღებლად.

ლიკვიდობა განისაზღვრება ბანკის აქტივებისა და პასივების წონასწორობით, დაბანდებული აქტივების და ბანკის მიერ მოზიდული პასივების ვადების შეთავსებით. დეპოზიტების მოულოდნელი და მნიშვნელოვანი გადინებით განპირობებული ბანკის ლიკვიდობის დისბალანსი მას (ბანკს) აიძულებს სახსრები ისესხოს უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით, ვიდრე სხვა ბანკები აწარმოებენ მსგაეს ოპერაციებს.

დაუბალანსებელი ლიკვიდობის რისკის დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია ნახესხები სახსრებისა და ერთობლივი აქტივების თანაფარდობა, დეპოზიტების გადინებისა ან კრედიტის ხარისხის გაუარესების შემთხვევაში.

ბანკის დაუბალანსებელი ლიკვიდობის რისკის დონის დაწვეის

სტადარტული ხერხები მოიცავენ ღლიკვიდურ აქტივებში და ბაზარზე იოლად რეალიზებად აქტივებში ბანკის წილის გაზრდას (მაგალითად, სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში) ან უფრო გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების გამოყენება ბანკის ფინანსურ ოპერაციებში.

საბაზრო რისკი დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების შესაძლებელ გაუფასურებასთან, შეიძლება მან თავი იჩინოს სასესხო კაპიტალის მერყეობის შედეგად, ასევე ინფლაციის გამო ფულის გაუფასურებასთან ერთად.

საბაზრო რისკის შეფასება გულისხმობს საბაზრო ფასების ყოველდღიურ განსაზღვრას, ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში რისკის შეფასების ერთნაირი პრინციპების დაცვას, რისკის გაზომვის დამატებით მეთოდიკებს, საბაზრო რისკის ყოველდღიურ გაანგარიშებას და დადგენილ ლიმიტებთან შედარებას. .

საპროცენტო რისკი დაკავშირებულია ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების რყევასთან. მაგალითად, თუ ბაზარზე ხდება განაკვეთების ვარდნა; განთავსება ხდება უფრო დაბალი პროცენტით, ხოლო თუ ბანკის მიერ მოზიდულ სახსრებზე განაკვეთები არ შეიცვალა, მაშინ ბანკი იზარალებს, რადგანაც გადაიხდის გაზრდილ საპროცენტოებს მოზიდულ სახსრებზე.

მოგების სრულად მიუღებლობის რისკი დაკავშირებულია მრავალ ფაქტორთან, რომელთა გაკონტროლებაც ბანკმა შეიძლება ვერ მოახერხოს. მაგალითად, ფორს-მაჟორული სიტუაციები.

გადახდისუნარიობის (გაკოტრების) რისკი განისაზღვრება ბანკის სიცოცხლისუნარიანობით გრძელვადიან პერიოდში. ბანკის გაკოტრების მიზეზი შეიძლება იყოს სესხების დაუბრუნებლობა ან სხვა აქტივების გაუფასურება. ზარალი ძირითადი საქმიანობიდან და სხვა ობიექტური მიზეზები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ობიექტურად მოითხოვს ბანკების საინვესტიციო საქმიანობაზე მოქმედ ფაქტორთა კლასიფიკაციას და მათ ურთიერთკავშირში განხილვას.

დოც ი. კოვზანაძე

კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობაზე მოქმედი შაქტორების დახასიათება

მიკრო და მაკროეკონომიკურ დონეზე კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობაზე, როგორც სხვა ნებისმიერი დაწესებულების საქმიანობაზე, მოქმედებს მრავალი ფაქტორი.

ეკონომიკის მდგომარეობა თავისი მნიშვნელობით შეიძლება გამოეყოს დანარჩენ ფაქტორთაგან, რადგან ძალიან დიდ გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე. ბანკს სრულყოფილი ფუნქციონირება მხოლოდ განვითარებული ეკონომიკის პირობებში შეუძლია. ბანკის მომსახურებათა სპექტრი პირდაპირ არის დამოკიდებული აღნიშნულ ფაქტორზე. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში საბანკო სისტემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ბანკი თავისი საქმიანობით, წარმოებაში პირდაპირი მონაწილეობის გარეშე, ქმნის პირობებს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. თავის მხრივ, საბანკო სისტემის ზემოქმედება ეკონომიკაზე სულ უფრო მზარდ ხასიათს იძენს, რაც ზეგავლენას ახდენს წარმოების განვითარების დონეზე.

ეკონომიკის მდგომარეობის ზეგავლენა ბანკების საინვესტიციო საქმიანობაზე ელინდება: ჯერ ერთი, საბანკო კონკურენციის გაძლიერებასა და საბანკო სისტემის სტრუქტურულ გარდაქმნაში; მეორე, საბანკო კოოპერაციის ზრდასა და საბანკო მომსახურების არეალის გაფართოებაში; მესამე საბანკო მომსახურების უნივერსალიზაციასა და ახალი საბანკო პროდუქტების დანერგვაში; მეოთხე, საბანკო სისტემაში კაპიტალის მოზიდვასა და საბანკო კაპიტალიზაციის ზრდაში, საერთო ჯამში საბანკო კონკურენციისა და კოოპერაციის ხელშეწყობაში.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაფინანსება საკუთრებითი ფორმების მიხედვით შედარებით მზარდი ზრდის ტენდენციებით ხასიათდება. თუ 1996

წელს სახელმწიფო სექტორის დაფინანსება 112 მილიონ ლარს არ აღემატებოდა, 1999 წლის ბოლოს მისი ანალოგიური სიდიდე 2,5-ჯერ მეტი იყო და 280 მილიონ ლარს გადააჭარბა. ზრდის განსაკუთრებული ტემპით ხასიათდება კერძო სექტორიც. ამ პერიოდში მისი პროცენტული წილი მთლიან დაფინანსებაში სტაბილურად იზრდება და 80-90 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ამ სექტორში კაპიტალდაბანდების ზრდის დინამიკა შთაბეჭდილია მისი მოცულობითი მაჩვენებელი 1996 წლიდან მოყოლებული 1999 წლის ბოლოსათვის 3-ჯერ გაიზარდა. სახელმწიფო სექტორის დაფინანსების პროცენტული წილი მთლიან დაფინანსებაში 19 პროცენტიდან 11 პროცენტამდე შემცირდა, რაც თითქმის ორჯერ ნაკლებია კერძო სექტორის დაფინანსების ზრდის ტემპთან შედარებით [1].

აღსანიშნავია ის ფაქტორიც, როგორცაა წარმოების განვითარების დონე. საბანკო სისტემას, ისე, როგორც ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კელაფწარმოების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ მას არ შეუძლია შეცვალოს ეკონომიკის რეალური სექტორი, საქონლის წარმოება და მომსახურება მასზე ბევრადაა დამოკიდებული. იმ პირობებში, როდესაც სესხის პროცენტი ბრუნვის სფეროში მნიშვნელოვნად აჭარბებს წარმოების სფეროში მიღებულ მოგებას, გარდაუვალია სასესხო კაპიტალის დარგთაშორისო გადინება.

შემდეგი ფაქტორია საწარმოს გადახდისუნარიანობა. ეს არის საწარმოს უნარი დროულად დაფაროს თავისი ვალდებულებები. თეორიულად ვალის დაფარვა უსრუნველყოფილია საწარმოს ყველა საბრუნავი საშუალებით. ზუსტად ასე შეიძლებოდა თეორიულად აკეხსნა ის ფაქტი, რომ თუ საწარმოს საბრუნავი სახსრები აჭარბებს დავალიანების ჯამს, მაშინ იგი მზად ირის ვალის დაფარვისათვის ე.ი. გადახდისუნარიანია. მაგრამ სინამდვილეში ყველა საბრუნავი სახსარი ვალის დასაფარავად რომ წარმართოს, წარმოება მაშინვე შეჩერდება, ვინაიდან წარმოების საშუალებებიდან მას მხოლოდ ძირითადი საშუალებები დარჩება, საბრუნავი საშუალებების

შესაძენად კი არ დარჩებოდა ფული, იგი მთლიანად ვალების დაფარვას მოხმარდებოდა.

გადახდისუნარიანობის დონე რომ შეეფასოთ ლიკვიდური საბრუნავი სახსრები უნდა შეეფარდოთ მოკლევადიან ვალდებულებებს. ამასთან, მოცემული მანქანების მრიცხველი მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს მნიშვნელს. შესაბამისად, მანქანების გადახდისუნარიანობის დონე უნდა იყოს ერთ კრთველზე გაცილებით მაღალი.

ფინანსურ თეორიაში ეს მანქანებელი იწოდება დაფარვის საერთო კოეფიციენტად და შემდეგი ფორმულის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

$$C=(St+Mr+Dr)/St=1+(Mr+Dr)/St$$

ხდაც C დაფარვის საერთო კოეფიციენტია; Mr - მატერიალური რესურსები, საწარმოო პროცესების უწყვეტი მოქმედებისათვის; Dr - უძედო დებიტორული დავალიანება; St - ყველა სახეობის მოკლევადიანი დავალიანების სიდიდე.

ბანკები დაინტერესებულნი არიან საწარმოს გადახდისუნარიანობით, რადგან ეს აუცილებელი პირობაა საკრედიტო ურთიერთობის განვითარებისათვის.

გადახდისუნარიანობის პირობებში შეიძლება განვითარდეს ისეთი მოვლენაც, როგორც „საინვესტიციო ვაკუუმი“ - ეს არის სიტუაცია, როცა გაქვს ფული ინვესტიციებისა თუ კრედიტებისათვის, მაგრამ არ ხდება თანხების გაცემა, რადგან არ არის არც ერთი ურისკო პროექტი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა სახსრების დაბანდება.

შეტად მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორი, როგორცაა ინფლაციური პროცესები. ინფლაცია ხასიათდება ეროვნული ფულადი ერთეულის გაუფასურებით და სახელმწიფოს შიგნით ფასების დონის ზრდით. ინფლაციის ფაქტობრივი ტემპების საფუძველზე და ინვესტიციათა რეალურ შემოსავლიანობის საფუძველზე ხორციელდება ინფლაციური მოლოდინის ფორმირება,

რომელიც აისახება ფასიან ქაღალდების ღირებულებასა და საპროცენტო განაკვეთებზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში ეკონომიკური რეფორმების თანამიმდევრულმა გატარებამ და პარალელურად საკანონმდებლო ბაზის სრულყოფამ, აგრეთვე ეროვნული ბანკის მიერ მნიშვნელოვანი საერთაშორისო რეზერვების ფლობამ ქვეყანაში ღარი აქცია გადახდის ერთადერთ საშუალებად. ამასთან უზრუნველყოფილი იქნა მისი კურსის სტაბილურობა დოლართან მიმართებაში, რაც არ შეიძლება ითქვას 1998 წლის მაჩვენებლებზე. ამ პერიოდში დასახული მიზნის სრულად მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა, რაც განპირობებული იყო არა ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკით, არამედ მისგან დამოუკიდებელი ისეთი ძირითადი მიზეზით, როგორცაა ქვეყანაში არსებული ფისკალური კრიზისი, რომელსაც წლის მეორე ნახევარში რუსეთის კრიზისის გავლენაც დაემატა. აღნიშნულმა გავლენა იქონია ინფლაციის მაჩვენებლებზე, რასაც მოწმობს ქვევით მოყვანილი მონაცემები [1].

ამრიგად, იმის მიუხედავად, რომ ფაქტორი - ინფლაციის შემცირება, საერთოდ, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით ხელსაყრელია, საკრედიტო დაწესებულებების განვითარებაზე საკმაოდ საწინააღმდეგო ხასიათის ვაულებას ახდენს. ინფლაციის ტემპების შერელება იწვევს ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას, ნაკლებია მაღალშემოსავლიანი და სპეკულაციური ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა.

ინფლაცია	1995	1996	1997	1998	1999
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	157,4	113,5	107,6	110,7	110,9
სასურხათო საქონელი	153,8	108,1	107,9	105,9	106,5
არახასურხათო საქონელი	X	112,3	98,3	114,1	112,4
მომსახურება	X	172,8	114,8	109,2	110,2

მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ მაღალი ინფლაციის პირობებში ბანკებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის სხვადასხვა ხერხები. მათ შორის გარანტიები, დაზღვევები, მატერიალური უზრუნველყოფა, პეჯირება, ფინანსური ინსტრუმენტები (ოფციონი, სეოპი და ა.შ.).

შემდეგი ფაქტორია საფინანსო ბაზრის მდგომარეობა, რიპელიც განისაზღვრება საკანონმდებლო ბაზით, საბანკო-შორისო საკრედიტო ბაზარზე მონაწილეთა ურთიერთნდობის ხარისხით, საგადასახადო სისტემის განვითარების ხარისხით, ანაბრების დაზღვევის სისტემით, საპროცენტო განაკვეთების დინამიკით, ცენტრალური ბანკის საქმიანობით, ინფორმაციის სისრულითა და ოპერატიულობით.

განვითარებად ქვეყნებს, საფინანსო ბაზრის ფორმირებასთან და სავარეო ვაჭრობის გაფართოებასთან ერთად ერთ-ერთ მთავარ პრობლემად დღის წესრიგში აქვთ კონტრაქტების სტანდარტიზაციისა და ეკონომიკური ურთიერთობის ისეთი მოწყობის საკითხი, რომელშიც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმების გამოყენება, კონტრაქტის პირობების შესრულების შესაბამისი სტიმულირებით.

აღნიშნული პროცესიდან საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ჩვენთან საკრედიტო ბაზრის შემდგომი განვითარებაც მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. კრედიტების ბაზარი ითხოვს ისეთი სახის სამართლებრივ სისტემას, რომლის ფარგლებშიც კერძო და იურიდიულ პირებს მიეცემათ საშუალება გირაოს და სესხის უსრუნველყოფისათვის, ხოლო კრედიტორებმა, თავის მხრივ, არ უნდა განიცადონ ზარალი მსესხებლის მიერ დავალიანების მიმართულებით ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აღნიშნულადან გამომდინარე, გაკოტრების კანონი გვევლინება შინაშენილოვან სამართლებრივ ინსტრუმენტად, რომელმაც კერძო სექტორის ნორმალური მუშაობა უნდა უზრუნველყოს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მიწაზე საკუთრების უფლება

ხელს შეუწყობს გირაოს ფართო გამოყენებას და შესაბამისად, საგირაენო სამართლის მოქმედების ეფექტიანობა გაიზრდება თუ კი იპოთეკასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ნორმებში შესაბამისი ცვლილებები განხორციელდება, რაც, თავის მხრივ, დაარეგულირებს კონტრაქტის იძულებითი შესრულების პირობებს.

სწორედ ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველობის გაძლიერების შედეგად, ბანკების ადგილზე (on side) და გარესაბანკო (off side) ინსპექტირების საფუძველზე უნდა განხორციელდეს სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის სრულყოფისათვის მუშაობის წარმართვა.

რეგულირება გორიერების ფარგლებში, როგორც საბანკო სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ატრიბუტი, სავალდებულოა, რადგან იგი უზრუნველყოფს სტაბილურ საზოგადოებრივ ნდობას. ადეკვატური რეგულირების გარეშე, რომელიც საკანონმდებლო ბაზით არის უზრუნველყოფილი, ნებისმიერი ქვეყნის საბანკო სისტემა მათი პარტნიორების მიერ არ აღიქმება როგორც სრულყოფილი. ამიტომ აუცილებელია შეიქმნას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბანკო ზედამხედველობის სისტემა.

საკრედიტო ურთიერთობების განუთარების თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობამ უზრუნველყოს სხვადასხვა ტიპის ბანკების არსებობა და მათი თანასწორ-უფლებიანობა. აუცილებელია, რომ ბანკი იყოს ავტონომიური წარმოება. საბანკო ავტონომია უნდა იყოს იურიდიულად და ეკონომიკურად განმტკიცებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მთავარია არა მარტო ბანკების საქმიანობის შესახებ კანონების მიღება, არამედ ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავად კანონების შინაარსს, იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად იცავს ამ ავტონომიურობას, დამოუკიდებლობას პოლიტიკური ზეწოლისაგან, რომელიც საკრედიტო დაწესებულებების ეკონომიკურ მიზნებს თავისებურად ზღუდავს) ამასთან მნიშვნელოვანია, როგორ არის დაცული

სამართლებრივი ნორმები. ბანკისათვის ყველაზე დიდი საშიშროება შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო არასწორად წარმართავს თავის საკუთარ ფინანსურ რესურსებთან ერთად ბანკის ფინანსურ რესურსებსაც, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ბანკისათვის როგორც ეკონომიკურ საწარმოს საფუძვლის აუცილებელ გამოცლას.

აღსანიშნავია ისეთი ფაქტორი, როგორცაა საგადაამხდელი სისტემის განვითარების ხარისხი. საგადაამხდელი სისტემა ეს არის იმ ინსტრუმენტებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომელიც ეროვნულ მიუზნეობაში გამოიყენება ფულის გადასაგზავნად, ანგარიშსწორებათა განსახორციელებლად და ეკონომიკური ბრუნვის მონაწილეთა შორის სავალო ვალდებულებათა რეგულირებისათვის. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ყველა გადახდა განხორციელდეს "რეალური დროის" რეჟიმში, ე.ი. გადახდების განხორციელებაზე დაიხარჯოს დროის მინიმალური რაოდენობა.

საბანკო საქმიანობის განვითარებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ისეთი ფაქტორი, როგორცაა ანაბართა დაზღვევის სისტემა. ეს სისტემა უზრუნველყოფს ჯერ ერთი - მენაბრეთა დაცვას ანაბართა სრული დაკარგვისაგან ბანკის ფინანსური სიძნელეების შემთხვევაში და მეორეც - გადახდის უუნარობის ზღვარზე მისული ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას.

ეს სისტემა, ნორმალური ფუნქციონირების პირობებში, ბანკების გაკოტრების შემთხვევაშიც კი იცავს მენაბრეებს დანაკარგებისგან. გარდა ამისა, მის წევრებს უფლებას აძლევს დააზღვიონ ანაბრები (დეპოზიტები) გაააქტიურონ მუშაობა ფიზიკურ პირებთან და ამით საბანკო საქმიანობის ამ მნიშვნელოვან სფეროში განავითარონ კონკურენცია, ასევე ხელს უწყობს ინფლაციის შემცირებას და ქვეყანაში ფულადი ბრუნვის გაუმჯობესებას.)

კიდევ ერთი ფაქტორია საბანკო ბაზრის მდგომარეობა. საბანკო ბაზრის შესახებ მსჯელობენ იმის მიხედვით, თუ რამდენ ბანკს აერთიანებს იგი, აგრეთვე საბანკო მომსახურების დიაპაზონით, ბანკების მიერ შესრულებული ოპერაციებით, აგრეთვე მცირე და

დიდი ბანკების ურთიერთობით. ახლა მსოფლიოში მიმდინარეობს კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალზაციის პროცესები. ბანკები ფინანსურ ჯგუფებად ერთიანდებიან, უფრო მცირე ბანკები მსხვილ ბანკებს ერწყმიან ან ერთდებიან. საბანკო კაპიტალის კონცენტრაცია ასახვას პოულობს როგორც საბანკო რესურსების საერთო ჯამის, ასევე ერთი ბანკის განკარგულებაში არსებული საბანკო რესურსების ზრდაში.

შემდეგი ფაქტორია საპროცენტო განაკვეთების დინამიკა. იგი ზეგავლენას ახდენს ბანკის მოგება-ზარალზე, ამის შედეგად საპროცენტო მარეაზეც და, საბოლოოდ, ბანკის ფინანსურ შედეგებზეც.

ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის ცენტრალური ბანკის საქმიანობა. ყველა სახელმწიფოში არსებობს ბანკების საქმიანობაზე სამეთვალყურეო სტრუქტურა. ჩვეულებრივ იგი ცენტრალური ბანკით არის წარმოდგენილი. ცენტრალური ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ისეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს საბანკო და საფინანსო სისტემის უწყვეტ ფუნქციონირებას, აგრეთვე ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების შესაბამისი ფულადი მასის და კრედიტების მოდინებას. ცენტრალური ბანკი აკონტროლებს რა ფულადი მასის ზრდას და სასესხო კაპიტალთან დაკავშირებულ მიწოდებებს (შათ შორის ანაბრებს, საბანკო ინვესტიციებს და ფასიანი ქაღალდებს), იგი ცდილობს საჭირო ტემპებით უზრუნველყოს ეკონომიკის განვითარება, უზრუნველყოს დონე ინფლაციის დონე და ეროვნული ფულადი ერთეულის კურსის დაცვა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობის შეფასების რეგულაციულ სისტემაზე გადასვლამ ახალ საფეხურზე აიყვანა ბანკების მონიტორინგი. რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შემოწმებული კომერციული ბანკების საქმიანობაში დაშვებული დარღვევების დროულ გამოსწორებას.

ცენტრალური ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო

პოლიტიკა აისახება საბანკო აქტივების, პასივების, აქციონერთა სახსრების ღირებულებაში და განსაზღვრავს შემოსავლებისა და გასაფლავების მოცულობას. კომერციული ბანკების საქმიანობაზე ცენტრალური ბანკი ზემოქმედებას ახორციელებს შემდეგი მიმართულებით: **ჯერ კდმჟ**, კომერციული ბანკებისთვის საერთო საკანონმდებლო პირობების შექმნით, რაც საშუალებას აძლევს მას თავისი სახელმწიფო-ეკონომიკური ინტერესები განახორციელოს და **მეორე**, ფულად-საკრედიტო რეგულირების ღონისძიებებით, რომლებიც გავლენას ახდენს მიმოქცევაში ფულადი მასის მოცულობასა და სტრუქტურაზე.

მაკროეკონომიკური პროპორციების რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ცენტრალური ბანკის სავალდებულო რეზერვების მოთხოვნები, რომელთა მეშვეობითაც იგი ზემოქმედებას ახდენს ბანკის თავისუფალი რესურსების მოცულობაზე. მაგალითად, სავალდებულო რეზერვების ნორმის შემცირებით ის აფართოებს კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ გააჩნიათ აქტიური ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა.

შემდეგი ფაქტორია საბანკოთაშორისო საკრედიტო ბაზარის მონაწილეთა ურთიერთდობის ხარისხი.

ბანკთაშორისი ბაზარი საფინანსო ბაზრის ის ნაწილია, რომელზეც ფულადი სახსრები მხოლოდ საბანკო დაწესებულებებს შორის მოძრაობენ. ამ ბაზარზე შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი ფულადი ოპერაცია და გარიგება. ყველაზე მეტად ამ ბაზარზე განვითარებულია ბანკთაშორისი დაკრედიტება.

ბანკთაშორისი კრედიტების მნიშვნელობა, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ისაა, რომ ბანკებისათვის რესურსების გადანაწილებით, ეს ბაზარი საბანკო ხისტემის საკრედიტო რესურსების ეფექტიან გამოყენებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ბანკთაშორისი კრედიტების განვითარებული ბაზრის არსებობა საშუალებას იძლევა ბანკების ოპერატიულ რეზერვებში ლიკვიდობის შესანარჩუნებლად ნაკლები თანხა დაგროვდეს.

აღსანიშნავია ისეთი ფაქტორის არსებობა, როგორცაა სასესხო კაპიტალის ბაზარზე ინფორმაციის სისრულე და ოპერატიულობა. ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია კონკურენტების ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინება, ბანკის კონსოლიდირების და ბანკის კლიენტების ეკონომიკური მდგომარეობის (კრედიტორების და მენაბრეების) შესწავლა. სარწმუნო ინფორმაცია საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც ბანკის კლიენტების, ისე პარტნიორ ბანკებთან ურთიერთობის განვითარების ეკონომიკური მიზანშეწონილობა. ინფორმაციის გაცვლით ბანკი თავიდან იცილებს გაუთვალისწინებელი გარემოებების ნეგატიურ ზეგავლენას.

შემდეგი ფაქტორია მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა. უკანასკნელ ათწლეულში მსოფლიო ეკონომიკაში საბანკო და სამრეწველო კაპიტალის კონსოლიდაცია განსაკუთრებულად მნიშვნელობის მოვლენა გახდა. კორპორაციებზე კონტროლის უფლების მოპოვებისათვის ბრძოლა, რომელიც მოიცავს როგორც შერწყმას, ისე ძალით მიერთებას, საბანკო მომსახურების გაფართოების მამოძრავებელი ძალა გახდა. კონკურენციის გაძლიერება, საფინანსო ბაზარზე ოპერაციითა შემოსავლიანობის შემცირებამ მრავალი ბანკი არჩევანის წინაშე დააყენა - შერწყმა თუ გაკოტრება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია გაკოტრების რისკის შეფასება, რაც შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მარეგნებლების დასმარებით: ქირველდ ბანკის მიერ ემიტარებულ სასესხო ვალდებულებებზე (ფასიანი ქაღალდები და სადებოზიტო სერტიფიკატები) საბაზრო განაკვეთსა და დაფარვის ანალოგიურ ვადის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდების საბაზრო განაკვეთს შორის სხვაობით. აღნიშნული სხვაობის ზრდა ნიშნავს, რომ საბაზრო ინვესტორები ბანკის ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციის გამო, სარალის რისკის წინაშე დგანან; მეორე, ერთ აქციაზე გაანგარიშებით ბანკის აქციებს ღირებულების და წლიური მოგების თანაფარდობით. აღნიშნული თანაფარდობა შემცირდება იმ შემთხვევაში, როცა ინვესტორები დარწმუნდებიან, რომ ბანკის

კაპიტალი საკმარისია მათ მიერ აღებულ რისკთან მიმართებაში; მესამე, სააქციო კაპიტალის (წმინდა ღირებულების) თანაფარდობით ბანკის ერთობლივ აქტივებთან, რომლის დაწევა შეიძლება მოწოდებს ბანკის აქციონერთა და დეპოზიტების მფლობელთა რისკის ხარისხის ზრდას; მეოთხე, შექმნილი სახსრებისა და ერთობლივი პასივების თანაფარდობა. ჩვეულებრივ, შექმნილი სახსრებში იკუმისხმება დაუზღვეველი დეპოზიტები, ფულად ბაზარზე სხვა ბანკისგან, კორპორაციებიდან, სახელმწიფო ორგანოებიდან ნასესხები სახსრები, რომლებიც უნდა დაბრუნდეს ერთი წლის განმავლობაში.

ამრიგად, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით საქართველოს საბანკო სისტემის განმტკიცებისათვის აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გადაუდებელი გატარება: **პირველად**, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მაქსიმალურად უნდა შეამციროს საბანკო სისტემაში სისტემური რისკების წარმოქმნის მოტივაციები, რადგან საბანკო სისტემისადმი ნდობის შემცირებამ ან ერთი მსხვილი ან რამდენიმე საშუალო ბანკის გაკოტრებამ, არ არის გამორიცხული, შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური კრიზისი და ერთი ბანკის კრახი მაშინვე იმოქმედებს სხვა ბანკებზე, იქნება ეს პირდაპირი გზით, პაღანსების საშუალებით, თუ ფსიქოლოგიურად; **მეორედ**, ამ შემთხვევაში დაზარალებებიან გაკოტრებული ბანკის კლიენტებიც, რადგანაც მათ მიერ დაგროვებული კაპიტალი, ბანკზე უარყოფითი იმპორმაციის გამო, დაკარგავს თავის მნიშვნელობას; **მესამედ**, საფინანსო-საკრედიტო ბაზრის ფინანსური ლიბერალიზაცია ატარებს რა გაზრდილ მოთხოვნას ინფორმაციაზე, შეიცავს არანაკლები სიდიდის საშიშროებას, ინფორმაციის მოპოვების სირთულიდან გამომდინარე, საექვოს გახდის ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევის ყველა მცდელობას. ამიტომ ეროვნულმა ბანკმა, როგორც მთელი საბანკო სისტემის რეგულატორმა, რომელიც ბანკის კრახზე რეაგირებისას უნდა უზრუნველყოს ისეთი სიტუაცია, როცა შენარჩუნდება კრედიტების უწყვეტი ნაკადი და

არ დაიკარგება ბანკში არსებული საინფორმაციო "კაპიტალი" ანუ იმის ცოდნა, თუ დაკრედიტების რომელი დარგი ატარებს უფრო მეტ რისკს, და როგორ ხორციელდება კონტროლი მსესხებელზე. **მედიუმი** მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკურ ნორმატივებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საბანკო სისტემის საიმედოობასა და მდგრადობას, კონკურენციისათვის ხელის შეწყობის საფუძველზე დეპოზიტებისა და ინვესტიციების დაცვას; **მეხუტე** საჭიროა შეიქმნას საკონტრაქტო საქმიანობის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საგარანტიო შექანიზმების პრაქტიკულად ამოქმედების საფუძველზე ქვეყანაში საინვესტიციო საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების ჩამოყალიბებას; **მეკვლევი** ბანკები უპირატესობას ანიჭებენ რა მოკლევადიან კრედიტებს, როგორც ნაკლები რისკების მატარებლებს, მათ მზედველობიდან არ უნდა გამოორჩეთ ის გარემოებაც, რომ მოკლევადიანი კრედიტების რისკები მგრძნობიარენი. არიან კაპიტალის გადაადინების თვალსაზრისით. კერძოდ, ინვესტორის შეხედულების სწრაფმა შეცვლამ ფირმის მუშაობის შედეგების გამო, ან ქვეყნის მდგომარეობაზე ახალი ინფორმაციის მიღებამ არ არის გამორიცხული, ფირმიდან ან მოვლიანად ქვეყნის ეკონომიკიდან ინვესტირებული თანხების ამოღება და ფირმის გაკოტრებასთან ერთად, ეკონომიკის სისტემაური კრიზისიც კი გამოიწვიოს; **მეშედეგი** მართალია სესხის უზრუნველყოფის არსებობა, ინფორმაციის დეფიციტის პრობლემას გარკვეულწილად ამარტივებს, მაგრამ მას მთლიანად ვერ ხსნის. ამიტომ საჭიროა უზრუნველყოფის ღირებულების განსაზღვრა და მისი რეალიზაციის შესაძლებლობის განხილვა. მზედველობაში გვაქვს ის, რომ საკითხი გულისხმობს არა იმის გარკვევას, რა ღირებულებისაა სესხის უზრუნველყოფა დასაწყისში, არამედ იმას, თუ როგორი იქნება მისი ფასი იმ პირობების გათვალისწინებით, რომელმაც შეიძლება სესხის გადაუხდელობამდე მიგვიყვანოს აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია აქტივების კლასიფიცირების და მათი შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის

გათვალისწინებით; ქვემოთ უცხოური ბანკების ფილიალების ქვეყნის საბანკო სისტემის ფუნქციონირების თანაბარ პირობებში ჩაყენებისათვის აუცილებელია უცხოური ბანკების ფილიალების ზედამხედველობის მარეგულირებელი დოკუმენტის შექმნა.

ლიტერატურა

1. საქართველოს საბანკო სისტემის რეგროსპექტიული მიმოხილვა 1994-1999 წწ., თბ., 2000, გვ. 41.

პროფ. ლ. ყორღანაშვილი

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და მისი ნიმუშობა საერთაშორისო ვაჭრობაში

მსოფლიო მეურნეობის ძირითადი გარდაქმნები დაფუძნებულია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე (მტპ). მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორები უპირველეს როდეს თამაშობენ საზოგადოების განვითარებაში.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ხშირად იგულისხმება მეცნიერებისა და ტექნიკის, მეცნიერულ-ტექნიკური ფონდის გაღრმავება თუმცა იგი, თავისი არხით, უფრო ფართო ცნებაა, რადგან მოიცავს წარმოების ფაქტორების რეკონსტრუქციური და ევოლუციური, თვისებრივი და რაოდენობრივი ცვლილებების ერთობლიობას.

ეკონომიკურ თვორიაში მტპ-ის ფაქტორის გათვალისწინებისა და მისი მეცნიერული უწყვეტობა უწყვეტ სკოლას აქვს განხორციელებული. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს კვლევის შემდეგი კონკრეტული ნაშრომები:

1. მტპ-ის სტიმულების, ტემპების, რიტმის, ხასიათის განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენა (ი. შუმპეტერისა და ჯ. გელბრეითის კონცეფციები);

2. წარმოების დარგობრივ და ფაქტორულ სტრუქტურაზე მტპ-ის ზემოქმედების გამოვლენა (კ. კლარკი, ჯ. ფორასტი);

3. მტპ-ის, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორის, როლის დადგენა (რ. სოლოუ, ე. დენისონი, კ. ვაიცზეკერი და სხვ.);

4. რესურსების გამოყენების და ეფექტიანი მოთხოვნის დონეებზე, ეკონომიკურ რყევებზე (კელავწარმოების სტრუქტურულ და ციკლურ პრობლემებზე) მტპ-ის ზემოქმედების დადგენა (რ. ჰაროდი, ჯ. პიქსი, რ. ტიბოლდი და სხვა);

5. სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურების ევოლუციისა და საზოგადოების ფორმებზე მტპ-ის ზემოქმედების პრობლემების განხილვა (რ. არონი, დ. ბელი, ჯ. გელბრეითი, ე. ტოფლერი და სხვა).

ეკონომიკური თეორიის ყოველ მიმართულებას (ნეოკლასიკურს, კეინზიანულს, ინსტიტუციურ-სოციოლოგიურს) განხილული და ჩამოყალიბებული აქვს მტპ-ის საკუთარი კატეგორიები და ტერმინები. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეკონომიკური თეორიის ამა თუ იმ სკოლის წარმომადგენლები თავის კვლევაში აქცენტს აკეთებენ ზემოთ აღნიშნულ რომელიმე მიმართულებაზე მაგალითად, ნეოკლასიკური და ინსტიტუციურ-სოციოლოგიური (ნეოსოციალური) მიმართულებების წარმომადგენლები იკვლევენ მტპ-ის ზემოქმედებას წარმოების დარგობრივ და ფაქტორულ პირობებზე, ნეოკლასიკოსები – მტპ-ის როლს ეკონომიკურ ზრდაში, კეინზიანელები – მტპ-ის ზემოქმედებას რეალიზაციის პრობლემაზე, ნეოსოციალური მიმართულების მკვლევარები – მტპ-ის ზემოქმედებას სოციალურ ევოლუციაზე.

მტპ-ის კვლევის საკითხში მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი კეინზიანელებს, რომლებიც მტპ-ს განიხილავენ მაკროეკონომიკურ ასპექტში. მათი განმარტებით მტპ ინვესტიციებთან, ერთობლივ მოთხოვნასთან, ერთგულ

შემოსავალიან მჭიდროდ დაკავშირებული, ამასთან მნიშვნელოვან-წილად ერთიანი და მართვადი, ძირითადად ეფექტიანი მოთხოვნით განსაზღვრული ფაქტორია. კეინზიანულთა, უფრო სწორად ნეოკეინზიანულთა მიდგომა არსებითად განსხვავდება ნეოკლასიკური და ნეოლიბერალური თეორიებისაგან. რომლებშიც ტექნიკური პროგრესი განიხილება თუითნებურ, სტიქიურ, თავისი ბუნებით დანაწევრებულ პროცესად.

ჯ. კეინზი ტპ-ს თვლის ეკონომიკის „სიმწიფის“ დონის ამაღლების ფაქტორად, რომელიც უღუდავს მომგებიანი ინვესტიციების შესაძლებლობებს. ნეოკეინზიანულთა კონცეფციებში (ჯ. ჰიქსი, რ. პაროდი, ე. დომარი და სხვა) ტექნიკური პროგრესი წარმოდგენილია „ბუნებრივი“ ზრდის ფაქტორად, რომელიც ქმნის „ავტონომიური“ ინვესტიციების პოტენციურ შესაძლებლობებს თავის მხრივ, ტექნიკური პროგრესის პოტენციალის გამოყენება დამოკიდებულია კაპიტალის სარგებლის განაკვეთზე. გამოგონებათა პოტენციალის სრულად გამოყენება შესაძლებელია სარგებლის დაბალი განაკვეთის პირობებში, ამასთან, გრძელვადიან პერსპექტივაში გაიზრდება წარმოების კაპიტალდაბანდება.

კეინზიანური თეორია განასხვავებს ტპ-ის სამ ტიპს: ნეიტრალურს, შრომაშოგავსა და კაპიტალშოგავს. ინგლისელი ეკონომისტის ჯ. ჰიქსის აზრით, ტექნიკური პროგრესი ნეიტრალურია, როდესაც იგი ეფუძნება ისეთ ტექნოლოგიას, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს წარმოების ორივე ფაქტორის – შრომისა და კაპიტალის მწარმოებლურობის ერთიან ზრდას. შრომაშოგავი ტპ ეფუძნება ტექნოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს შრომასთან შედარებით კაპიტალის მწარმოებლურობის უფრო მეტად ზრდას, ხოლო კაპიტალშოგავში კი შრომის მწარმოებლურობა კაპიტალის მწარმოებლურობასთან შედარებით უფრო მეტად იზრდება შესაბამისად. შრომაშოგავი ტპ-ის დროს შემოსავლების შეფარდებითი განაწილება იცვლება კაპიტალის სასარგებლოდ, ხოლო კაპიტალშოგავში – როდესაც ხელუფასის წილი საზოგადოებრივ პროდუქტში იზრდება.

საექსპორტო საქონლის მოხმარებას.

ტპ-ის შედეგად შეიძლება ადგილი პქონდეს წარმოებისა და მოხმარების ერთდროულ ზრდას. ამან, თავის მხრივ შეიძლება ასევე გამოიწვიოს ნეიტრალური, დადებითი და უარყოფითი ზემოქმედება საერთაშორისო ვაჭრობაზე. ზემოქმედების სახე დამოკიდებულია წარმოებისა და მოხმარების ტიპების კომბინაციაზე. კერძოდ, თუ წარმოებისა და მოხმარების ზემოქმედება ნეიტრალურია, მაშინ ვაჭრობის, წარმოებისა და მოხმარების ზრდის ტემპები ერთმანეთის ტოლია. თუ წარმოებისა და მოხმარების ზემოქმედება დადებითია, მაშინ ვაჭრობა იზრდება წინგამსწრები ტემპით, ხოლო ორივეს უარყოფითი ზემოქმედების შემთხვევაში ვაჭრობის ზრდის ტემპი ნაკლები იქნება წარმოებისა და მოხმარების ზრდის ტემპებზე. წარმოებისა და მოხმარების ზემოქმედება საერთაშორისო ვაჭრობაზე შეიძლება იყოს ურთიერთსაწინააღმდეგო. მაგალითად, წარმოების დადებითი ზემოქმედება შეეხამოს მოხმარების უარყოფით ზემოქმედებას ან პირიქით. ასეთ სიტუაციაში შედეგი დამოკიდებული იქნება წარმოების ან მოხმარების ფაქტორის ზემოქმედების სიძლიერეზე.

ნეიტრალურმა, შრომაშოგავემა და კაპიტალშოგავემა ტპ-მა შეიძლება გააუმჯობესოს ან გააუარესოს ქვეყნის ვაჭრობის პირობები. ეს ზემოქმედება დამოკიდებულია იმ დარგის ხასიათზე, რომელშიც გამოიყენება ტექნიკური პროგრესის მიღწევები. კერძოდ, ნეიტრალური ტპ იწვევს წარმოების მოცულობის ზრდასა და წარმოების შეფარდებით ხარჯების შემცირება, თავის მხრივ, ამცირებს ფასებს და აუმჯობესებს ქვეყნის ვაჭრობის პირობებს, თუ ტპ-ს ადგილი აქვს იმპორტის კონკურენტ დარგებში, ან აუარესებს ვაჭრობის პირობებს, თუ ტპ ხორციელდება ექსპორტით დარგში. შრომაშოგავეი ტპ-ის დროს წარმოების ხარჯები მცირდება შრომატევად დარგებში, ამიტომ იგი იწვევს ქვეყნის ვაჭრობის პირობების გაუმჯობესებას, თუ მყენიერულ-ტექნიკური მიღწევები გამოიყენება იმპორტის კონკურენტ დარგში, ან ვაჭრობის პირობების გაუარესებას იმ შემთხვევაში, როდესაც შრომატევადი დარგები

განეკუთვნებიან ექსპორტიორ დარგებს. კაპიტალშოგაეი ტპ-ის დროს წარმოების ხარჯები მცირდება კაპიტალტევად დარგებში და ეს აუმჯობესებს ქვეყნის ვაჭრობის პირობებს, თუ კაპიტალტევადი დარგები გამოდიან იმპორტის კონკურენტი დარგების როლში, ან აუარესებს ვაჭრობის პირობებს, თუ კაპიტალტევადი დარგები არიან ექსპორტიორები. ძალზე რთულია კაპიტალტევად დარგებზე შრომაშოგაეი ტპ-ის ზემოქმედების შედეგის განსაზღვრა და პირიქით, კაპიტალშოგაეი ტპ-ის ზემოქმედების ღონის დადგენა შრომატევად დარგებზე, რადგან იგი დამოკიდებულია მათი ზემოქმედების სიძლიერეზე და შესაბამისად, საქონლის წარმოებას შეუარდებითი ხარჯების (შეფარდებითი ფასების) სიდიდეზე.

თანამედროვე ეტაპზე მტპ გამოდის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის როლში, რომელიც იწვევს ძირითადი კაპიტალის განახლებასა და გაფართოებას, ახალი დარგების შექმნასა და ძველი წარმოებების ძირფესვიან ტექნიკურ რეკონსტრუქციას. მისი ზემოქმედებით სულ უფრო იზრდება სამეცნიერო კვლევითი და საცდელი-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსება. მეცნიერების როლის ამადლებამ განაპირობა მისი ეკონომიკის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბება. სწრაფი ტემპით ვითარდებიან ახალი პროდუქტების მწარმოებელი დარგები და წარმოებები. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით განვითარდა ელექტრონული ტექნიკა, სრულყოფის სულ უფრო მაღალ დონეს მიაღწიეს ელექტროგამოშვლელმა მანქანებმა, შეიქმნა ახალი მასალები და ენერჯის წყაროები, ახალ შესაძლებლობებს იძლევა ლაზერულ, პლაზმურ, ელექტროტექნიკურ პროცესებზე, კომპოზიციურ მასალებსა და ბიოტექნოლოგიებზე დაფუძნებული ტექნოლოგიების გამოყენება, ფართოვდება გამოსაშვები პროდუქტების ნომენკლატურა. ამასთან, მნიშვნელოვნად მცირდება ტრადიციული პროდუქციის წარმოების ხარჯები და ყოველივე ეს კიდევ უფრო აძლიერებს საერთაშორისო სპეციალიზაციასა და კოოპერირებას.

მტპ როგორც უშუალოდ, ისე მეცნიერებატევადი პროდუქციის

საერთაშორისო გაცვლით სტიმულს აძლევს სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო-კომერციული და საფინანსო-საკრედიტო ხასიათის მომსახურების სახელმწიფოთაშორის გაცვლას. მომსახურების ექსპორტი და იმპორტი, განსაკუთრებით ინჟინირინგი, ლიზინგი, კონსალტინგი, საინფორმაციო-გამომთვლელი მანქანების წამახარება ხელს უწყობს საწარმოო დანიშნულების საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, ცვლის მის სასაქონლო და გეოგრაფიულ სტრუქტურებს.

მეც მ. უნიკრიშვილი

საქართველოს საბაზრო ვაჭრობის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება

მათემატიკური მოდელირების დროს გამოვიყენეთ გამოკვეთებული ექსპორტისა და იმპორტის სტატისტიკური მონაცემები, რომელიც, რა თქმა უნდა, არ არის სრულყოფილი აღურიცხავი ექსპორტისა და იმპორტის გამო. ამიტომ მათემატიკურ მოდელს არ შეიძლება ექონდეს ჩრეულოფილი სახე. მაგრამ არსებული მონაცემები რეალურად ასახავს ექსპორტ-იმპორტის განვითარების დინამიკას. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ საქონელზე ხაერთოდ არ მოიპოვება ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, აუაგეთ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი.

მოდელი იდეალურია, განხილულია ჩაკეტილ სისტემაში. გამორიცხულია ისეთი მოვლენები, როგორცაა ხუბსიდიები და კრუდატი. ამასთან, ზოგიერთი საქონლის ექსპორტ-იმპორტი მეტ-

ნაკლებად დამოკიდებულია სულ სხვა კატეგორიის საქონლის ექსპორტ-იმპორტზე, მაგრამ სრულყოფილი ინფორმაციის არარსებობის გამო, ასეთი მოვლენებიც გამორიცხული იქნა და აქცენტი ავიღეთ: წრფივ მოდელზე, რომელიც მოკლევადიან პროგნოზს იძლევა.

მოცემული მოდელი ვოლტერის ცნობილი განტოლების ანალოგია. ვთქვათ, $X_1'(t)$ არის t წელიწადში ექსპორტის რაოდენობა i -ური საქონლისათვის, ხოლო $X_1''(t)$ - იმპორტის მოცულობა i -ური საქონლისათვის. მაშინ t წელიწადს ექსპორტის ზრდის სინქარე იქნება:

$$\frac{dx_1'(t)}{dt}$$

ხოლო იმპორტისათვის

$$\frac{dx_1''(t)}{dt}$$

შესაბამისად, ექსპორტის სინქარე პირდაპირპროპორციულია ექსპორტის მოცულობისა დადებითი ნიშნით. მაგრამ შეპოტანილი საქონელი ზეგავლენას ახდენს ექსპორტზე, რაც აისახება იმაში, რომ შიდა ბაზარზე არსებობს ამ საქონლის დეფიციტი, ამიტომ ექსპორტის ზრდას ადგილი არ ექნება. ასეთი ფაქტორის გათვალისწინების შემდეგ ექსპორტის განტოლება i -ური საქონლისათვის მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\frac{d(x_1)'(t)}{dt} = \alpha_1(t) x_1'(t) - \beta_1(t) x_1''(t) \quad (1)$$

$$\frac{d(x_1)''(t)}{dt} = -\alpha_1(t) x_1'(t) + \beta_1(t) x_1''(t)$$

სადაც n პროდუქციის რაოდენობაა;
 $\alpha_i(t)$ - t -ურ წელიწადს i -ური საქონლის ექსპორტის ზრდის კოეფიციენტი, $i=1,2,\dots,n$; $\beta_i(t)$ - t -ურ წელიწადს i -ური საქონლის იმპორტის ზრდის კოეფიციენტი.

პირველი განტოლებათა სისტემა არის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლება საწყისი პირობებით:

$$x_1^*(t_0) = x_{10}^* \quad (2)$$

$$x_i^*(t_0) = x_{i0}^* \quad (i=1,2,\dots,n)$$

ხადაც t არის მიმდინარე წელი, ხოლო x_{10}^* და x_{i0}^* - მიმდინარე წლის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა. რეალობიდან გამოძიარე პროცესი არ შეიძლება უწყვეტი იყოს, ამიტომ პირველი განტოლება შევცვალოთ შესაბამისი დისკრეტული განტოლებით.

$$\begin{aligned} x_{a+1,i}^* &= x_{a,i}^* + 0,5\alpha_a x_{a,i}^* - 0,5\beta_a x_{a,i}^* \\ x_{a+1,i}^* &= x_{a,i}^* - 0,5\alpha_a x_{a,i}^* + 0,5\beta_a x_{a,i}^* \end{aligned} \quad (i=1,2,\dots,n)$$

$$\begin{aligned} x_{a,i}^* &= x_{i0}^* \\ x_{a,i}^* &= x_{i0}^* \end{aligned} \quad (i=1,2,\dots,n)$$

(1) განტოლებაში $\alpha(t)$ და $\beta(t)$ ფუნქციები მიღებულია ექსპორტ-იმპორტის ზრდის კოეფიციენტების აპროქსიმაციის შედეგად და შესაბამისი ხაჭონლისათვის იხ მიიღებს შემდეგ სახეს:

	ექსპორტის ფუნქცია	იმპორტის ფუნქცია
ნაყოობი	$y=0,8878 \ln(x)+1,9554$	$y=2,115e^{0,135x}$
ლილიანი	$y=0,7037 \ln(x)+0,5509$	$y=2,0491 \ln(x)+4,8555$
ელექტროენერჯია	$y=0,2035 \ln(x)+1,0745$	$y=1,559e^{0,120x}$
სახეუკი	$y=1,6926e^{0,171x}$	$y=4,5592e^{0,120x}$
მანერალური წყლები	$y=1,1696e^{0,237x}$	$y=3,2275e^{0,100x}$
ჩაი	$y=0,9567e^{0,141x}$	$y=1$
ღვინო	$y=1,0024e^{0,101x}$	$y=1$

ა₁ და ბ₁ კოეფიციენტები მიიღება კოეფიციენტთა ფუნქციის საშუალებით.

შესაბამისი (2) განტოლება ამოიხსნა კომპიუტერზე. კომპიუტერული ექსპერიმენტის შედეგები მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 1

საექსპორტო და საიმპორტო ხასაქონლო ჯგუფების პროგნოზი
2000-2001 წლებისათვის

	1999		1992		1998		1999		2000 მლნ ლარი		2001 მლნ ლარი	
	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	2,64	1,4	1,15	1,05	1,82	1,83	0,78	0,44	8,86	80,81	13,4	150,56
ლითონი და ლითონის ნაკეთობები	0,51	4,54	1,48	2,37	0,33	2,8	1,91	1	71,35	0	148,39	0
ავიატორები	1	0,54	1,73	1,84	0,43	2,1	1,79	0,54	12,48	26,34	20,07	04,39
სახეუბები	1,32	2,9	1,24	2,67	0,77	2,9	1	1,08	17,96	0	41,84	0
მანქანაძრავი წყარები	1,32	2,74	1	1,18	2,8	0,9	2,8	0,8	11,2	0	21,35	0
სხვ	1,1	1	0,82	1	0,63	1	1,29	1	17,25	0	20,81	0
ჯამი	1,14	1	0,75	1	1,12	1	2,97	1	21,9	0	19,18	0

საექსპორტო და საიმპორტო ხასაქონლო ჯგუფების პროგნოზირების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტიდან შემოსავალი 2000 წელს მიაღწევს 8,86 მლნ დოლარს, ხოლო იმპორტი 80,81 მლნ დოლარს. 2001 წლისთვის ექსპორტი გაიზრდება 13,4 მლნ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 150,56 მლნ დოლარამდე.

ლითონისა და ლითონის ნაკეთობების იმპორტი 2000 წელს

გაიზრდება 71,55 მლნ დოლარამდე, ხოლო 2001 წელს 160,99 მლნ დოლარამდე.

ელექტროენერჯის იმპორტი 2000 წელს მიაღწევს 26,34 მლნ დოლარს, ხოლო 2001 წელს - 94,59 მლნ დოლარს.

2001 წლისათვის საქართველოში საექსპორტო საქონლიდან მაღალი სვედრითი წონით წარმოდგენილი იქნება სასუქები, ღვინო, მინერალური წყლები და ჩაი.

შესაბამისად, ღვინის ექსპორტი მიაღწევს 6,98 მლნ დოლარს.

2000-2001 წლებში მოსალოდნელია ღვინის ექსპორტის ზრდა 21,9 მლნ დოლარიდან 49,28 მლნ დოლარამდე.

საპროცენტო პერიოდში ასევე მოსალოდნელია ჩაის ექსპორტის ზრდა შესაბამისად 17,25-დან 38,81 მლნ დოლარამდე.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტისა და საბიუჯეტო ოფისის მონაცემებზე დაყრდნობით ავაგეთ უმსხვილეს საეკონომიკურ პარტნიორებთან საეკონომიკური ბრუნვის ფუნქცია, რითაც განტოლებებმა მიიღეს შემდეგი სახე:

თურქეთი	$y=12,16\text{Ln}(x)+111,5;$
რუსეთი	$y=84,58\text{Ln}(x)+96,954;$
აზერბაიჯანი	$y=16,439\text{Ln}(x)+74,919;$
სომხეთი	$y=0,0238\text{Ln}(x)+32,54;$
აშშ	$y=48,501\text{Ln}(x)+11,916;$
გერმანია	$y=45,805\text{Ln}(x)+6,0415;$
დიდი ბრიტანეთი	$y=19,804\text{Ln}(x)+18,678;$
უკრაინა	$y=16,48\text{Ln}(x)+22,201;$
იტალია	$y=15,918\text{Ln}(x)+12,539;$
სხვა დანარჩენი	$y=59,366\text{Ln}(x)+280,86.$

სადაც $t=6$ 2000 წლისათვის, $t=7$ 2001 წლისათვის და

საქართველოს უმსხვილეს საეკონომიკურ პარტნიორ-ქვეყანათა
პროვინცი 2000-2002 წლისათვის (მლნ \$)

ქვეყნები	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002
თურქეთი	115	95,1	153	140,6	131,07	133,29	135,16	136,79
რუსეთი	73,4	179,4	199	265,4	233,08	248,5	261,54	272,83
აზერბაიჯანი	56	95,6	131	109	101,38	104,37	106,91	109,1
სომხეთი	27,8	37,5	40,7	27,8	32,58	32,58	32,58	32,58
აშშ	18,6	28,2	67	84,5	89,97	98,82	106,29	112,77
გერმანია	11,3	29,9	42	96,9	79,76	88,11	95,17	101,29
დღი ბრიტანეთი	11,1	39,2	42	69,3	50,55	54,16	57,21	59,86
უკრაინა	13,4	40,3	58	40,6	48,72	51,73	54,27	56,47
იტალია	4	30,8	42	39,1	38,16	41,06	43,51	45,64
სხვა ქვეყნები	229,7	339,5	449,3	424	376,41	387,23	396,38	404,31

როგორც ცხრილის ანალიზიდან ჩანს, საქართველოს საეკონომიკურ პარტნიორები 2002 წლისათვის იქნებიან თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, აშშ, გერმანია, იტალია და სხვები.

იგივე წყაროებზე დაყრდნობით საქართველოს საგარეო ეკონომიკის განმარტოვადებელი მაჩვენებლებისათვის ავაგეთ ექსპორტისა და იმპორტის ფუნქციები:

$$\text{ექსპორტი} - y = 156,46e^{0,022x};$$

$$\text{იმპორტი} - y = -454,9 \ln(x) + 395,92.$$

სადაც t=6 2000 წლისათვის
t=7 2001 წლისათვის და ა.შ.

ცხრილი 3

საქართველოს საგარეო საეკონომიკური ბალანსის პროგნოზირება
2000-2003 წლებში (მლნ \$)

	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
ექსპორტი	151,3	158,8	239,8	194	231,57	256,98	279,14	303,2	329,34
იმპორტი	391,6	486,8	943,5	1048,6	1086,95	1210,99	1281,11	1341,86	1393,44
საგარეო საეკონომიკური ბრუნვა	542,9	885,6	1183,3	1242,4	1318,52	1467,97	1560,25	1645,06	1724,78
ხაზლო	-240,30	-488,0	-703,7	-854,6	-855,38	-954,01	-1001,98	-1038,66	-1066,09

როგორც ცხრილი 3-ის ანალიზიდან ირკვევა, საქართველოში პერიოდში ექსპორტი გაიზარდა 256,98 მლნ დოლარიდან 2000 წელს და მიაღწევს 329,34 მლნ დოლარს 2003 წლისათვის.

შესაბამისად გაიზარდა იმპორტი 1999 წელს არსებული 1086,95 მლნ დოლარიდან 1395,44 მლნ დოლარამდე.

თ. ყანდაშვილი

საქართველოს საეკონომიკური პროგნოზირება

ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის საქართველო გამოირჩევა მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით, რაც განპირობებულია მისი სპეციფიკური გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, რთული რელიეფით და შავი ზღვის სიახლოვით. მთელ მსოფლიოში ქვეყნების მხოლოდ მცირე რიცხვს გააჩნია ისეთი მრავალფეროვანი

კლიმატური პირობები, როგორც საქართველოს.

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები, აგრო-სამრეწველო სექტორში არსებული ტრადიციები და სამრეწველო სიმძლავრეები ფართო სექტორის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანისა და გადაშუშაების საშუალებას იძლევა.

დსთ-ის ქვეყნებს შორის მენაიეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია. თუ არ ჩავთვლით ჩაის პლანტაციების უმნიშვნელო რაოდენობას რუსეთის ფედერაციაში (კრასნოდარის მხარე) და აზერბაიჯანში (ლენქორანის რაიონი), მისი განვითარება, დასავლეთ საქართველოს გარდა, მთელ ევროპაში არსად არ შეიძლება.

მეციტრუსეობის განვითარებისათვის არანაკლებ ხელსაყრელია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული კლიმატი, რომელიც, სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიული სპეციალიზაციის თვალსაზრისით, მიჩნეულია მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურების ზონად და ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ უნიკალურ რაიონად.

საქართველო ძველთაგანვე იყო ცნობილი, როგორც ინტენსიურად განვითარებული მეხილეობის და მვენახეობის ქვეყანა. სადაც ღვინის დაყენებას ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე მისდევდნენ. ადგილობრივი ღვინის ნაწარმს მსოფლიოში სახელი გაუთქვა კახეთის რეგიონის უნიკალურმა ბუნებამ. გარდა კახეთის რეგიონისა, მკვლესნეობის განვითარებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიც მისდევენ. ამ რეგიონებში დაშნადებული ღვინოები თავისი ორგანოლექტიკური თვისებებით არ ჩამორჩება კახურ ღვინოებს.

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნების გამო, დსთ-ს არც ერთ ქვეყანაში არ არის გავრცელებული სოფლის მეურნეობის კულტურის იმდენი სახეობა, რამდენიც საქართველოში. შრომის საერთაშორისო დანაწილების პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველო დასპეციალებულია ისეთი დარგების განვითარებაზე (მეღვინეობა, მეჩაიეობა,

ვაჭრობის არარსებობის პირობებში ტპ-ის ნებისმიერი ტიპი იწვევს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას, რადგან მისი ზემოქმედებით მოცემულ ქვეყანაში იზრდება წარმოების მოცულობა მის ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით. თავის მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობაზე ტპ-ის ზემოქმედება განისაზღვრება, ერთი მხრივ, წარმოებაზე (მიწოდებაზე) და, მეორე მხრივ, მოხმარებაზე (მოთხოვნაზე) მისი ზემოქმედებით.

ტპ-ით განპირობებული წარმოების მოცულობის ზრდის ზემოქმედება საერთაშორისო ვაჭრობაზე შეიძლება იყოს ნეიტრალური, დადებითი და უარყოფითი. საერთაშორისო ვაჭრობაზე ტპ-ის ზემოქმედება ნეიტრალურია იმ შემთხვევაში, როდესაც ვაჭრობისა და წარმოების ზრდის ტემპები ერთნაირია; დადებითია, როდესაც ვაჭრობის ზრდის ტემპი აღემატება წარმოების ზრდის ტემპს და უარყოფითი - საწინააღმდეგო შემთხვევაში, ანუ როდესაც ვაჭრობის ზრდის ტემპი ჩამორჩება წარმოების ზრდის ტემპს. საერთაშორისო ვაჭრობაზე ტპ-ის დადებითი ზემოქმედება ნიშნავს, რომ საექსპორტო საქონლის წარმოება მუდმივი შეფარდებითი ფასების პირობებში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე იმპორტის შემცველი საქონლის წარმოება, უარყოფითი კი გულისხმობს იმპორტის შემცველი საქონლის წარმოების უფრო სწრაფ ზრდას საექსპორტო საქონლის წარმოებასთან შედარებით.

წარმოების ზრდის ანალოგიურად, მოხმარების ზრდის ზემოქმედება საერთაშორისო ვაჭრობაზე შეიძლება იყოს სამი სახის: ნეიტრალური, დადებითი და უარყოფითი. პირველ შემთხვევაში ვაჭრობისა და მოხმარების ზრდის ტემპები ერთნაირია, მეორე შემთხვევაში ვაჭრობის ზრდის ტემპი აღემატება მოხმარების ზრდის ტემპს და მუდმივი შეფარდებითი ფასების პირობებში ეს იწვევს იმპორტული საქონლის მოხმარების უფრო სწრაფ ზრდას საექსპორტო საქონლის მოხმარებასთან შედარებით; მესამე შემთხვევაში კი ვაჭრობის ზრდის ტემპი ნაკლებია მოხმარების ზრდის ტემპზე და, შესაბამისად, მუდმივი შეფარდებითი ფასების პირობებში, იმპორტული საქონლის მოხმარება ჩამორჩება

პეციტრესიობა, მეთამბაქოეობა და სხვა), რომელთა გავრცელების არეალიც მეტად შეზღუდულია, მაგრამ ისინი იძლევიან საუკეთესო შედეგებს ადგილობრივ-ბუნებრივ-პირობებში და მოწოდებული არიან წარმოებულ პროდუქციის საგარეო ბაზრის მოთხოვნაზე.

საქართველოში მინერალურ სიმდიდრეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მდინარეებს, ტბებს და მიწისქვეშა წყლებს. ისტორიული პროვინციების აღწერის დროს ვახუშტი სასიმიდეურობით გადმოგვცემს იმდროინდელ მინერალური წყლების ბუნებრივი გამოსაყვლების არსებობას. იგი წერს: „კვალად მდინარენი მრავალნი და წყარონი დიდნი, ციენი, გემოიანნი და შემრგონი და მკურნალი სენთანი“ [1]. მაგრამ საქართველო პიროვნერგეტიკული რესურსების მსოლოდ უმნიშვნელო ნაწილს იყენებს - 10%-ზე ნაკლებს. ეს განაპირობებს საქართველოში უცხოური კაპიტალის ჩაღების დიდ პერსპექტივებს.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია სამოვრებით, სახნაფი მიწებით, ხათიბებით, მრავალწლიანი ნარგავებით და ტყით. ტყის ფართობს საქართველოს ტერიტორიის 40% უკავია, რომლის მარაგი 434 მლნ კუბ.მ. ფიცარს უტოლდება. ეინაიდან მათ შორის 95% ნიადაგდამცავი და წკალმარეგულირებელია, იგი ექსპლოატაციას არ ექვემდებარება.

გარდა სემოთ ჩამოთვლილი ბუნებრივი რესურსებისა, საქართველო მდიდარია სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულთ, თუმცა მათი მარაგი დიდი არ არის. მათ შორის აღსანიშნავია: ქვანახშირი, ნავთობი, ტორფი, ფერადი ლითონები, მარმარილო, თიხა, ანდეზიტი, მინერალური წყლები და სხვა.

საქართველოს ქვანახშირი გამოიყენება როგორც ენერგეტიკული დანიმწულებით, ისე მეტალურგიულ მრეწველობაში. პროგნოზით, ქვანახშირის საერთო მარაგი შეადგენს 1 მლრდ ტონას, ხოლო რეალურ მიცულობას კი ვარაუდობენ 354 მლნ ტონამდე.

ქართული ნავთობი, რომლის საზადოებია შავი ზღვის ხანაპიროდან დაწყებული აღმოსავლეთის საზღვრებით დაშთაფრებული, მკლადი ხარისხისაა. იგი არ შეიცავს ვოგირდის მარაგებს და ფართოდ გამოიყენება ნავთობქიმიაში.

ყურადღებას იმსახურებს ტორფი, რომლის საბადოებზე დასაველეთ საქართველოს შავზღვისპირეთშია განლაგებული. საქართველოში ტორფს როგორც მაღალხარისხიან სასუქს იყენებენ სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციებში. სათანადო რაოდენობით გამოიმუშავენას უმრავლეს შემთხვევაშია მისი ექსპორტირებაც.

საქართველოს ძირითადი წიაღისეული სიმდიდრეა მსოფლიოში ცნობილი ჭიათურის მარგანეცი. მარგანეცის საში აუზის მარაგი შეფასებულია როგორც 222,5 მლნ ტონა, რომლის 90% ჭიათურის აუზშია.

საქართველოში ფერადი მეტალების რამდენიმე საბადოა. ამ საბადოებში სპილენძის მთლიანი მარაგი 342 ათას ტონას, თუთია - 264 ათას ტონას, ტყვია - 342 ათას ტონას შეადგენს. ვერცხლისწყლის მარაგი 5 ათას ტონას აღემატება, მაგრამ რთულ რელიეფურ პირობებში განლაგების გამო, იგი ვერ იწარმოება.

საქართველო მდიდარია დარიშხანით (რომლის მარაგი სამ საბადოში დაახლოებით 41 ათასი ტონაა), ბარიტით (6,9 მლნ ტ), ბენტონიტის თიხით (15,5 მლნ ტ), ცვოლიტით (32 მლნ ტ), დიატომიტით (8 მლნ ტ), ანდეზიტით (4,5 მლნ ტ), მოსაპირკეთებელი ქვებით (196 მლნ კუბ. მ), აკრლიტით (13,5 მლნ ტ) და ბევრა სხვა წიაღისეულით.

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, საქართველოს მინერალურ სიმდიდრეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მაწისქვიმა წყლებს, რომლებიც ხასიათდება დიდი მრავალფეროვანებით. მრავალფეროვანია ეს წყლები სამკურნალო თვისებებისაც. მინერალურ-სამკურნალო წყლებს მიეკუთვნება: „ვაჟას წყარო“, „ლუკვილა“, „ყაზბუგი“, „უწერა“, „ნაბეღლაფი“, „საირმე“, „ბორჯომი“ და სხვა.

ცნობილი ქართველი მეცნიერი ს. ჩოხელიძე აღნიშნავს, რომ „მინერალური წყლები წამოადგენენ ერთ-ერთ ძირითად ბუნებრივ საწარმოო ძალას, რომელსაც შეუძლია წამყვანი როლი ითამაშოს საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებაში“ [2].

საქართველოს ძველი და შესანიშნავი კულტურის ძეგლების სარჩველად, ღამაში მთები, სათხილაჭურო კურორტები და შავი ზღვის პლაჟები ხელსაყრელ გარემოს ქმნის უცხოელი ტურისტების მოსაზიდად. ტურიზმის პოტენციალის ასამოქმედებლად მრავალი პრობლემა მოითხოვს გადაჭრას, რათა მომავალში საექსპორტო ღირებულების შორის ტურიზმსაც პქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა.

ლიტერატურა

1. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია) თ. ლომიურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., თსუ, 1941
2. Чохелидзе С.С.; Природные ресурсы Грузинской ССР, т.ш. минеральные воды., М.: изд-во Академии наук СССР, 1961

ი. სეზაშვილი

შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობაში მიმდინარე პროცესები

XX საუკუნის მიწურულს გლობალიზაციის პროცესმა განვითარების ახალ საფეხურს მიაღწია. ქვეყნებს შორის გეოგრაფიულმა დაშორებამ თავისი პირუანდელი მნიშვნელობა დაკარგა. მთავარი კითხვა: როგორ უნდა გამოიყენოს ქვეყანამ გლობალიზაციის შესაძლებლობები ეკონომიკური ზრდისათვის ისე, რომ მის (გლობალიზაციის) ნეგატიურ შედეგებს თავი აარიდოს, დღეს განუყანათა უმრავლესობის წინაშე დგას. ეს საკითხი

განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკა განსაკუთრებით მგრძობიარეა საერთაშორისო რყევების მიმართ. აუცილებელია გლობალიზაციისადმი მარსებული მიდგომის შემუშავება, რათა ქვეყანამ საკუთარი ეროვნული ინტერესები განსაზღვროს და ამ პროცესში საკუთარი ადგილი საღად შეაფასოს.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე ინტეგრაცია: გლობალური ეკონომიკა პირდაპირი ინტეგრაციული ურთიერთობებით დაუკავშირებული რეგიონების ურთიერთდამოკიდებულებასაც განაპირობებს. საბჭოელი მეცნიერების მიერ შემოღებული ცნება „სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია“ ეროვნული ეკონომიკების მიერ საერთაშორისო ინტერესების შექნასა და საგარეო კავშირების დახმარებით მოგების მიღებას გულისხმობს. ეს ცნებაც, ისევე როგორც გლობალიზაცია, მსოფლიოს ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულების ზრდას ითვალისწინებს. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ნებისმიერი ეკონომიკისა თუ ბაზრის პრობლემები იმთავითვე გლობალურია, ხოლო ეროვნული ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია მსოფლიო ეკონომიკასთან კოორდინაციის გარეშე.

პრობლემა ისაა, რომ მსოფლიოს უძრავი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკისათვის განმსაზღვრელი (ძირითადი) კონცეფციური საფუძველი ჯერჯერობით ეკონომიკური გლობალიზაცია არ არის. ყურადღება ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებულ სტრატეგიაზე გამახვილებული, რაც სუვერენულ სახელმწიფოთა ობიექტური საკითხებით (სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით) არის განპირობებული. გლობალიზაცია ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. თუ შტა, ეკონომიკური გლობალიზაციის გაუთვალისწინებლობის ან არაადეკვატური მიდგომის გამო შეიძლება ქვეყანამ ისარაოდოს, ერთი მხრივ, თუ საერთაშორისო თანამშრომლობას თავის სასარგებლოდ ეერ გამოიყენებს. ხოლო, მეორე მხრივ, მსოფლიო

ბაზრებთან არასწორი ადაპტაციის შედეგად. ამასთან აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის დროს ეროვნული თავისებურებები კი არ ქრება, არამედ ძლიერდება. საერთაშორისო კონკურენცია გლობალიზაციის პირობებში სწორედ ეროვნულ თავისებურებებს შორის განსხვავებებს ეფუძნება.

რეგიონალიზაცია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას წინ უსწრებს. რეგიონალიზმიც ასევე, ქვეყნების ურთიერთდაპირისმართულებას ნიშნავს. ამ შემთხვევაშიც სამეურნეო ცხოვრება საერთაშორისო ხასიათს იძენს. თუმცა მისი მოქმედების სფერო რეგიონის ჩარჩოებით არის შემოსაზღვრული. რეგიონალიზმი არის როგორც რეგიონული განვითარების ტენდენცია, ისე შეგნებულად ფორმულირებული მიზანი.

წარმოების ინტეგრაციის პროცესები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კვირპიროდში სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის განვითარებასთან დაკავშირებით ახალ იმპულსს იძენს, როცა ეკონომიკური ურთიერთობების სიღრმე და უნივერსალური ხასიათი ცალკეული ეროვნული მეურნეობების კვლავწარმოების პროცესების დაახლოებასა და ურთიერთგადახლართვის ტენდენციას წარმოშობს.

ამ პროცესს უპირატესად რეგიონული ხასიათი აქვს, რადგან წარმოებათა ინტერნაციონალიზაცია არათანაბრად მიმდინარეობს, ხოლო ინტეგრაციის წინამძღვრები პირველ რიგში იმ რეგიონებში ჩნდება, სადაც სამეურნეო კავშირები შედარებით მჭიდროა და ინტეგრაციის სუბიექტური ფაქტორები მეტი ძალით იჩენს თავს.

არსებობს ორი სახის რეგიონალიზმი - ღია და დახურული რეგიონალიზმი.

ღია რეგიონალიზმი მოცემული რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას და ინტეგრაციულ ურთიერთაქმედებას, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების კონტექსტში განიხილავს. იგი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის წინამძღვარია. ევროკავშირი და NAFTA (ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია) ასეთი ღია რეგიონალიზმის მაგალითებია.

დახურული რეგიონალიზმი, პირიქით, გლობალიზაციას

ეწინააღმდეგება. მისი მიზანი გლობალიზაციის ნეგატიური შედეგებისაგან რეგიონის დაცვაა. დახურული რეგიონალიზმის მაგალითად კომუნისტური ბლოკის ეკონომიკური ურთიერთდახმარების ყოფილი საბჭო შეიძლება მივიჩნიოთ. შეიძლება, სწორედ დახურული რეგიონალიზმის სტრატეგია (სხვა ცნობილ და უცნობ ფაქტორებთან და გარემოებებთან ერთად) გახდა სოციალისტური სისტემის კრახის მიზეზი. სოციალისტურმა სისტემამ, რომელიც მხოლოდ საკუთარ ძალებს ეყრდნობოდა, მსოფლიოს მზარდ ურთიერთდამოკიდებულებასთან ადაპტირება ვერ შეძლო.

ყოფილ სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის, რომლებიც ვეროპულდ ღია რეგიონალიზმს მოკლებულნი იყვნენ, ვეროკავშირის ტიპის სახელმწიფოთა შორისი სტრუქტურა არ არსებობდა. პოლიტიკურ-ინსტიტუციური ვაკუუმში სხვადასხვა ვარიანტების შექმნის პროცესს აძლევს სტიმულს. ამის მაგალითია: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა, სამხრეთ ევროპის თანამშრომლობის ინიციატივა, ცენტრალური ევროპის ინიციატივა და ა. შ.

რეგიონული თანამშრომლობის ერთ-ერთი თვალსაზრისით მაგალითია სწორედ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა. BSEC-ი იმ მხრივ არის საინტერესო, რომ მის მონაწილე ქვეყნებს შორის არსებული დაძაბულობის მიუხედავად, ასე თუ ისე მოხერხდა ინსტიტუციური საფუძვლების შექმნა. ეს ფაქტობრივად უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიოში. რეგიონში დაგროვილი უზარმაზარი სამხედრო პოტენციალიც რეგიონის სტაბილურობას უქმნის საფრთხეს, რაც, პირველ რიგში, მშველდობიანი და უსაფრთხო პოლიტიკური გარემოს დამყარების აუცილებლობას მოითხოვს. მაგრამ ის ფაქტი, რომ რეგიონის სახელმწიფოები თანამშრომლობის იდეას აქტიურად უჭერენ მხარს, დაძაბულობის შექცევების საწინდრად შეიძლება მივიჩნიოთ. BSEC-ში მიმდინარე პროცესების წარმატებით განვითარების შემთხვევაში უამრავი პრობლემის გადაწყვეტა მოხერხდება.

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების უპირატესობას ეკონომიკურ

თანამშრომლობას ანიჭებენ, თუმცა მათ შორის სრულფასოვანი ეკონომიკური ინტეგრაციის ჩამოყალიბებაზე, საუბარი ჯერ ნააღრრევია.

ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების ძალისხმევას ეკონომიკური ურთიერთობების ცალკეულ სფეროებში უკვე დღესვე შეუძლია პოზიტიური შედეგების მოტანა, რადგან იგი მსოფლიო მეურნეობის განვითარების ობიექტურ ტენდენციებს ეყრდნობა. ეს განვითარებადი ქვეყნების რეალურ ინტეგრაციულ პრაქტიკაში კოოპერაციას ასახევას. ამ თვალსაზრისით, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის შექმნა და მისი შემდგომი ფუნქციონირება იმედის მომცემია მიუხედავად იმისა, რომ მისი არსებობის თავდაპირველ ეტაპზე პროცესები მეტად დუნედ ვითარდებოდა. ამ გაერთიანებაში მიმდინარე პროცესები მსოფლიო მეურნეობის განვითარების ობიექტური ტენდენციების შესაბამისად ვითარდება. რეგიონის ქვეყნებს შვიდრო ეკონომიკური კავშირების დამყარების დიდი პოტენციალი გააჩნიათ.

პროფ. ლ. ყოტლანაშვილი

პერსონალის მართვის თავისებურებანი მრავალნაციონალურ კორპორაციებში

მრავალნაციონალური კორპორაციის (მნკ) პერსონალის მართვა რთული და მრავალასპექტიანი პროცესია, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს: მუშაკთა დაქირავება და მათი განაწილება, კადრების მომზადება და გადამზადება, შრომის სტიმულირება და მისი ორგანიზაციის სრულყოფა.

მნკ-ის პერსონალის მართვა არსებითად განსხვავდება ქვეყნის შიდა საწარმოების მართვისაგან. ეს განსხვავება განპირობებულია

სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის შრომის ბაზრების განსხვავებული სტრუქტურით, სამუშაო ძალის გადაადგილების პრობლემებით, საერთაშორისო ბიზნესის სპეციფიკური გარემოს ზემოქმედებით და ა.შ. მნპ-ის ინტერნაციონალური ბუნების გამო, მათი ხელი მიუწვდებათ სხვადასხვა ქვეყნის შრომის ბაზრებზე. შესაბამისად, მათ აქვთ ამა თუ იმ ქვეყნის შრომის ბაზრის უპირატესობათა გამოყენების და ამით ნაკლები დანახარჯებით პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა.

მნპ-ის სამმართველო კადრები წარმოდგენილია ორსაფეხუროვანი სტრუქტურით: ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში განლაგებული ქალიშვილ-კომპანიებისა და ფირმის მთავარი ან რეგიონული შტაბის სამმართველო კადრები. ამ უკანასკნელის ფუნქციაში შედის უცხოური და რეგიონული ოპერაციების კოორდინაცია და მართვა. შტაბ-ბინის ხელმძღვანელთა მიერ ხდება ფილიალებისა და ქალიშვილ-კომპანიათა ხელმძღვანელობის შერჩევა და მათი საქმიანობის შეფასება. ამასთან, ორივე საფეხურის ხელმძღვანელებმა აუცილებელად უნდა გაითავისონ ადგილობრივი სპეციფიკისადმი შეგუებისა და გლობალურ დონეზე ეფექტიანობის მისაღწევად საჭიროა კომპრომისების აუცილებლობა და ამ კომპრომისებში უზრუნველყონ სათანადო ბაღანსი. თავის მხრივ, ეს ბაღანსი დამოკიდებულია ფირმის ფუნქციონირების ძირითად პრინციპებზე ანუ პოლიცენტრისტული და ეთნოცენტრისტული ფაქტორების თანაფარდობაზე, აგრეთვე ქალიშვილ-კომპანიათა დამოუკიდებლობისაგან მოსალოდნელ სარგებლიანობაზე პოლიცენტრისტულ ფირმებში მართვა დეცენტრალიზებულია და ამიტომ უცხოური ქალიშვილ-კომპანიები მაქსიმალურად თავისუფალნი არიან გადაწყვეტილებათა მიღებაში. აღნიშნულის გამო, აქ ფაქტობრივად არააქტუალურია უცხოურ ქალიშვილ-კომპანიებში საერთო საფირმო ნორმების ან კორპორაციული კულტურის დანერგვა. სამაგიეროდ, ეს ჩვეულებრივ აუცილებელია ეთნოცენტრიზმზე დამყარებულ ფირმებში. პოლიცენტრიზმისა და ეთნოცენტრიზმის თანაფარდობა განსხვავებულია ფირმათა მიხედვით, ამიტომ ნებისმიერ შემთხვევაში

შესაძლებელია ყველა ქვეყნისათვის ერთიანი მართვის ტექნოლოგიის, პოლიტიკისა და სტილის შემუშავება.

უცხოური ქალიშვილ-კომპანიების სამმართველო აპარატის საქმიანობა ჩვეულებრივ უფრო მრავალსაქტიანი, ვიდრე დედა კომპანიის. ეს აიხსნება მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოების მრავალფეროვნებით: საწარმოო და გასაღებითი საქმიანობა, კონტაქტების დამყარება და გარიგებათა დადება და ა.შ.

მნკ-ში დიდი ყურადღება ეთმობა სამმართველო კადრების შერჩევას, მაოდამი წაყენებულდ მოთხოვნებისა და პრინციპების დაცვას. მათი პერსონალი ჩვეულებრივ შედგება ადგილობრივი კადრებისა და ექსპატრიანტებისაგან. ექსპატრიანტები, თავის მხრივ, საბაზისო ქვეყნისა და მესამე ქვეყნის (დედა-კომპანიებისა და ქალიშვილ-კომპანიებისათვის უცხო ქვეყნის) მოქალაქენი არიან. ამასთან, სამმართველო კადრები ძირითადად ადგილობრივი კადრებით კომპლექტდება, რადგან ისინი, როგორც წესი, უკეთ იცნობენ რეგიონის თავისებურებებს, საწარმოო შესაძლებლობებს და ა.შ. გამონაკლისია ის განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც განიცდიან ადგილობრივი კვალიფიციური კადრების დეფიციტს. სწორედ ასეთი დეფიციტი განაპირობებს ექსპატრიანტთა გამოყენების აუცილებლობას. ფირმის საბაზისო ქვეყნის ექსპატრიანტები ჩვეულებრივ მეთაური კომპანიის მიერ მივლინებული პირები არიან. ისინი უკეთ იცნობენ ფირმის სტრატეგიისა და ტაქტიკას, ახასიათებთ მაღალი კომპეტენტურობა, მაგრამ ჩვეულებრივ ძნელად ვგუბიან რეციპიენტი ქვეყნის პირობებს. ამის გამო ვქმნებათ მთელი რიგი პრობლემები. მათ პრობლემები აქვთ აგრეთვე ხანგრძლივი მივლინებიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

უცხოეთში საწარმოს გახსნისას ფირმები იყენებენ მოქმედი საწარმოების გამოცდილებას და შის საფუძველზე განსაზღვრავენ ხაჭირო მუშაობა რაოდენობას. ამასთან მხედველობაში იღებენ მათ კვალიფიკაციას, ცხოვრების პირობებს, სამუშაოზე მისაღები პირობებს. სადამი წაყენებულ მოთხოვნებს და ა.შ. მაგალითად,

ამერიკული ფირმები მუშაკთა დაქირავებისას ძირითად ყურადღებას უთმობენ სპეციალიზირებულ ცოდნასა და პროფესიულ ჩვეულებას. ამიტომ მათ მუშაკებს ახასიათებთ ვიწროსპეციალიზაცია. ეს, თავის მხრივ, ზემოქმედებს მუშაკთა დაწინაურებაზე – აქ დაწინაურება ხდება მხოლოდ ვერტიკალური ხაზის გასწვრივ. ეს ნიშნავს, რომ ამა თუ იმ დარგის სპეციალისტთა დაწინაურება ხდება მხოლოდ მოცემულ სფეროში. მაგალითად, ფინანსისტს დაწინაურების შანსი აქვს მხოლოდ ფინანსების სფეროში. აღნიშნულის გამო, ამერიკულ ფირმებში დიდია სამმართველო კადრების დენადობა.

ამერიკულ ფირმებში მუშაკთა დაქირავებისას ტარდება პრეტენდენტთა ტესტირება და მათი პროფესიული დონის გამოუღებვა. ამასთან, ყოველ ფირმას შემუშავებული აქვს მუშაკთა შერჩევის საკუთარი კრიტერიუმები და წესები. სამუშაოზე მიღების შემდეგ მუშაკს აცნობენ მისი ვიწროსპეციალიზაციიდან გამომდინარე მოვალეობებს. ე.ი. ამერიკულ ფირმებში არაა მიღებული მთელი ფირმის საქმიანობისა და მისი ორგანიზაციული სტრუქტურის გაცნობა.

ამერიკული ფირმებისაგან განსხვავებით, დაპირული ფირმების თვლიან, რომ ხელმძღვანელს უნდა შეეძლოს ფირმის ნებისმიერ მონაკვეთზე მუშაობა და ამიტომ მათი მუშაკები კვალიფიკაციას ჩვეულებრივ მათთვის ახალ სფეროში იმაღლებენ. დაპირულ ფირმებში დიდი ყურადღება ექცევა პროფესიათა შეთავსებას, კოლექტივში მუშაობის უნარს, საერთო საქმეში საკუთარ წილილს, სხვადასხვა საკითხების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარს და ა.შ. საერთოდ, დაპირული ფირმებისათვის დამახასიათებელია პერსონალის მართვის შემდეგი თავისებურებანი: მუშაკთა დაქირავება საბუღალტრო ან დაქირავება ხდება ხანგრძლივი ვადით, ხელფასის მატება ნამსახურობის ვადის მიხედვით, ფირმის ჩარჩოში შექმნილი პროფესიონირების მუშაობაში მუშაკთა აქტიური მონაწილეობა (აწმში პროფესიონირები დარგობრივი ხასიათისაა). შესაბამისად, დაპირულ ფირმებში პერსონალის მართვის სისტემა იძლევა დასაქმების, გარანტიას, ახალი მუშაკების მიზიდვისა და მომზადების

შესაძლებლობას, შრომის ანაზღაურების სტაეის მიხედვით, სულფასის მოქნილ სისტემას. აქ ფირმისა და მუშაკთა ინტერესები კროიერთშეხამებულია, დაცულია ბაღანსი ფირმის მმართველებს, სს-ე მუშაკთა და ინვესტორებს შორის. ყოველი აღნიშნულის გამო, იაონკლები გამოირჩევიან საკუთარი ფირმისადმი ერთგულების გრძნობით.

შრომის ეფექტიანობა დამოკიდებულია მუშაკსა და დამქირავებელს შორის დამყარებულ ურთიერთობებზე. მასში ფართოდ გამოიყენება მუშაკთა დაქირავების საკონტრაქტო სისტემა ანუ შეთანხმება ფირმების ხელმძღვანელობასა და მუშაკთა შორის. მასში აისახება ადმინისტრაციისა და მუშაკის ყალდებულებები.

შინაარსი

ა. ცერცვაძე - გერმანული კაპიტალის მონაწილეობა საქართველოს მანგანუმის მრეწველობაში.	3
ა. ცერცვაძე - სააქციო სასოგადოება „ზინგერის“ საქმიანობა რუსეთის იმპერიაში.	7
ნ. წიკლაშვილი - შრომის ბაზრის ფორმირების კანონზომიერებები გარდამავალი პერიოდის ეკონომიკაში.	12
ნ. წიკლაშვილი - დასაქმების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.	16
მ. ჭელიძე - საქონლის გასაღების არხები და მათ შერჩევასე მოქმედი ფაქტორები.	24
მ. სეთური - მარკეტინგის სტრატეგია, დაგეგმვა და კონტროლი.	31
ნ. კაკაშვილი, ი. აბაიძე - სადასაწყვეო კომპანიების სრულყოფილ-განვითარების ძირითადი პრობლემები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში.	42
ჟ. გულუა - ეკონომიკური რისკი საქართველოს პირობებში და მისი მართვის პარამეტრები.	45
ა. ჯიბუტი, ე. ხარაიშვილი - საცადასახადო სისტემის სრულყოფისათვის.	48
გ. მალაზონია - ფასიანი ქაღალდების არსის შესახებ.	59
ა. ცინცაძე - ადგილობრივი ბიუჯეტების როლი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში.	68
ა. ცინცაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდამავალ ეკონომიკაში ფინანსების როლის ამალღების ღონისძიებების შესახებ.	73
თ. ხიზანიშვილი - კომერციული ბანკი - ბაზრის ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტი.	76
ი. კოეზანაძე - საინვესტიციო პორტფელის მართვის სრულყოფის გზები.	83

ი. კოვზანაძე - კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორების დახასიათება.	96
ლ. ყორღანაშვილი - მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და მისი ზემოქმედება საერთაშორისო ვაჭრობაზე.	108
მ. ფეიქრიშვილი - საქართველოს საგარეო ვაჭრობის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება.	114
თ. ყანდაშვილი - საქართველოს საექსპორტო პოტენციალი.	120
ე. სეფაშვილი - შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობაში მიმდინარე პროცესები.	124
დ. ყორღანაშვილი - პერსონალის მართვის თავისებურებანი მრავალნაციონალურ კორპორაციებში	128

**Актуальные вопросы экономики
(сборник научных трудов)
XIII выпуск
(на грузинском языке)
Издательство Тбилисского университета
Тбилиси 2000**

**გამომცემლობის რედაქტორი ზ. გიორგაძე
კორექტორი ლ. თორდუა**

**ხელმოწერილია დასაბეჭდად
საბეჭდი ქაღალდი
პირ. ნაბეჭდი თაბახი 8,5
სააღრ.-საგამომც. თაბახი 5,89
ტირაჟი 200 შუკვეთა №**

ყასი სახელშეკრულებო

**თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ., №14
შპს ფირმა „ატლასი“**